

**ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების (გ-24-23/244, 30/05/2024) ფარგლებში გამართული საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობისას წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი**

| № | კომენტარი | საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე |
|---|-----------|--|
|---|-----------|--|

|   |  |  |
|---|--|--|
| <p>კომენტარის წარმდგენი სუბიექტი სს „სილქნეტი“ (წერილი N 4061/05-8 - კომისიაში რეგისტრაცია ს N შ-24-6/3015, რეგისტრაცია ს თარიღი: 12.07.2024 )</p> <p>საკონსულტაციო კომპანია Frontier Economics LTD</p> | <p><b>1</b></p> <p>კომისიის მიერ განხორციელებული საცალო ბაზრის შეფასება არ ითვალისწინებს „მაღალი სიჩქარის“ საცალო ფართოზოლოვან ბაზარზე მობილური და ფიქსირებული უსადენო (FWA) მომსახურებებიდან წარმოქმნილ კონკურენტულ შეზღუდვებს/ზეწოლას;</p> <p>მობილური და ფიქსირებული უსადენო (FWA) მომსახურებებიდან წარმოქმნილი კონკურენტული ზეწოლა</p> <p>შემდგომ კომისია ასკვნის, რომ საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზარი ეფექტურად კონკურენტულია შემდეგი მოცემულობების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბაზარზე ფუნქციონირებს მრავალი FWA (ფიქსირებული უსადენო) და xDSL პროვაიდერი (84 და ორი);</li> <li>• სამი მობილური ქსელის ოპერატორი ქმნის დამატებით კონკურენტულ ზეწოლას, მათი მობილური ფართოზოლოვანი სერვისების ეროვნული დაფარვის გამო.</li> </ul> <p>ამგვარად, კომისიის დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბაზარზე არსებობს შესვლის გარკვეული ბარიერები, თავად ბაზარი ხასიათდება ეფექტური კონკურენციით. კერძოდ, კომისია ასკვნის, რომ მობილური ქსელების მხრიდან პოტენციური კონკურენცია შედარებით მცირე მოთამაშეებს არ მისცემს დომინირებულად მოქმედების საშუალებას. თუმცა, მაღალ-სიჩქარიანი ფართოზოლოვანი ბაზრის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას, კომისია არც კი განიხილავს შესაძლებლობას, რომ მობილურმა და უსადენო (FWA) სერვისებმა შეიძლება ასევე წარმოქმნას კონკურენტული შეზღუდვა/ზეწოლა მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისებისთვის. სამაგიეროდ, კომისია ასკვნის, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მობილური ფართოზოლოვანი მომსახურება წარმოადგენს მაღალსიჩქარიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ჩამნაცვლებელ სერვისს, იმის გამო, რომ ტექნოლოგიური სხვაობებია სიჩქარესა და მომსახურების ხარისხში.</p> <p>ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი ხარვეზია ანგარიშსა და კომისიის ანალიზში. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი თუ კომისია სწორია, რომ მობილური ქსელით მიწოდებული ფართოზოლოვანი მომსახურება არ შედის მაღალი სიჩქარის ფიქსირებული მომსახურების ბაზრის სეგმენტში, კომისიის დასკვნა უგულვებელყოფს მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული</p> | <p>საცალო ბაზრის განსაზღვრის მიდგომა სრულად შეესაბამება კომისიის 2024 წლის 22 თებერვლის N1 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიასა და პროცედურებს“ (შემდგომში - პროცედურები), რომელიც განსაზღვრავს ბაზრის პროდუქციულ და გეოგრაფიულ საზღვრებს ევროკავშირის ბაზრის ანალიზის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. პროცედურების რომლის 7 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ბაზრის განსაზღვრის საწყისი წერტილი არის ფოკუსური პროდუქტის იდენტიფიცირება:</p> <p>„საწყის ეტაპზე კომისიამ უნდა დაადგინოს ელექტრონული კომუნიკაციების სამიზნე მომსახურება, რომლის შეთავაზება ხორციელდება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში და, შესაძლოა, დაექვემდებაროს სპეციფიკური ვალდებულებების დაწესებას. შემდგომ ეტაპზე კომისია აფასებს რამდენად ექვემდებარება აღნიშნული მომსახურება კონკურენტულ შეზღუდვას ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებების მხრიდან. შემდგომში კომისია აჯგუფებს ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებებს ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად და განიხილავს მათ ბაზრის ერთი შესაბამისი სეგმენტის ფარგლებში ბაზრის კონიუნქტურის, კონკურენციის, მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლების ფაქტორების, ტარიფების დონის და მათი ისტორიული ცვალებადობის გათვალისწინებით. შესაბამისი მომსახურებების ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი უნდა იყოს საკმარისად მაღალი. მომსახურებები, რომელთა ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი დაბალია, კომისიის მხრიდან არ უნდა იქნეს განხილული ბაზრის იმავე სეგმენტის საზღვრებში.“</p> <p>მაშასადამე, ფიქსირებული ინტერნეტ კავშირის ყველა ტექნოლოგიის ჩართვა იმავე ბაზრის განსაზღვრაში დამოკიდებულია სხვადასხვა ტექნოლოგიის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდებას შორის ჩანაცვლებადობაზე.</p> <p>კომენტარები ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ჩანაცვლებადობის ანალიზის მიზნისთვის აჩენს ორ მნიშვნელოვან კითხვას:</p> <p>ა. არის თუ არა საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აჩვენებს განსხვავებას კონკურენტულ პირობებს შორის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისებისთვის 10 მმ/წმ-ზე მაღლა და მასზე დაბალ სიჩქარეებზე? არის ინდიკატორები, რომლებიც აჩვენებენ ჩანაცვლებადობის მკაფიო ზღვარს ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებს შორის <math>\geq 10</math> მმ/წმ და <math>&lt; 10</math> მმ/წმ სიჩქარეებზე?</p> <p>დაყოფა ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების საბაზისო ბაზარს (10 მმ/წმ-მდე) და უფრო მაღალი სიჩქარით ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზარს</p> |
|---|--|--|

სერვისი არ არის იმავე საცალო ბაზრის ნაწილი, მას მაინც შეუძლია კონკურენტული ზეგავლენა იქონიოს სხვა ბაზრის ფარგლებში შემავალ სერვისებზე და, შესაბამისად, წინააღმდეგა შეუქმნას/ხელი შეუშალოს ანტიკონკურენტულ შედეგებს. ჩვენ გვჯერა რომ მობილური ფართოზოლოვანი მომსახურება ახდენს კონკურენტულ ზეწოლას ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებაზე. ასევე ნიშნელოვანია აღნიშნოს, რომ კომისიის 2022 წლის წლიური ანგარიშის თანახმად საქართველოს ოპტიკური მომხმარებლების უმრავლესობა სარგებლობს 25 მბ/წმ-35 მბ/წმ მომსახურებით. სიჩქარეებს კი უპრობლემოდ უზრუნველყოფენ არსებული მობილური ოპერატორები 4G LTE ტექნოლოგიებით. სინამდვილეში სილქნეტი 4G მომსახურების ფარგლებში უზრუნველყოფს ჩამოტვირთვის საშუალო სიჩქარეს 20-დან 50 მბ/წმ-მდე ქვეყნის სხვადასხვა არეალში.

შორის (10 მბ/წმ ზემოთ) ძირითადად ეფუძნება განსხვავებებს ტექნოლოგიების ფუნქციონალურ მახასიათებლებში, რომელიც მნიშვნელოვანი ხდება 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარეების შემთხვევაში (იხ. ბაზრის ანალიზის დიაგრამა 27). ძირითადი დასაბუთება ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ტექნოლოგიას, როგორცაა მობილური ინტერნეტი, შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი სიჩქარე გარკვეული საბაზისო სცენარების მიხედვით, ისინი, როგორც წესი, ვერ შეინარჩუნებენ სტაბილურად სიჩქარის დიაპაზონს, რომელიც FTTx-ს შეუძლია მუდმივად მიაწოდოს (რადგან სიჩქარის ყველა დიაპაზონისთვის 10 მბ/წმ ზემოთ არსებობს მხოლოდ ერთი ბაზარი 10 მბ/წმ-ზე მეტი). მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ საცალო ბაზრის განსაზღვრის მიუხედავად საბითუმო ბაზრისთვის უნდა განხორციელდეს ბაზრის განსაზღვრის მკაფიო პროცესი. მაშინაც კი, თუ განისაზღვრება უფრო ფართო საცალო ბაზარი (რომელზეც გამოვლენილია მომხმარებელთა ზიანი , კომისიამ უნდა გამოიკვილოს საბითუმო ბაზრის რომელმა რეგულაციებმა შეიძლება მოაგვაროს საცალო ბაზრის სეგმენტზე გამოვლენილი კონკურენტის პრობლემა), ეს არ ნიშნავს, რომ მობილური მომსახურება ან ფიქსირებული უკაბელო კავშირი(FWA) ჩაითვლება შემცველად საბითუმო დონეზე. იყო შემთხვევები ევროკავშირში(მაგალითად ბელგიაში), როდესაც ჰიბრიდული ოპტიკურ-ბოჭკოვანი/კოაქსიალური კაბელი (DOCSIS) ინფრასტრუქტურა ჩართული იყო საცალო ბაზრის განმარტებაში, მაგრამ არა საბითუმო ბაზრის განმარტებაში, კოაქსიალური კაბელის დაშლის ტექნიკური გადაწყვეტების ან კოაქსიალური კაბელის მეშვეობით ბიტსტრიმ დაშვების მომსახურების არარსებობის გამო.

ბ)რომელი ტექნოლოგიები უნდა იყოს ჩართული >10 მბ/წმ ბაზარზე, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის განსაზღვრა იყოს „ტექნოლოგიურად ნეიტრალური“?

როგორც ეს ასახულია კომისიის N გ-24-9/361, 08/08/2024, „ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენტის კვლევა და ანალიზის შესახებ“ გადაწყვეტილების (შემდეგში „გადაწყვეტილება“ ) 3.3 ქვეთავში xDSL ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურების მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობაა 10 მბ/წმ - 30 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონში, ოპერატორები ეტაპობრივად წყვეტენ წყვეტენ xDSL ტექნოლოგიის გამოყენებით მომსახურების მიწოდებას. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ჩანაცვლებადობის ტესტის გამოყენებით, FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით მიწოდებული სერვისის ფასის ჰიპოთეტური ზრდა არ გამოიწვევს xDSL-ზე მიგრაციას. ჩანაცვლება, ასევე, ნაკლებად სავარაუდოა xDSL-ის ტექნიკური შეზღუდვების და საქართველოში სპილენძის ქსელის დაბალი ხარისხის გამო.

ევროკავშირში, მარეგულირებლებმა შეიძლება განსხვავებულად განსაზღვრონ საცალო ბაზარი xDSL- ზე შემოთავაზებული სიჩქარისა და მისი გამოყენების გათვალისწინებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში xDSL ტექნოლოგიის გამოყენებით მომსახურების მიწოდება კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს, საშუალოდ დაახლოებით 47%-ს (იხ. დიაგრამა 23 ბაზრის ანალიზის დოკუმენტში), რაც მიუთითებს იმაზე, რომ VDSL და ე.წ. „ვექტორინგ“ ტექნოლოგიები ახდენენ მნიშვნელოვან ზეწოლას FTTx ტექნოლოგიაზე და შესაბამისად, წარმოადგენენ იმავე ბაზრის ნაწილს DOCSIS-თან ერთად. ევროკავშირში ბაზრის უფრო ფართო განმარტება ძირითადად ასოცირდება VDSL-ის უფრო მაღალ გამოყენებასთან, სადაც მდგრადი VDSL და DOCSIS წარმოადგენენ FTTx-ის ჩამნაცვლებლებს (იხ. დიაგრამა 22 გადაწყვეტილებაში). ამიტომ, აღნიშნული შედარება არ არის მიზანშეწონილი. უფრო მეტიც, მაშინაც კი, თუ ეს იყო მიზანშეწონილად

|  |   |              |  |
|--|---|--------------|--|
|  |   |              | <p>მიჩნეული ევროკავშირის ეროვნული მარეგულირებლების გადაწყვეტილებები მთლიანობაში უნდა გაანალიზდეს. ევროკავშირის ერთი გადაწყვეტილების კონტექსტიდან ამოღება არ ცვლის საქართველოში არსებულ ვითარებას, რომელიც ადეკვატურად იქნა მხედველობაში მიღებული.</p> <p>რაც შეეხება ფიქსირებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი და მობილური ინტერნეტის ჩანაცვლებადობას საქართველოში არ შეინიშნება საბოლოო მომხმარებლების გადასვლის ტენდენცია მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის მომსახურებიდან მობილურ ფართოზოლოვან მომსახურებაზე. ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ საბოლოო მომხმარებლები განიხილავენ მობილურ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებას, როგორც შემავსებელ სერვისს მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელისთვის და არა როგორც მის ჩამნაცვლებელ მომსახურებას.</p> <p>ამასთან, ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება, როგორც წესი, მოიცავს IPTV სერვისებსაც, რასაც ამჟამინდელი მობილური ფართოზოლოვანი შეთავაზებები არ მოიცავს. იმისთვის, რომ მობილური ინტერნეტი იყოს კონკურენტუნარიანი მაღალი სიჩქარის (10 მბ/წმ-ზე მეტი) FTTx სერვისებთან მიმართებაში, მას სჭირდება ექვივალენტური სიჩქარის დონეები და მომხმარებლის გამოცდილება, რაც ასე არ არის, რადგან მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების სიჩქარე საკმარისად არ არის შესაბამისობაში FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების სიჩქარესთან.</p> <p>ყველა ეს ფაქტორი მიუთითებს მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების შემავსებლობაზე და არა ჩანაცვლებადობაზე მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებისათვის. იგივე დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მომსახურების ხარისხის განსხვავებების ნაწილშიც, რომელიც განსაზღვრავს სპექტრზე დაფუძნებული გადაწყვეტებს (მობილური და FWA) FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით სერვისის მიწოდებას შორის ჩანაცვლებადობის არ არსებობას .</p> <p>აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სხვა ტექნოლოგიები არ არის FTTx-ის სრულფასოვანი ჩამნაცვლებელი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე, რაც ზუსტად ასახავს საქართველოს ბაზარზე არსებულ მდგომარეობას და ითვალისწინებს პროცედურებით გათვალისწინებულ მიდგომას.</p> <p>თუმცა ასევე აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია მომავალში ალტერნატიული ტექნოლოგიების დანერგვამ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უზრუნველყოს FTTx ტექნოლოგიის ჩანაცვლებადობა <sup>1</sup>.</p> |
|  | 2 | 5G-ს გავლენა |  |

<sup>1</sup> ჩვენ ვაცხადებთ, რომ „მომსახურების ხარისხის განსხვავება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს, როდესაც საქართველოში 5G საცალო სერვისები დაინერგება. ამ ბაზრის ანალიზის მომავალ ორიენტირებულ პერსპექტივაში (3 წელი), მოსალოდნელი არ არის, რომ 5G რაიმე კონკურენტულ გავლენას მოახდენს მაღალსიჩქარიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისებზე მომდევნო 3 წლის განმავლობაში .

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კომისია აღნიშნავს, რომ „მომსახურების ხარისხის სხვაობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს, როდესაც საქართველოში დაინერგება 5G სერვისები“, იგი ასკვნის, რომ მომავალი პერიოდის განმავლობაში საქართველოში 5G მომსახურების განვითარების პერსპექტივა ვერ იქნება საკმარისად რეალიზებული საქართველოში ისე, რომ მან შეძლოს გარკვეული კონკურენტული ზეწოლის განხორციელება.

ჩვენ არ ვეთანხმებით კომისიას ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ჩვენს მიერ მომზადებულ კომისიის მობილური კვლევის საპასუხო დოკუმენტშია ასახული, კომისიამ მნიშვნელოვნად არასწორად შეაფასა მომავალი პერიოდის განმავლობაში საქართველოში 5G მომსახურებების განვითარების პერსპექტივა. მაგალითად, კომისიამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მობილური ქსელის სამი ოპერატორიდან ორმა, კერძოდ, სელფიმ და სილქნეტმა უკვე გაუშვეს 5G სერვისები.

სინამდვილეში იმ შემთხვევაშიც თუ კომისია ისევ დაასკვნის, რომ მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებები არ არის მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი ბაზრის ნაწილი, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამგვარ სერვისებს არ შეუძლია ფასის კუთხით კონკურენტული ზეგავლენა იქონიოს მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე.

5G ტექნოლოგია გარკვეულწილად შეიძლება გახდეს FTTx-ის ჩამნაცვლებელი, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა 5G ხელმისაწვდომი იყოს ეროვნულ დონეზე მომდევნო სამი წლის განმავლობაში (მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში). იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის განვითარებაში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება, კომისიას უფლებამოსილია ბაზრის ხელახალი ანალიზი დაიწყოს, თუნდაც 3 წელზე ნაკლებ დროში.

3

**კომისიამ ვერ შეძლო ისეთი ბაზრის პრობლემების (ჩავარდნების) გამოვლენა, რაც დაასაბუთებდა წინასწარი რეგულირების საჭიროებას**

**30-დან 100 მბ/წმ-მდე დიაპაზონი სიჩქარის მაღალი ფართო სპექტრის მოიცავს**

ფარგლებში კომისიამ განსაზღვრა ერთი დიაპაზონი 10 მბ/წმ-მდე სიჩქარისთვის, ერთი დიაპაზონი - 10 მბ/წმ-დან 30 მბ/წმ-მდე სიჩქარისა და ერთი დიაპაზონი - ყველა სიჩქარისთვის 30 მბ/წმ-დან 100 მბ/წმ-მდე. თუმცა, 30 მბ/წმ სიჩქარისა და 100 მბ/წმ სიჩქარის მომსახურებების მოხმარების შემთხვევები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამგვარად, არ არის ნათელი, შეიძლება თუ არა ამ სერვისების მოხმარების ერთობლივად შეფასდება. მაგალითად, 30-40 მბ/წმ-მდე სიჩქარის ინტერნეტი ხშირად გამოიყენება ერთ მოწყობილობაზე ვიდეოს სტრიმინგისთვის ან ვიდეო კონფერენსინგისთვის, ხოლო 100 მბ/წმ-ის სიჩქარის ინტერნეტი

საქართველოში 100მბ/წმ და მეტი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურების მაღიან დაბალი ათვისება(1%) მნიშვნელოვანი საკითხია ბაზრის სხვა მახასიათებლებთან ერთად. 100 მბ/წმ და მეტი ფართოზოლოვანი სიჩქარე მიჩნეულია კრიტიკულად მნიშვნელოვნად, მზარდი შესაძლებლობების სერვისებისთვის. შესაბამისად, ევროკავშირში ქვეყნების დაფარვის ეფექტურობას აფასებენ მხოლოდ 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის საფუძველზე, მათ შორის 1 გბ/წმ-მდე<sup>2</sup>, რაც ხაზს უსვამს ამ მაღალი სიჩქარის მნიშვნელობას დაბალ სიჩქარეებთან ან ფართოზოლოვანი სერვისების ზოგად გამოყენებასთან მიმართებაში. როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, ევროპის მრავალ ქვეყანაში 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის წილი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე საქართველოში. 2023 წლის მარკეტინგებით, ევროპის ქვეყნებში საშუალოდ აბონენტების 66% სარგებლობს 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით. 2022 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 55%-ს შეადგენდა.


მაგალითად, ბულგარეთშიც კი, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი(მშპ) ყველაზე დაბალია ევროკავშირის 27 ქვეყანას შორის, 100 მბ/წმ და ზემოთ სერვისების მოხმარების

<sup>2</sup>[https://digital-decade-desi.digital-strategy.ec.europa.eu/datasets/desi/charts/desi-indicators?period=desi\\_2024&indicator=desi\\_dsk\\_bab&breakdown=ind\\_total&unit=pc\\_ind&country=AT,BECY,BG,CZ,DK,EE,EU,FI,FR,DE,EL,HU,IE,IT,LV,LT,LU,MT,NL,PL,PT,RO,SK,SI,ES,SE](https://digital-decade-desi.digital-strategy.ec.europa.eu/datasets/desi/charts/desi-indicators?period=desi_2024&indicator=desi_dsk_bab&breakdown=ind_total&unit=pc_ind&country=AT,BECY,BG,CZ,DK,EE,EU,FI,FR,DE,EL,HU,IE,IT,LV,LT,LU,MT,NL,PL,PT,RO,SK,SI,ES,SE)

ხშირად გამოიყენება მრავალ-მომხმარებლიანი ონლაინ თამაშებისა და ერთდროულად რამდენიმე ონლაინ სტრიმისათვის (online stream). გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომია 50 მბ/წმ და 70 მბ/წმ საცალო პროდუქტები, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შეფასებულიყო სიჩქარის უფრო ვიწრო დიაპაზონის გამოყენების ტენდენციები, რათა გვექონოდა უფრო ნათელი სურათი საქართველოში არსებულ მოთხოვნის ტენდენციებზე. 100 მბ/წმ სიჩქარეს იყენებს აბონენტების 2%-ზე ნაკლები, როგორც ეს მითითებულია კომისიის ბაზრის კვლევის დოკუმენტში და კომისიის 2022 წლის წლიურ ანგარიშში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად საქართველოში უფრო მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი სერვისების მიმართ ზრდადი ინტერესისა, ზრდის მასშტაბი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ეს კომისიის ბაზრის კვლევის დოკუმენტშია მითითებული.

წილი შეადგენს მთლიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების 50%-ს. ეს ტენდენცია შეესაბამება მიმდინარე ტექნოლოგიურ განვითარებას და ხარისხის სტანდარტებს, რომელსაც მოელიან მომავალში FTTx ქსელებიდან. ზოგადად, ინვესტიციებისა და სტრატეგიის სრული აქცენტი კეთდება ტექნოლოგიებზე, რომლებსაც შეუძლიათ მომავალში უზრუნველყონ მაღიან სწრაფი ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდება.

100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის მოხმარების წილი მთლიან აბონენტებთან მიმართებაში ევროპის ქვეყნებში, DESI 2023წ



საქართველოში ამკარად შეინიშნება ბაზარზე არსებული ჩავარდნა მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდებასთან და მათ ფასებთან მიმართებაში.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო ინტერნეტის 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარეებისთვის, ფასები საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. მაღალსიჩქარიანი სერვისების მზარდი მნიშვნელობის კონტექსტში (ევროპაში და სხვაგან), შეუძლებელია არასათანადოდ შეფასდეს ბაზრის ამ სეგმენტის პრიორიტეტულობა. ბაზრის შესწავლის შედეგად ნათელია, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი 100 მბ/წმ და ზემოთ სერვისების მაღალ ფასსა და დაბალ ათვისებას შორის.

ხელმისაწვდომობის ანალიზი აჩვენებს, საქართველოს აქვს მაღალი ფასები მოსახლეობის საშუალო შემოსავლებთან შედარებით. ფასების მნიშვნელოვანი განსხვავებები სტანდარტულ (დაბალ სიჩქარეებზე) ფიქსირებულ ფართოზოლოვან შეთავაზებებსა და 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზებებს შორის ადასტურებს, რომ უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზებები არსებითად ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე დანარჩენ ევროპაში.

|   |   |   |
|---|---|---|
|   |   | <p>ის ფაქტი, რომ დაბალი სიჩქარის შეთავაზებებზე ფასები უფრო კონკურენტუნარიანია (სხვა ქვეყნებთან შედარებით) არ ცვლის ძირითად საკითხს, რომ უფრო მაღალი სიჩქარის FTTx სერვისებს ექმნებათ მნიშვნელოვანი პრობლემები პენეტრაციის თვალსაზრისით (მიადწიონ მაღალ მაჩვენებლებს), რამაც საქართველო უფრო მეტად უნდა დაახლოვოს ევროკავშირის ძალიან მაღალი გამტარობის ქსელებთან (VHCN) დაკავშირებულ მიზნებთან.</p> <p>დაბალი ხელმისაწვდომობა ბაზრის მთავარი მოთამაშეების მიერ მიღებულ მაღალ მომგებიანობასთან ერთად ერთად, მიუთითებს მომხმარებლის ზიანის აშკარა მტკიცებულებაზე.</p> <p>აღსანიშნავია, რომ კვლევის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პერიოდში სს „სილქნეტმა“ და შპს „მაგთიკომმა“ შეცვალეს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების პირობები, კერძოდ, ფასის უცვლელად გაზარდეს სიჩქარე შედარებით დაბალი სიჩქარის პაკეტებზე, ხოლო 100 მბ/წმ სიჩქარის ფასი შეამცირეს (შპს „მაგთიკომმა“ 30 მბ/წმ-იანი პაკეტის სიჩქარე გაიზარდა - 50 მბ/წმ-მდე, 50 მბ/წმ-იანი - 80 მბ/წმ-მდე, ხოლო 100 მბ/წმ-იანი ინტერნეტპაკეტის ღირებულება შეამცირა 100 ლარიდან 80 ლარამდე; სს „სილქნეტმა“ - 25 მბ/წმ-იანი პაკეტის სიჩქარე გაზარდა 45 მბ/წმ-მდე; 35 მბ/წმ 60 მბ/წმ-მდე, 50 მბ/წმ 80 მბ/წმ-მდე, 100 მბ/წმ 150 მბ/წმ-მდე, ხოლო 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტის ტარიფი შეამცირა თვეში 75 ლარამდე). ფასების ეს ბოლო შემცირება არ პასუხობს ხელმისაწვდომობის ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს და ჭარბი მომგებიანობის პოზიციებს, რომლებიც ამჟამად ზიანს აყენებს მომხმარებლებს, აღნიშნული მოცემულობა ცხადია გათვალისწინებული იქნება შემდეგ კვლევაში და შეფასდება რამდენად ახდენს გავლენას კონკურენტულ მაჩვენებლებზე.</p> |
| 4 | <p>კომისიამ არასწორად განმარტა 30-100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონის მოხმარების წილის ზრდა</p> <p>მიერ წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებს 30-დან 100 მბ/წმ-მდე სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის მოხმარების წილის ზრდაზე, კერძოდ - 2021 წლის 21% მაჩვენებლიდან 2022 წელს 59%-მდე ზრდაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადგილი ჰქონდა არა დროთა განმავლობაში თანდათანობით მოხმარების ზრდას, არამედ, მოხმარების წილის მკვეთრ მატებას.</p> <p>ამ უეცარი ცვლილების გაანალიზებისას, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ 30-100 მბ/წმ სიჩქარის მომსახურების მოხმარების წილის ზრდა არ არის მომხმარებელთა მოთხოვნის უეცარი ზრდის შედეგი, არამედ იგი წარმოადგენს ორივე ოპერატორის - მაგთიკომისა და სილქნეტის - მიერ მომსახურების პირობების ცვლილების შედეგს. როგორც ეს მკაფიოდ არის მითითებული კომისიის 2022 წლის წლიურ ანგარიშში, 2022 წელს მაგთიკომმა და სილქნეტმა შეცვალეს ფიქსირებული ფართოზოლოვანი</p> | <p>კომენტარი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 2022 წელს მომხმარებლების უფრო მაღალ სიჩქარეებზე გადასვლა განპირობებული იყო 2022 წელს დაფიქსირებული მასშტაბური ცვლილებებით მიწოდების მხრიდან და არა მოთხოვნის ტენდენციებით რითიც მიუთითებს, რომ საქართველოში მაღალ სიჩქარეებზე მოთხოვნა არ არსებობს.</p> <p>გარდა იმისა, რომ უსაფუძვლოა აღნიშნული დასკვნის გაკეთება მოხმარების კუთხით ფასების ხელმისაწვდომობის ანალიზის გარეშე, ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს შპს „მაგთიკომის“ მიერ განხორციელებული ცვლილებები განპირობებული იყო ყველაზე დაბალი, სასტარტო პაკეტის გაუქმებით და როგორც სიჩქარის, ასევე ფასის ზრდით. კერძოდ, გაუქმდა 20 მბ/წმ-იანი პაკეტი, რომელიც შეთავაზებული იყო 30 ლარად და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა 30 მბ/წმ პაკეტი, 37 ლარად. რასაც მოგვიანებით მოყვა მსგავსი ქმედება სს „სილქნეტის“ მიერ - მან 20 მბ/წმ-იანი პაკეტის სიჩქარე 25 მბ/წმ-მდე გაზარდა, ხოლო სააბონენტო გადასახადი 30 ლარის ნაცვლად 35 ლარი გახადა.</p>  |

|   |  |   |
|---|--|---|
|   | <p>მომსახურების ძირითადი 20 მბ/წმ-იანი სერვისები 30 მბ/წმ-იანი მომსახურებით, რითიც ყველა აბონენტი გადაიყვანეს მოხმარების ქვედა დიაპაზონიდან გაუმჯობესებულ, უფრო მაღალ დიაპაზონზე. ამგვარად, სიჩქარეების წილებში 2022 წელს დაფიქსირებული მაშტაბური ცვლილებები განპირობებული იყო მიწოდების მხარის გადაწყვეტილებით და არა მოთხოვნის ტენდენციებით.</p> <p>ამგვარად, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სერვისების მოთხოვნის ნებისმიერი ზრდა შეეხება 30-50 მბ/წმ-მდე სიჩქარეებს და არა ძალიან მაღალსიჩქარიან სერვისებს. აქედან გამომდინარე, „მაღალი სიჩქარის“ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის შეფასებისას აქცენტი მეტწილად უნდა გაკეთდეს სიჩქარის შედარებით დაბალ დიაპაზონზე. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია კომისიის საცალო ბაზრის შესაძლო პრობლემის (market failure) ანალიზისათვის, რომლის ფარგლებშიც კომისია დაუსაბუთებლად დიდ ყურადღებას ამახვილებს 100 მბ/წმ პროდუქტებზე (ასევე, როგორც აქამდე აღვნიშნეთ, მობილური ფართოზოლოვანი და FWA სერვისების როლის გათვალისწინებით).</p>  | <p>აღნიშნული ქმედებაც მიუთითებს ბაზრის არაკონკურენტულობაზე და შპს „მაგთიკომის“ მიერ მომხმარებლებისგან და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობაზე.</p>  |
| 5 | <p>100 მბ/წმ სიჩქარეზე დაბალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებს აქვს ხელსაყრელი საცალო ფასები</p> <p>ბენჩმარკებთან შედარებით, საქართველოს ფიქსირებულ ფართოზოლოვან ბაზარს ზოგადად ახასიათებს შედარებით ძლიერი საფასო კონკურენცია. როგორც ასეთი, ფასების დონის თვალსაზრისით არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ არსებობს ბაზრის პრობლემა (market failure) ან მომხმარებელს ადგება ზიანი, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას მარეგულირებლის ჩარევის გზით.</p> <p>დასკვნა ნათლად იკითხება კომისიის ფასების კვლევიდანაც, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საქართველოში ფართოზოლოვანი საცალო მას-მარკეტ (mass market) სტანდარტული პროდუქტების ფასების შედარება ევროპის 23 ქვეყანის (ევროკავშირის სახელმწიფოები და დიდი ბრიტანეთის) საშუალო ფასებთან. ეს ანალიზი აჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების საცალო ფასები იგივე დონეზეა ან უფრო დაბალია, ვიდრე ანალოგიური პროდუქტების ფასები ევროპულ ქვეყნებში.</p> <p>მიუხედავად ამ ზოგადად პოზიტიური ტენდენციისა, კომისიის ფიქსირებული ბაზრის კვლევის დოკუმენტში ნათქვამია, რომ არსებობს „სერიოზული მინიშნება, რომ შესაძლოა საქართველოში არსებობდეს</p> | <p>საცალო ფასების შედარება (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით) ფასების ანალიზის მხოლოდ ერთი მხარეა. მყიდველის თვალთახედვით, მომსახურების ხელმისაწვდომობა, ფასის შეფარდება მის პირად ან ოჯახის შემოსავალთან არის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ მთელი მსოფლიოს შედარებითი მონაცემები გამოქვეყნებულია ITU-ს მიერ<sup>3</sup>.</p> <p>კერძოდ, ინტერნეტ მომსახურების ფასის შეფარდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელთან ერთ სულ მოსახლეზე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.</p> <p>აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის მიერ ჩატარებული ფასების ბენჩმარკინგ კვლევის მიხედვით ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო ფასები ზოგადად უფრო დაბალია საქართველოში, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში, მათი ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი უფრო ცუდ-სურათს იძლევა, რაც ასახულია ერთ სულ მოსახლეზე მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში ფასების შედარებით მაღალი წილით. ბევრ შემთხვევაში (ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ან მაგალითად, რუმინეთსა და ხორვატიასთან შედარებით), ფასების ხელმისაწვდომობა საქართველოში ბევრად უარესია.</p> |

<sup>3</sup> <https://datahub.itu.int/data/?i=34616>

გარკვეული ფასების ხელმისაწვდომობის პრობლემები FTTx-ის მაღალ სიჩქარის მომსახურებებზე, რაც ზიანს აყენებს საბოლოო მომხმარებლებს“. ჩვენ არ ვეთანხმებით ამ დასკვნას, ვიანიდან ფასების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით არ არსებობს ამ განცხადების გაკეთების საფუძველი.


მართლაც, ფასების კვლევა აჩვენებს, რომ გარდა 100 მბ/წმ სიჩქარის მომსახურებებისა (რომელსაც უფრო დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ), საქართველოში ფასები ზოგადად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვა ევროპულ ბაზრებზე. ეს ადასტურებს, რომ საქართველოს საცალო ფართოზოლოვანი ბაზარი მომხმარებელს კარგ, კონკურენტუნარიან შედეგებს სთავაზობს და არ არსებობს ex ante რეგულირების საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ 100 მბ/წმ სერვისებზე საქართველოს ფასები მართლაც უფრო მაღალია, ჩვენ ვთვლით, რომ კომისიამ ზედმეტად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ პაკეტს.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ვარაუდით, არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შედარებით მაღალ საცალო ფასებსა და 100+ მბ/წმ სერვისების გამოყენების დაბალ დონეებს შორის, მას (კომისიას) არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ამ არგუმენტის გასამყარებლად. ამის ნაცვლად, არსებობს რამდენიმე პოტენციური მიზეზი, რითაც შეიძლება აიხსნას საქართველოში ძალიან მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების, მაგალითად, მეტად მოსალოდნელია, რომ ასეთი სერვისების ათვისება უფრო მაღალი იქნება განვითარებულ ბაზრებზე. თუმცა, საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორი ჯერ კიდევ განვითარებადია და სტაბილურად მოძრაობს უფრო განვითარებულ ევროპულ ბაზრებზე დაფიქსირებული მოხმარების მოდელისკენ. ამის დასტურია ევროპაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ასეთი მაღალ-სიჩქარიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მოთხოვნის ტენდენციები.


- მაგალითად, ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი 2023-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, დიაგრამა 5 ასახავს ისეთი ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მოხმარების წილს, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ 100 მბ/წმ სიჩქარეს ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანაში 2022 წლის მდგომარეობით, 2017 წელთან შედარებით. სურათი აჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარებასთან ერთად, ძალიან მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობა და მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა: 2022 წელს 100 მბ/წმ ფართოზოლოვანი ინტერნეტის მოხმარება დაახლოებით 55%

ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობა (ფასი მეგ-ის % ერთ სულ მოსახლეზე)



დინამიკაში ხელმისაწვდომობის ტენდენცია ასევე აჩვენებს, რომ საქართველოში გაუმჯობესების მიუხედავად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ფასის მხრივ მაინც გაცილებით ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე ევროპაში.

ხელმისაწვდომობის ტენდენციები ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების კალათებისთვის 2015-2023 წწ



წყარო: ITU DataHub



შეადგენდა ევროკავშირის ყველა ოჯახში, მერყობდა რა 20% - დან - საბერძნეთში და აღწევდა 87%-მდე ესპანეთში. თუმცა, 2017 წელს ეს საშუალო მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო და 15% შეადგენდა ევროკავშირის მასშტაბით: 0.1% საბერძნესა და კვიპროსში და 48% - შვედეთში.

- ამასთან ერთად, საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე (6674 აშშ დოლარი 2022 წლის მდგომარეობით) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (37433 აშშ დოლარი), ასევე ორჯერ უფრო ნაკლებია ბულგარეთის მშპ-ზე (13974 აშშ დოლარი), რომელიც თავის მხრივ, ყველაზე დაბალია ევროკავშირის 27 ქვეყანას შორის (და გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი წილით 100 მბ/წმ სერვისის მოხმარების თვალსაზრისით).

ამგვარად, ფრიად განსხვავებული მაკროეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ევროკავშირის ქვეყნებში ძალიან მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი სერვისების გამოყენების მაჩვენებელი არ წარმოადგენს სწორ საზომს საქართველოში მსგავსი სერვისების მოსალოდნელი ათვისებისათვის.

საქართველოში ძალიან მაღალ-სიჩქარიანი ფართოზოლოვანი სერვისების ლიმიტირებული მოხმარება შესაძლებელია განპირობებული იყოს საქართველოში ციფრული სექტორის საერთო განვითარების დონით გამოწვეული დაბალი მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა შეიძლება დროთა განმავლობაში გაიზარდოს, მიგვაჩნია, რომ მოთხოვნის მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, ამ ბაზრის ანალიზის ფარგლებში მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის მიზნებისათვის კომისიამ დაუსაბუთებლად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ ბაზრის სეგმენტს.

ბოლო 7 წლის განმავლობაში, ევროპას ხელმისაწვდომობის მიმართულებით დადებითი დინამიკა აქვს, ხოლო საქართველომ თავის მხრივ შეინარჩუნა უფრო მაღალი ფასები ინდივიდის საშუალო შემოსავალთან მიმართებაში. 2021 წელს ევროპაში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ორჯერ უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე საქართველოში.

ფასების ანალიზისას, ასევე, გასათვალისწინებელია კომპანიების ფინანსური მაჩვენებლებიც, კერძოდ, შპს „მაგთიკომის“ EBITDA (შემოსავლები საპროცენტო ხარჯის საგადასახადო, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯამდე, გაყოფილი მთლიან შემოსავლებზე) მარჯა 75%-იანი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი, ხოლო სს „სილქნეტის“ ანალოგიური მაჩვენებელი 61%-ს უტოლდება. შპს „მაგთიკომის“ მაჩვენებელი ევროპულ საშუალოსთან შედარებით, რომელიც 35%-ს შეადგენს, დაახლოებით ორჯერ მაღალია. შესაბამისად, საქართველოში შპს „მაგთიკომის“ საბაზრო პოზიცია და ძალიან მაღალი მომგებიანობის მაჩვენებელი (EBITDA სხვა შესადარის ქვეყნებთან მიმართებაში) არ ამართლებს საცალო ფასების მაღალ დონეს, რომლებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, ვიდრე ეს ევროპული ქვეყნების უმეტეს ნაწილშია ასახული.

ბულგარეთის მაგალითთან დაკავშირებით იხილეთ პასუხი N2 კომენტარზე.

6

კომისიის განახლებული ფასების კვლევა

მობილური ფასების კვლევის მსგავსად, კომისიის მიერ თავდაპირველ ანალიზში გამოყენებული მიდგომა შეიცავდა მეთოდოლოგიურ შეცდომებს. კერძოდ, კომისიამ არასწორად გაიანგარიშა მსყიდველუნარიანობის პარიტეტი (PPP), რის შედეგადაც მან გადაჭარბებულად წარმოაჩინა საქართველოში არსებული ფასები. კერძოდ, ადგილობრივი ვალუტიდან დოლარში ფასების კონვერტაციის არასწორმა მეთოდმა (PPP-ის გათვალისწინებით) გამოიწვია ის, რომ ქართული ფასები წარმოჩინდა იმაზე მაღლა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. კერძოდ კომისიის კვლევის ფარგლებში, ყველა ქვეყანის საცალო ფასების თაობაზე ინფორმაცია მოგროვდა 2023 წლის მარტში და კონვერტირებულ იქნა აშშ დოლარ PPP-ში, 2023 წლის სავალუტო კურსებისა და მსოფლიო ბანკის 2021 წლის CPL-ის გამოყენებით.

კომისიამ საქართველოში ტელეკომ მომსახურების ფასების 2023 წლის ბენჩმარკინგ კვლევის ფარგლებში მართლაც განაახლა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის PPP მაჩვენებელი, მას შემდეგ და იმ მიზეზით, რომ გამოქვეყნდა განახლებული PPP მონაცემები, თუმცა, განახლებული კვლევის შედეგებმაც იგივე სურათი აჩვენა - კერძოდ, კვლავ შენარჩუნდა მოცემულობა, რომ მაღალი სიჩქარის პაკეტები ევროპულ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ძვირია;

კომისიის მხრიდან კვლევის ფარგლებში გაანალიზებული და მხედველობაში მიღებულ იქნა განახლებული შედეგები, შესაბამისად გამოთქმული მოსაზრება, რომ კომისიამ დასკვნები დააფუძნა ბენჩმარკინგ კვლევის თავდაპირველ შედეგებზე, მცდარია.

სილქნეტმა აცნობა კომისიას მის მიდგომაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რის საპასუხოდაც კომისია შედარებითი ანალიზის განახლებას შეუდგა. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მეორე კვლევამ მკვეთრად განსხვავებული დასკვნები მოგვცა ევროპულ ფასებთან მიმართებით.

შესაბამისად, თავდაპირველი შედარებითი ანალიზი, რომელზეც, როგორც ჩანს, კომისიამ დააფუძნა საკუთარი დასკვნები, მნიშვნელოვნად მაღალ ფასებს წარმოაჩენდა საქართველოსთვის.

7

საბითუმო ლოკალური და ცენტრალური დაშვების ბაზრის კომისიისეული განმარტება და მოდიფიცირებული გრინფილდ მიდგომა

ჩვენ მტკიცედ არ ვეთანხმებით კომისიის მიდგომას, რომლის თანახმადც მან (FTTx ქსელის ფარგლებში) ერთი პროდუქციული ბაზარი განსაზღვრა საბითუმო ადგილობრივი (WLA) და საბითუმო ცენტრალური (WCA) დაშვების მომსახურებებისატვის.

ბაზრის ერთ ბაზარში გაერთიანება, არასწორად წარმოაჩენს სატელეკომუნიკაციო ქსელებში “მიწოდების ჯაჭვს” (supply chain) ქვემოთ აღწერილი გვაქვს ზოგადად თუ როგორ განიმარტება WLA და WCA სერვისები, ასევე, როგორია მათი ურთიერთქმედება ერთმანეთზე და სხვა, დაკავშირებულ ბაზრებთან, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ იმ ხარვეზებს, რომელსაც ვხვდებით კომისიის ანალიზსა და დასკვნებში.

პროცედურების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრა არ არის მექანიკური და აბსტრაქტული პროცესი. იგი საჭიროებს ბაზარზე წარსული ქცევის განმსაზღვრელი ყველა არსებითი ფაქტორივი გარემოების ანალიზს და სექტორის მუშაობის სრული მექანიზმის გათვალისწინებას. კომისია ამგვარი ფაქტორივი გარემოებების გამოვლენის საფუძველზე განსაზღვრავს მომსახურებების სპექტრს, რომლებსაც ბაზრის მონაწილე ავტორიზებული პირების მომხმარებლები აღიქვამენ ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებებად, აგრეთვე მათი ჩანაცვლებადობის ხარისხს. კომისიის მიერ გაანალიზებული ფაქტორივი გარემოებები უნდა მოიცავდეს ინდიკატორებს, რომლებიც განსაზღვრავს მომხმარებლების მხრიდან მომსახურებების ჩანაცვლების მიზეზებს. შესაძლოა, ასეთი ინდიკატორების კატეგორიებს მიეკუთვნებოდეს მომხმარებლის პრეფერენციები მომსახურების კონკრეტულ მახასიათებლებთან, ფასებთან, სხვა მომსახურებაზე გადასვლის ბარიერებთან და ხარჯებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა მომსახურებაზე გადასვლის ხარჯი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ან ხელი შეუშალოს კონკრეტული მომსახურების ჩანაცვლებას, მაშინ ასეთი მომსახურება ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებად არ განიხილება. სხვა მომსახურებაზე გადასვლის ხარჯი შესაძლოა, მოიცავდეს ტერმინალური მოწყობილობების ღირებულებას, ხელშეკრულების დარღვევისათვის დაწესებულ პირგასამტეხლოს და ა.შ.”

საქართველოში ამჟამად საბითუმო FTTx დაშვების მომსახურების მიწოდება არ ხდება, არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ ქსელში. პოტენციური ახალი შემსვლელი კომპანიისთვის საცალო ბაზარზე სერვისის მიწოდების ყველაზე ნაკლები რისკის შემცველი საშუალებაა ცენტრალური დაშვების საბითუმო WCA მომსახურების გამოყენება. არსებულ ოპერატორებს, რომლებსაც უკვე აქვთ საკუთარი ძირითადი ქსელი, რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებას შეუძლიათ განიხილონ ადგილობრივი დაშვების მომსახურების მოთხოვნა, როგორც შედარებით დაბალი რისკის შემცველი საბითუმო დაშვების საშუალება.

მცირე, საშუალო და უფრო დიდი ზომის დაშვების მსურველი კომპანიების ქსელი შეიძლება არ იყოს ისეთივე, როგორც უფრო ჩამოყალიბებული ეროვნული ოპერატორის, ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების წერტილებს შორის საზღვრის თვალსაზრისით. ამიტომ კვლევის ფარგლებში შევასდა, რომ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ქსელზე დაშვების საბითუმო ბაზარზე დაშვების მაძიებლები განიხილავენ როგორც WCA-ს, ასევე WLA-ს, როგორც მოქმედ ალტერნატივებს, რაც

|   |                    |  |   |
|---|--------------------|--|---|
|   |                    |  | <p>დამოკიდებულია მათი ძირითადი ქსელის დაფარვის, მათი პერსონალის ტექნიკური ექსპერტიზისა და რისკისადმი ტოლერანტობის მიხედვით. მიჩნეულია, რომ დაშვების მაძიებლების, „მომხმარებლის მიერ უპირატესობის მინიჭება“ არ ამართლებს ორი განსხვავებული პროდუქტის ბაზრის არსებობას.</p> <p>კომისია ეთანხმება კომენტარში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორი პროდუქტის ბაზრის განსაზღვრა განხორციელდებოდა, ბაზრის ანალიზის ფარგლებში შესწავლილი უნდა ყოფილიყო, საკმარისი იქნებოდა თუ არა მხოლოდ ყველაზე ზემოთ მდგომ საბითუმო ბაზარზე დაშვების ვალდებულების დაწესება საცალო დონეზე გამოვლენილი კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა ცხადია, რომ მხოლოდ მცირე პოტენციურ ახალ შემსვლელს აქვს საშუალება და გამოცდილება განავითაროს კონკურენტული ქსელი მხოლოდ საბითუმო ლოკალური დაშვების, WLA-ზე მომსახურებაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ბაზრის ანალიზის შედეგად კომისიამ მიიჩნია, რომ დაშვების მაძიებლების უმეტესობა მთელი საქართველოს მასშტაბით განიხილავს საბითუმო ადგილობრივ დაშვებას და საბითუმო ცენტრალური დაშვების მომსახურებას, როგორც ერთადერთ გზას, რომლითაც მათ შეუძლიათ რეალურად უზრუნველყონ თავიანთი სერვისების მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, შპს “მაგთიკომის” FTTx ქსელის დაფარვის გამოყენებით. შედეგად, ერთიანი ბაზრის განმარტება (რომელიც მოიცავს WCA და WLA) არ ცვლის შემოთავაზებულ მარეგულირებელ მექანიზმებს (გადაწყვეტილების ფარგლებში დაწესებულ ვალდებულებებს).</p> |
| 8 | WLA და WCA ბაზრები | <p>საბითუმო დაშვების სერვისი გულისხმობს დაშვების ქსელში ლოკალურ გაცვლის დონეზე აგრეგაციის წერტილსა და საბოლოო მომხმარებლის ფართს შორის კავშირს.28,29 აღნიშნული მოიცავს რიგ საბითუმო პროდუქტს, მათ შორის პასიურ ინფრასტრუქტურას (როგორცაა, სპილენძის ქსელში sub-loop unbundling და local loop unbundling, ან LLU), ასევე, აქტიურ “პროდუქტებს” (მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, VULA).</p> <p>ეს გულისხმობს, რომ WLA ბაზარი მოიცავს სერვისებს, რომელიც საშუალებას აძლევს დაშვების მაძიებელს მოიპოვოს კონტროლი სააბონენტო სპილენძის ან ოპტიკურ-ბოჭკოვან ადგილობრივ ქსელზე, რომელიც განთავსებულია საბოლოო მომხმარებელთან უფრო ახლოს. ეს ნიშნავს, რომ WLA სერვისი შესაძლებლობას აძლევს დაშვების მაძიებლებს მომხმარებლებს შესთავაზონ დიფერენცირებული საცალო სერვისები. ეს ასევე ნიშნავს, რომ დაშვების მაძიებელმა, რომელიც ყიდულობს WLA სერვისებს, უნდა ჩადოს ინვესტიცია საკუთარ ძირითად ქსელში და ტრანზიტულ კავშირში ადგილობრივი დაშვების წერტილთან (PoP) დასაკავშირებლად, რათა შეძლოს საკუთარი საცალო სერვისების მიწოდება საბოლოო მომხმარებლებისთვის.</p> | იხ. პასუხი წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის N7 კომენტარზე.  |

ცენტრალურინ საბითუმო დაშვების სერვისი გულისხმობს საბოლოო მომხმარებლის ფართიდან ცენტრალური აგრეგაციის წერტილამდე (ე.ი. ლოკალური დაშვების წერტილის მიღმა) აქტიური ფართოზოლოვანი კავშირის გაქირავებას. რაც თავის მხრივ მოიცავს ბიტსტრიმ დაშვების (BSA) პროდუქტებს, რომელიც ხელმისაწვდომია სპილენძის ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით შესაბამისად, WCA სერვისი მოიცავს დაშვების მიმწოდებლის სატრანზიტო ქსელის გამოყენების გარკვეულ დონეს. თუმცა, გამორიცხავს სპილენძის ან ოპტიკურ-ბოჭკოვან ადგილობრივ/ლოკალურ სააბონენტო ქსელზე პირდაპირ წვდომას.

2014 წლის რეკომენდაციაში ასევე ნათქვამია, რომ WCA პროდუქტები “როგორც წესი, [WLA-თან მიმართებით] დაშვების მაძიებლებს მიეწოდება ქსელის არქიტექტურის უფრო მაღალ და ცენტრალურ დონეზე”, როგორცაა “რეგიონალური ან ეროვნული დაერთების წერტილები”.

ვინაიდან, დაშვება ხორციელდება ქსელის მაღალ წერტილში, WCA პროდუქტის მიმღებ დაშვების მაძიებლებს, ადგილობრივ წვდომასთან შედარებით, ნაკლები კონტროლი ექნებათ თავიანთ მომსახურებაზე, რადგან დაშვების მაძიებელს ნაკლები ინვესტიციის განხორციელება ჭირდება ძირითად ან/და სატრანზიტო ქსელში. ამასთან დაშვების მაძიებელს ასევე, არ აქვს უშუალო კონტროლი ადგილობრივ ოპტიკურ (ან სპილენძის) სააბონენტო ქსელზე.

აღნიშნული ადგენს ცალკეულ WLA და WCA ბაზრებში შემავალ სერვისებს შორის მკაფიო განსხვავების საფუძველს. ამის მიუხედავად, კომისიამ WLA და WCA სერვისები ერთ ბაზარში განიხილა.

9 მიწოდების ჯაჭვი და WLA და WCA ბაზრებს შორის ურთიერთმიმართება

ზემოაღნიშნული განსხვავებების საფუძველზე, მარეგულირებლები, WCA ბაზარს მიიჩნევენ WLA ბაზრის ქვემდგომ ბაზრად და საცალო ფართოზოლოვანი ბაზრის ზედა დონედ.

ბაზარი მიიჩნევა WCA ბაზარის ზემოთ მდებარე ბაზრად, ვინაიდან დაშვების მაძიებლებს მოეთხოვებათ უფრო ფუნდამენტალური ინფრასტრუქტურის შექმნა (ე.ი. საბოლოო მომხმარებელთან უფრო ახლოს). ეს საშუალებას აძლევს WLA სერვისების მაძიებელს, თავის მხრივ, უზრუნველყოს სხვა დაშვების მაძიებლების საკუთარი WCA სერვისზე დაშვება, რადგან მას აქვს

იხ. პასუხი წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის N7 კომენტარზე.

საკუთარი ძირითადი და სატრანზიტო ქსელი, რომელსაც ის იყენებს თავისი მომხმარებლების საცალო მომსახურებით უზრუნველსაყოფად. გრინფილდ მიდგომის (MGA) მიხედვით და იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ მარეგულირებელი ზომები მიმართული უნდა იყოს რაც შეიძლება მაღალ დონეზე, ეს ნიშნავს, რომ მარეგულირებელი WCA ბაზარში უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ WLA ბაზარი არასაკმარისია საცალო ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. WLA და WCA სერვისების ერთ ბაზარში გაერთიანების შედეგად კი, კომისიამ გამოტოვა ეს ნაბიჯი.

**10 ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარი**

WLA და WCA ბაზრებთან ერთად, ფართოზოლოვანი სერვისის მიწოდების ჯაჭვი, ასევე მოიცავს სხვა დაკავშირებულ ბაზრებს, მათ შორის სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარს. (Duct access).

WLA და WCA ბაზრების ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მოხდეს ბაზარზე არსებული სხვა რეგულაციის შედეგების WLA და WCA ბაზრებზე და შესაბამისად, საცალო ფართოზოლოვანი ბაზრებზე ზეგავლენის იდენტიფიცირება. სხვაგვარად, შეუძლებელია დარწმუნებული ვიყოთ, რომ WLA და WCA ბაზრებზე დადგენილი ვალდებულებები არის პროპორციული და არ წარმოადგენს არასაჭირო მარეგულირებელ ტვირთს ოპერატორისათვის.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარი წარმოადგენს WLA ბაზრის (და შესაბამისად, WCA ბაზრის) ზემოთ მდგომ ბაზარს. შესაბამისად, მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომით, WLA (და WCA) ბაზრების წინასწარ რეგულირებამდე, კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს SMP ვალდებულებებთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია, რომელიც გამომდინარეობს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე დაშვების საბითუმო ბაზრიდან.

კომისია თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების ex-ante რეგულაცია, სათანადოდ ვერ პასუხობს ქვედა დონეზე არსებულ კონკურენციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კომისიის ეს დასკვნა ეფუძნება მოსაზრებას, რომ საცალო ბაზარზე არსებობს კონკურენციის ნაკლებობის ნიშნები. უფრო სრულყოფილი და ზუსტი შეფასებისთვის, კომისიას მხედველობაში უნდა მიეღო WLA და WCA ბაზრების ქვედა დონეზე, პასიური ინფრასტრუქტურაზე დაშვების ბაზარზე (არსებული) ex-ante ვალდებულებების ზეგავლენა.

კომენტარში ასახული მიდგომა გარკვეულწილად ეხება პროცედურების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც მოიცავს შემდეგ ჩანაწერს, „პირველ რიგში მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ამ პროცედურების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტით შეფასდეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას – ე. ი. რომლის წინასწარი რეგულირება საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამ პროცესში კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან. თუ საცალო ბაზრის ყველაზე მაღლა მდგომ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაწესებულია სპეციფიკური ვალდებულება, მაგრამ არ არის საკმარისი საცალო ბაზარზე იდენტიფიცირებული კონკურენციის პრობლემ(ებ)ის აღმოსაფხვრელად, კომისია გადადის მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონის ბაზრის სეგმენტების განსაზღვრასა და ანალიზზე მოდიფიცირებული გრინფილდის მეთოდის გამოყენებით.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მე-6 თავში საბითუმო ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების არსებულ რეგულირებასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარზე კონკურენციის წინასწარი რეგულირება და კომერციული ხელშეკრულებები არ იყო საკმარისი გადაეჭრათ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე გამოვლენილი კონკურენციის პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების სიმეტრიული ვალდებულება გარდა სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე დაშვების ვალდებულებისა ასევე მოიცავს დამატებით ბომებსა და არასატელეკომუნიკაციო ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებას, მაინც არ არის საკმარისი მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილებისთვის (იხ. გადაწყვეტილების ქვეთავები 5.2 და 5.3). მაშინაც კი, როდესაც ასეთი დაშვება ეფექტური იქნება, კონკურენტი FTTx ქსელების განვითარება მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და არ მოახდენს გავლენას ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ქვედა დონის საბითუმო ბაზრებზე ჩარევა მიჩნეულ უნდა იქნეს გამართლებულად იმისათვის,

|           |   |   |
|-----------|---|---|
|           | <p>კერძოდ, კომისიას უნდა შეეფასებინა საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე დაშვების ბაზარზე, ნებისმიერი SMP ოპერატორის შესაძლებლობა, ინფრასტრუქტურაზე დაშვების მაძიებლებს უარი უთხრან თანამშრომლობაზე ან შესთავაზოს დაუსაბუთებელი პირობები და ასევე, ასეთი ქმედებების ზეგავლენა WLA და WCA ბაზრების ქვედა დონეზე.</p>   | <p>რომ გავუმკლავდეთ კონკურენციის ნაკლებობას მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე.</p>  |
| <p>11</p> | <p>ფიქსირებული ფართოზოლოვანი ოპერატორების არსებული სიმეტრიული ვალდებულებები და არსებული წინასწარი რეგულირების გათვალისწინება</p> <p>კომისიის მიერ მომზადებულ ფიქსირებულ ბაზრის ანალიზში არ არის აღნიშნული საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის გავლენის შესახებ. ეს ეწინააღმდეგება როგორც ევროკომისიის 2014 წლის რეკომენდაციის განმარტებით ბარათს, ისე ევროკავშირის SMP სახელმძღვანელო მითითებების მე-17 პუნქტს, რომელთა მიხედვითაც, ბაზრის ანალიზისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამის პერიოდზე მოქმედი სხვა სახის რეგულაციების გავლენა შესაბამის საცალო და მასთან დაკავშირებულ საბითუმო ბაზრ(ებ)ებზე.</p> <p>გარდა ამისა, ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოსა (კერძოდ, მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომის (MGA)თანხმად) და SMP-ის სახელმძღვანელო მითითებების თანხმად, მარეგულირებელმა ორგანოებმა ბაზრის ანალიზის ჩატარებისას მხედველობაში უნდა მიიღონ ბაზრის არსებული პირობები, მათ შორის სხვა სახის რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე, ასევე მოსალოდნელი ან განჭვრეტადი ბაზრის განვითარების ტენდეციები მომდევნო განხილვის პერიოდისთვის, SMP - ზე დაფუძნებული რეგულირების არარსებობის პირობებში.</p> <p>შესაბამისად, ვთვლით, რომ კომისიის მიერ ჩატარებული ფიქსირებული ბაზრის ანალიზი არ შეესაბამება არც ევროკავშირის მარეგულირებელ ჩარჩოს და არც ქართულ SMP სახელმძღვანელო მითითებებს.</p> <p>გარდა ამისა, კომისიას ტრანზიტული ("backhaul") და მაგისტრალური („backbone“) გამოყოფილი ხაზებისა და გაუნათებელი ოპტიკური მარღვების ("dark fibre") საბითუმო დაშვების" ბაზარზე უკვე დაწესებული აქვს წინასწარი რეგულაციები და სხვადასხვა გეოგრაფიულ ბაზრის სეგმენტზე, უკვე განსაზღვრული ყავს SMP ოპერატორები. ზემოაღნიშნულის ფარგლებში, როგორც სილქნეტს, ისე</p> | <p>ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეციფიკურ ვალდებულებას, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად კომისიის გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრების შემთხვევაში. შესაბამისად, „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაშვების ვალდებულება წარმოადგენს ავტორიზებული პირთა ზოგად ვალდებულებას, რაზედაც, ასევე მიუთითებს აღნიშნული მუხლის სათაური: „ავტორიზებულ პირთა ზოგადი უფლებები და ვალდებულებები“, რომელიც, შემდგომ, კონკრეტულად სპეციალური ნორმით, კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, რომლის სათაურია: „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება“ და წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ავტორიზებული პირის ვალდებულებას.</p> <p>გარდა ზემოაღნიშნულისა, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან ავტორიზებული პირის დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განიხილოს დავა ავტორიზებული პირის მომართვის შემთხვევაში, რომელსაც წინ უნდა უძღვოდეს ავტორიზებულ პირებს შორის მოლაპარაკების წარმართვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების შესაბამის ელემენტებთან დაშვების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების დადების მიზნით და დაშვებაზე უარი ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე შეუთანხმებლობა, რაც საჭიროებს დროს. ამავე დროს, კონკრეტულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად მოდავე მხარეებისთვის, ვერ უზრუნველყოფს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან სხვა ავტორიზებული პირის დაშვებაზე უარის თქმის პრევენციას. ამასთან, ავტორიზებულ პირებს (საბაზრო</p> |

მაგთიკომს დაკისრებული აქვს თავიანთ სატრანზიტო (“backhaul”) და მაგისტრალურ („backbone“) ქსელებზე დაშვების ვალდებულება.

კომისიამ საერთოდ არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული ვალდებულება განხორციელებულ ბაზრის ანალიზში, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა კომისიის დასკვნებზე, ამ ბაზარსა და განსახილველ ბაზრებს (ლოკალური საბითუმო დაშვებისა (WLA) და ცენტრალური საბითუმო დაშვების (WCA)) შორის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნები, თავისი არსით, არასრულია და არ ასახავს რეალურ რეგულაციებს, რომელიც დაკისრებული აქვთ ოპერატორებს.

ხარვეზების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კომისიამ შეცვალოს თავისი შეფასება საბითუმო ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ბაზრების წინასწარი რეგულირებისადმი დაქვემდებარებულად მიჩნევის ნაწილში. აღნიშნული მიზნით, მან სწორად უნდა გამოიყენოს მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომა, მათ შორის, არსებული მარეგულირებელი ვალდებულებების ზედა დონის ბაზრებზე გათვალისწინების აუცილებლობის კუთხით, როგორც ეს მოცემულია კომისიისავე შემუშავებულ SMP სახელმძღვანელო წესებში.

ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების გარდა, თუ მათ დაკისრებული აქვთ ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება არ არიან ვალდებულები წინასწარ გამოაქვეყნონ დაშვების ტექნიკური და ეკონომიკური პირობები. ამდენად, „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაშვების ვალდებულების სხვაგვარი ინტერპრეტაცია არასაკმარისია არსებული კონკურენციის პრობლემების აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მე-6 თავში საბითუმო ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების არსებულ რეგულირებასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარზე კონკურენციის წინასწარი რეგულირება და კომერციული ხელშეკრულებები არ იყო საკმარისი გადაჭრათ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე გამოვლენილი კონკურენციის პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების სიმეტრიული ვალდებულება გარდა სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე დაშვების ვალდებულებისა ასევე მოიცავს დამატებით ზომებსა და არასატელეკომუნიკაციო ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებას, მაინც არ არის საკმარისი მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილებისთვის (იხ. გადაწყვეტილების ქვეთავები 5.2 და 5.3). მაშინაც კი, როდესაც ასეთი დაშვება ეფექტური იქნება, კონკურენტი FTTx ქსელების განვითარება მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და არ მოახდენს გავლენას ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ქვედა დონის საბითუმო ბაზრებზე ჩარევა მიჩნეულ უნდა იქნეს გამართლებულად იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ კონკურენციის ნაკლებობას მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელ მექანიზმებში ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვება და გამოყოფილ არხებზე დაშვება დამხმარე ვალდებულებებად განსაზღვრა შემდეგნაირად:

- უზრუნველყოს მესამე მხარის ხელმისაწვდომობა დამხმარე სერვისებზე (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებს და ზომებს; ოპტიკურ-ბოჭკოვან მარღვებს(მაგ. გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მარღვები); გამოყოფილი არხებით მომსახურებას xWDM ან Ethernet ტექნოლოგიაზე დაფუძნებული). დამხმარე სერვისების მიწოდების მიზანი არის, დაშვების მსურველ პირს მიეცეს შესაძლებლობა მიაღწიონ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირის ქსელში დაშვების/გადაცემის წერტილამდე. თუ ერთზე მეტი დამხმარე სერვისია

|  |  |   |
|--|--|---|
|  |  | <p>ხელმისაწვდომი, დაშვების მსურველს შეუძლია აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი მომსახურება;<sup>4</sup></p> <p>დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზარი, მეტწილად წარმოადგენს გამოყოფილი სიმძლავრით ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდების ბაზართან დაკავშირებულ საბითუმო ბაზარს (რომელიც ევროკავშირში ცნობილია როგორც „High Quality Access Market“), აღნიშნული საცალო ბაზარი მოიცავს მსხვილი ბიზნეს სუბიექტებისთვის მომსახურების მიწოდებას გამოყოფილი სიმძლავრეებით, სიმეტრიული ატვირთვისა და ჩამოტვირთვის სიჩქარეებით. ამასვე ადასტურებს ევროკომისიის 2018 წლის განმარტებითი ბარათი<sup>5</sup> შესაბამის ბაზრებთან დაკავშირებით.</p>  |
|  | <p>12 გეოგრაფიული ბაზრის ანალიზის ჩატარებისას, კომისიამ არ შეაფასა სხვადასხვა ოპერატორების ქსელებს შორის გადაფარვა</p> <p>გარდა იმისა, რომ ვეთანხმებით კომისიას, რომ საჭიროა ბაზრის სეგმენტირების განსაზღვრა, ჩვენ ფუნდამენტურად არ ვეთანხმებით კომისიის მიდგომას სეგმენტირების ნაწილში. იმიტომ, რომ აღნიშნული მიდგომად ზედმეტად მარტივია და არაზუსტად ასახავს რეალურ კონკურენტულ დინამიკას ქვეყანაში.</p> <p>ნაცვლად, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ოპერატორის ქსელის გადაფარვის ხარისხი ადგილობრივ ტერიტორიაზე. მაგალითად, ბევრ ოპერატორს, რომელთაც მცირე წილი უჭირავთ დასახლების ბაზარზე, მაინც შეუძლიათ კონკურენტული წნეხის შექმნა დიდი ოპერატორებისთვის, თუ სხვადასხვა ქსელს შორის გადაფარვის გამოა, დიდი ოპერატორები მოკლებული არიან დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას. როგორც ასეთი, მხოლოდ საბაზრო წილებზე დაფუძნებული შეფასება შეიძლება განმსაზღვრელი იყოს კონკურენციის დონის, მაგრამ არ შეიძლება იყოს მარეგულირებელი ვალდებულებების დაკისრების საფუძველი.</p> <p>ამისა, ვფიქრობთ, რომ კომისიის მიერ შემოთავაზებული მიდგომა დიდი დასახლებების მიმართ არარელევანტურია. მონაცემთა ნაკლებობა არ შეიძლება იყოს გეოგრაფიულ ერთეულებზე ისეთი</p> | <p>კომისიის მიერ ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის ანალიზის ფარგლებში განხორციელდა კონკურენტული გარემოს შეფასება დასახლებების დონეზე. რომლის ფარგლებშიც განხორციელდა დასახლებების დაჯგუფება კონკურენციის დონეების (კონკურენტული, კონკურენციისკენ მიდრეკილი და არაკონკურენტული) მიხედვით და მათზე გავრცელდა კონკურენციის პრობლემების პროპორციული ვალდებულებები, როგორც ამას ქართული და ევროპული კანონმდებლობები განსაზღვრავენ.</p> <p>დასახლებების კონკურენტული გარემოს ანალიზისთვის კომისიამ გამოიყენა რამოდენიმე კრიტერიუმი კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიულ არეალში უნდა ოპერირებდეს სულ მცირე სამი FTTx ქსელის ოპერატორი (კონკურენტების რაოდენობის კრიტერიუმი;</li> <li>• FTTx ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის წილი უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები (დომინანტი ოპერატორის ბაზრის წილი)ლ</li> <li>• მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გარდა გეოგრაფიულ არეალში უნდა ოპერირებდეს მინიმუმ ორი დამატებითი FTTx ოპერატორი და თითოეულის საბაზრო წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით ჯამური</li> </ul> |

<sup>4</sup> საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სერვისები არ წარმოადგენენ ამ შესაბამისი ბაზრის ნაწილს და შპს “მაგთიკომისთვის” დაკისრებული მათი მიწოდების ვალდებულება განისაზღვრება სხვა შესაბამის ბაზრებზე შპს “მაგთიკომის” შესაძლო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების სტატუსისგან დამოუკიდებლად, სადაც ეს სერვისები ბაზრის განსაზღვრების ნაწილია. ეს სერვისები (დამხმარე სერვისები) დაწესებულია ამ შესაბამის ბაზარზე დაშვების ძირითადი ვალდებულების გაუმჯობესების მიზნით.

<sup>5</sup> ევროკომისიის 2018 წლის განმარტებითი ბარათი შესაბამის ბაზრებთან დაკავშირებით გვ 43. <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/news/commission-updated-recommendation-relevant-markets> pg 43



რეგულაციის დაწესების საფუძველი, რომელიც თავისი არსით არის კაბალური და მძიმე ტვირთის მქონე, თუ ასეთი გეოგრაფიული ერთეულები აკმაყოფილებენ მათი კონკურენტულად მიჩნევის კრიტერიუმებს (კომისიის მიერ განსაზღვრულის შესაბამისად).

ამისა, მეტად სავარაუდოა, რომ დიდი ქალაქები უფრო მეტად კონკურენტულია, ვიდრე მცირე დასახლებები, რადგან ამგვარ ქალაქებში დიდი რაოდენობით კონკურენტი პროვაიდერები ფუნქციონირებენ. მაგალითად, კომისიის ბაზრის ანალიზის თანახმად, თბილისს აქვს სატელეკომუნიკაციო ქსელებით ყველაზე მაღალი დაფარვა, მათ შორის ოთხი FTTx პროვაიდერი, ორი xDSL პროვაიდერი და ორი FWA პროვაიდერი. კონკურენტი ქსელების არსებობა პოტენციულად უფრო დიდი კონკურენტული წნეხის განმაპირობებელია ოპერატორებისთვის, რაც წინასწარი რეგულირების საჭიროებას ასუსტებს.

გამომდინარე, ნათელია, რომ კომისიამ ხელხლა უნდა შეაფასოს, თუ როგორ ახდენს ასეთი დიდი დასახლებების კატეგორიზაციასა და შეფასებას. იდეალურ შემთხვევაში, ეს მოიცავს უფრო დეტალური ინფორმაციის შეგროვებას ამ დასახლებებში კონკურენციის ბუნების შესახებ. თუ ეს შეუძლებელია, კომისიამ უარი უნდა თქვას თავის „კონკურენტულ, მაგრამ ძალიან დიდ“ კრიტერიუმზე და უბრალოდ შეაფასოს ეს დასახლებები იმავე კრიტერიუმებით, რომლებსაც იყენებს სხვების მიმართ, რაც ასეთ არეალებში კონკურენციის სავარაუდო არსებობის ფაქტის დადგენის შესაძლებლობას განაპირობებს.

აბონენტების მინიმუმ 10%-ს უნდა შეადგენდეს: (კონკურენტი ოპერატორების ბაზრის წილები)

ბაზრის მიკდრეკილების შეფასებისთვის კონკურენციის მიმართ კომისიამ წარმოადგინა დამატებით ორი კრიტერიუმი:

- გეოგრაფიულ არეალში წარმოდგენილი უნდა იყოს სამი FTTx ქსელი, სადაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის წილი FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მომხმარებლების მიხედვით 40%-ზე მეტია, თუმცა წარსული სტაბილური ტენდენციის ექსტრაპოლაციის საფუძველზე მიიჩნევა, რომ ბაზრის წილი მიდრეკილია გახდეს 40%-ზე ნაკლები ამ ბაზრის ანალიზის მომავლის პერსპექტივაში (საბაზრო წილების დინამიკა).
- გეოგრაფიულ არეალში ოპერირებს სამი ოპერატორი (მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ჩათვლით) მათ შორის ბაზარზე უნდა ოპერირებდეს მინიმუმ ერთი ოპერატორი, რომელსაც გააჩნია ფართების (Premises) არანაკლებ 80%-ის დაფარვა, ხოლო მეორეს - ფართების არანაკლებ 20%-ის დაფარვა (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის დაფარვა)

შესაბამისად, კომენტარში გამოთქმული მოსაზრება, რომ კომისიის მიერ განხორციელებული კონკურენციის დონის შეფასება დასახლებების მიხედვით, მხოლოდ ბაზრის წილებზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი, მცდარია და არ შეესაბამება რეალობას.

რაც შეეხება კომისიის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს სხვადასხვა დასახლებებში კონკურენტუნარიანობის დონის შესაფასებლად, მსგავსი კრიტერიუმები გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში. მაგალითად, უნგრეთში, საჭიროა, რომ მეორე და მესამე ოპერატორის ბაზრის წილები შეადგენდეს მინიმუმ 15%-ს, მაშინ როცა ბაზრის პირველ მოთამაშის ბაზრის წილი უნდა შეადგენდეს 50%-ზე ნაკლებს იმისათვის რომ ბაზარი მიჩნეულ იქნეს კონკურენტულად. სლოვენიაში გამოყენებულ იქნა ანალოგიური მაჩვენებლები ბაზრის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, მაგალითად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის წილი (SMP) უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები, ხოლო მინიმუმ ორი ოპერატორი წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ 10%-იანი ბაზრის წილით.

კომისიის მიერ განხორციელებულმა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის დაფარვის ანალიზმა აჩვენა, რომ შპს “მაგთიკომი” საქართველოში ჯამური ფართების 88.6%-ფარავს, მაშინ როდესაც, სს “სილქნეტის” ანალოგიურმა მაჩვენებელმა 57.2% შეადგინა, ხოლო სხვა მცირე ოპერატორების ჯამურმა მაჩვენებელმა დაახლოებით 11% შეადგინა, გარდა ამისა, შპს “მაგთიკომი” ლიდერია აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ შპს “მაგთიკომის” ეს მაჩვენებელი აღწევს 43.3%-ს, ხოლო სს “სილქნეტის” 38.4%-ს, რაც ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ შპს “მაგთიკომი” უფრო ეფექტიანად იყენებს საკუთარ ქსელს აბონენტების აყვანის თვალსაზრისით ვიდრე სს “სილქნეტი”.

|    |   |   |
|----|---|---|
|    |   | <p>აღნიშნული ანალიზის ნათლად გვიჩვენებს, რომ სს “სილქნეტისა” და შპს “მაგთიკომის” ქსელების გადაფარვა ვერ იქნება უზრუნველყოფილი მინიმუმ ჯამური ფართების 31%-ში. იქაც კი, სადაც შპს “მაგთიკომი” და სს “სილქნეტი” შესაძლოა ერთდოულად იყვნენ წარმოდგენილი შპს “მაგთიკომი” უფრო ეფექტიანად გამოიყენებს თავის ქსელს აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით. შესაბამისად, კომენტარში გამოთქმული მოსაზრება, რომ ოპერატორების ქსელების გადაფარვა მნიშვნელოვნად შეცვლიდა კონკურენტულ სურათს ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურების ბაზარზე მცდარია, რასაც ასევე ადასტურებს შემდეგ კომენტარში ასახული კომისიის პასუხი კონკურენტულ წნებთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა განიცდიდეს შპს “მაგთიკომი” ორი მსხვილი დამოუკიდებელი ოპერატორის მხრიდან.</p>   |
| 13 | <p>პოტენციური კონკურენტული წნეხი, ორი მსხვილი, დამოუკიდებელი ფიქსირებული ქსელის ოპერატორის მხრიდან</p> <p>ასევე აღნიშნავთ, რომ კომისიის დასკვნები საცალო ფიქსირებულ ფართობოლოვან ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ნაკლებობასთან და საბითუმო ბაზარზე წინასწარი რეგულირების საჭიროებასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება ევროპის პრაქტიკას. კერძოდ, ევროპის ბევრ ქვეყანაში სამი, ან თუნდაც ორი, კონკურენტი ფიქსირებული ფართობოლოვანი ქსელების არსებობა საკმარისია ეფექტური კონკურენციის შესაქმნელად.</p> <p>დაკავშირებით, კომისიას საკმარისად არ აქვს განმარტებული, თუ რატომ არ იძლევა საქართველოში არსებული ვითარება მსგავსი დასკვნის გამოტანის საფუძველს, ორი კონკურენტი ეროვნული ქსელისა და მრავალი ადგილობრივი პროვაიდერის არსებობის გათვალისწინებით.</p> | <p>საქართველოში ოპტიკური ინტერნეტის აბონენტების რაოდენობამ სულ 952 ათასი შეადგინა, საიდანაც შპს „მაგთიკომის“ წილი ნახევარზე მეტი - 53% იყო, მაშინ, როდესაც სს „სილქნეტისთვის“ ეს მაჩვენებელი 32%-ს, ახალი ქსელების ჯგუფისთვის – 7%-ს, შპს „სქაიტელისთვის“ – 2%-ს, ხოლო სხვა კომპანიებისთვის ჯამში 6%-ს შეადგენდა. შპს „მაგთიკომი“ ოპტიკური ინტერნეტით საქართველოში ყველაზე მეტ - 602 დასახლებას ფარავს, სს „სილქნეტი“ მხოლოდ - 71-ს, შპს „სქაიტელი“, რომელიც ძირითადად მცირე დასახლებებში ოპერირებს – 212-ს, ახალი ქსელების ჯგუფი კი მხოლოდ 14 დასახლებაშია წარმოდგენილი. გარდა ამისა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შპს „მაგთიკომი“ ოპტიკური ინტერნეტის ერთადერთი მიმწოდებელია 392 დასახლებაში, მაშინ, როდესაც ანალოგიურმა მაჩვენებელმა შპს „სქაიტელისთვის“ 104 შეადგინა, ხოლო სს „სილქნეტისთვის“ - მხოლოდ 2.</p> <p>ფიქსირებულ ოპტიკურ ინტერნეტ ქსელში ჩართული 994 დასახლებიდან 544-ში, სადაც საქართველოს პოპულაციის 60% ცხოვრობს, შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილი 40%-ს აღემატება. შედარებისთვის, სს „სილქნეტის“ ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 31 დასახლებას მოიცავს, სადაც მთლიანი პოპულაციის 15%-ია წარმოდგენილი. გარდა ამისა, შპს „მაგთიკომის“ კომბინირებული მომსახურებების თვალსაზრისით, რაც ტელევიზიის, ფიქსირებული ტელეფონისა და მობილური მომსახურებების ინტერნეტთან კომბინაციას გულისხმობს, ყველაზე მაღალი - 53.5%-იანი ბაზრის წილი უკავია, მაშინ, როდესაც სს „სილქნეტისთვის“ ეს მაჩვენებელი 38.3%-ს, ახალი ქსელების ჯგუფისთვის – 8%-ს, ხოლო შპს „სქაიტელისთვის“ – 0.2%-ს შეადგენს.</p> <p>ეს მაჩვენებლები ქსელის დაფარვის მაჩვენებლებთან ერთად, რომელიც ზედა კომენტარშია ასახული მიუთითებს იმაზე, რომ სს „სილქნეტს“ არ გააჩნია საკმარისი შესაძლებლობები შპს “მაგთიკომზე” კონკურენტული ზეწოლის განსახორციელებლად ეროვნულ დონეზე. გარდა ამისა, არ მოიძებნა რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს სს “სილქნეტის” განზრახვაზე განხორციელებისა კონკურენტული წნეხი შპს “მაგთიკომზე”. პირიქით, კვლევის პერიოდში სს “სილქნეტისა” და შპს “მაგთიკომის” პარალელური ქმედებებსაც კი ჰქონდა ადგილი - ჯერ შპს “მაგთიკომმა” გააუქმა დაბალი სიჩქარის პაკეტები, რასაც მოჰყვა სს “სილქნეტის” მსგავსი ქმედება.</p> |

|    |  |   |
|----|--|---|
|    |  | <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ კონკურენტული გარემო დასახლებების დონეზე მხოლოდ სს “სილქნეტის” მიერ შპს “მაგთიკომზე” განხორციელებული კონკურენტული ზეწოლის საფუძველზე იქნებოდა მიჩნეული კონკურენტულად, აღნიშნული მცდარ შედეგებამდე მიიყვანდა ბაზრის კონკურენტუნარიანობის ანალიზს.</p>  |
| 14 | <p>კომისიის მიერ დაწესებული მარეგულირებელი ვალდებულებები შეიძლება პოტენციურად საზიანო იყოს ბაზრისთვის</p> <p>იმის გათვალისწინებით, რომ ამ ანგარიშში წარმოვადგინეთ მკაფიო მტკიცებულებები საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის არსებული და სამომავლო კონკურენტუნარიანობის შესახებ, ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ საბითუმო ბაზარი არ აკმაყოფილებს სამი კრიტერიუმის ტესტს (მეტიც, საცალო ბაზრის კონკურენტუნარიანობა საბითუმო ბაზრის დონეზე სამი კრიტერიუმის ტესტის ჩატარების საჭიროებას გამორიცხავას), ნათელია, რომ არ არსებობს ბაზრის პრობლემები (“market failure”), რომელთა მოგვარებაც საჭიროა. როგორც ასეთი, არ არსებობს საფუძველი კომისიის მხრიდან SMP ოპერატორ(ებ)ის განსასაზღვრად და შემდგომში მარეგულირებელი ვალდებულებების დასაწესებლად.</p> <p>მაშასადამე, კომისიის მიერ ნებისმიერი SMP განსაზღვრება დამყარებულ იქნება საბითუმო ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ბაზრის არასწორ მიჩნევაზე, როგორც წინასწარი რეგულირებისადმი დაქვემდებარებულად.</p> <p>ამიტომ, ჩვენ ვასკვნით, რომ არ არსებობს კომისიის მხრიდან საბითუმო ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ბაზარზე SMP- ის განსაზღვრის ეკონომიკური გამართლება.</p> <p>საქართველოს ბაზრის კონტექსტში და ბაზრის პრობლემის (“market failure”) შესახებ მკაფიო მტკიცებულების არარსებობის პირობებში, ნათელია, რომ კომისიის მიერ შეთავაზებული წინასწარი რეგულირების დაწესება მართლაც არასაჭირო და არაპროპორციულია და, როგორც ასეთი, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ფართოზოლოვანი ბაზრის განვითარებაზე. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არაპროპორციული მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესებამ შეიძლება შეამციროს ფართოზოლოვანი ბაზრის <b>ინვესტიციის დონე</b> ინვესტორების წინაშე არსებული რისკის ზედმეტად გაზრდით და მათი მხრიდან განხორციელებული ინვესტიციებიდან ამონაგების მოსალოდნელი მაჩვენებლის ხელოვნურად შემცირებით. გარდა ამისა, თუ მარეგულირებელი რეჟიმი არ არის დაფუძნებული არსებული და სამომავლო კონკურენტული ტენდენციების მყარ შეფასებაზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს რეგულაციების</li> </ul> | <p>შემოთავაზებული მარეგულირებელი საშუალებები მიზნად ისახავს კონკურენციის გაზრდას ბაზარზე ახალი შემსვლელი სუბიექტების და არსებული მოთამაშეების განვითარების ხელშეწყობით. ისახავს მიზნად მიეცეთ მეტი შესაძლებლობა გაზარდონ თავიანთი საქმიანობის არეალი, კონკურენციაში შევიდნენ დიდ ოპერატორებთან და გაძლიერდნენ ფინანსური შესაძლებლობის თვალსაზრისით, რაც უნდა აისახოს მათი მხრიდან ინვესტიციების ზრდაზე. შესაბამისად, მოსალოდნელია რომ უფრო მეტი მოთამაშე შეეცდება გააუმჯობესოს თავისი პოზიცია ბაზარზე მეტი ინვესტიციის მოზიდვითა და განხორციელებით.</p> <p>მეორეს მხრივ, შპს “მაგთიკომს” გააჩნია მაღალი საინვესტიციო პოტენციალი, თუ გავითვალისწინებთ მნიშვნელოვნად მაღალ EBITDA მარჟას სხვა კონკურენტებთან შედარებით. შემოთავაზებული მარეგულირებელი საშუალებები საშუალებას მისცემს შპს “მაგთიკომს” ჩაანაცვლოს დანაკარგები საცალო შემოსავლების მიმართულებით (მისი კონკურენტების ბაზრის წილების გაზრდის შედეგად) მისი წარმატებული საბითუმო ოპერაციებით.</p> <p>მთლიანობაში, შემოთავაზებულმა მარეგულირებელმა მექანიზმებმა უნდა გაზარდოს ინვესტიციები სექტორში, როგორც ბაზარზე არსებული, ისე ახალი შემსვლელი სუბიექტების მხრიდან.</p> |

განუჭვრეტელობის ხარისხის გაზრდა, რამაც შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს აღნიშნული ბაზრების მიმზიდველობა ინვესტიორებისთვის.

- მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის ორგანულ ზრდაზე. მაგალითად, რეგულირებული დაშვების ვალდებულებების შემოღებამ შეიძლება შეასუსტოს ოპერატორის მოტივაცია, შექმნას საკუთარი ქსელი ადრე დაუფარავი ტერიტორიების მომსახურების მიზნებისთვის, არსებულ ქსელებში დაშვების ძიების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვესმის დაშვების ვალდებულებებისა და მსგავსი რეგულირების მნიშვნელობა ბაზრებზე, სადაც ერთ ან რამდენიმე ოპერატორს აქვს მკაფიო და მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა დაფარვისა და სიმძლავრის კუთხით, საქართველოში ამის საჭიროება არ არის.

ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით კომისიის მიერ შეთავაზებულ მარეგულირებელ ვალდებულებებს. ნებისმიერი მარეგულირებელი ვალდებულება უნდა დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომისია გამოავლენს ბაზრის პრობლემებს (“market failure”), მას მერე, რაც იგი გამოასწორებს ზემოთ განხილულ მიდგომაში არსებულ ხარვეზებს.

15

კომისიის მიერ განსაზღვრული მარეგულირებელი ვალდებულებების ბაზარზე ზეგავლენის შეფასება

ზეგავლენის ილუსტრირებისთვის კომისიას მოცემული აქვს რეგულაციებზე რეაგირების სამი სცენარი: პირველი -ბაზრის სუსტი რეაგირება (a “weak” market response), მეორე - ბაზრის საშუალო რეაგირება (a “medium” market response) და მესამე -ბაზრის ძლიერი რეაგირება (a “strong” market response). კომისიის გათვლებით მეორე და მესამე სცენარში (“medium” and “strong” market response) მაგთიკომს ექნება EBITDA-ისა და შესაბამისად მომგებიანობის წმინდა ზრდა.

EBITDA მოლოდინები/გათვლები ემყარება დაშვებას, რომ ვალდებულებების დაკისრების შედეგად (ბაზარზე ახალი ოპერატორების პოტენციური შესვლის გამო) მაგთიკომის მიერ დაკარგული საცალო შემოსავლები უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მაგთიკომის მიერ საბითუმო დაშვების გზით მიღებული დამატებითი საბითუმო შემოსავლები.

ამისა, კომისიის მიერ წარმოდგენილი შესაძლებლობების და რისკების შეფასება ნათლად ასახავს იმ არსებული ოპერატორების პოტენციურ ხარჯებს და რისკებს, რომელიც გამოიხატება ბაზრის წილების, ARPU-ების და, შესაბამისად, საერთო შემოსავლების შემცირებაში. **აღნიშნული**

კომენტარი არ მიემართება უშუალოდ საჯარო კონსულტაციების ფარგლებში განსახილველ კომისიის გადაწყვეტილების პროექტს, არამედ კომპლექსური კვლევის ფარგლებში შემოშავებულ კვლევის დოკუმენტს, რომელსაც დაეყრდნო და რომელიც გამოქვეყნდა აღნიშნულ პროექტთან ერთად.

კომისიის მიერ მარეგულირებელი მექანიზმების ზემოქმედების შეფასება დაკავშირებულია საქართველოს უფრო დიდ სატელეკომუნიკაციო ბაზრის შეფასებასთან, რომელიც შედგება როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური სერვისებისგან. ასევე, გასათვალისწინებელია გადაწყვეტილების ფარგლებში შემოთავაზებული მარეგულირებელი ვალდებულებების გავლენა, მათ შორის, ინვესტირების წახალისების კუთხით.

მოსალოდნელია, რომ როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური ბაზარი შეინარჩუნებს ზრდის მაღალ ტემპს მომდევნო წლების განმავლობაში, რასაც განაპირობებს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების საცალო სერვისებზე მაღალ გამტარუნარიანობაზე მოთხოვნა. ასევე მოსალოდნელია, რომ მომხმარებელთა მზარდი რაოდენობა შეიძენს სატელეკომუნიკაციო ფიქსირებულ და მობილურ სერვისებს კომბინაციაში ერთი პროვაიდერისგან, იმის ნაცვლად, რომ მიმართონ მრავალ პროვაიდერს ფიქსირებულ და მობილურ მომსახურებებზე საუკეთესო შეთავაზების მისაღებად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სილქნეტისა და სელფის ჭრილში რომლებიც, კომისიის თანახმად, მაგთიკომის საცალო შემოსავლების მსგავსი დანაკარგის წინაშე დგანან, მაგრამ ისინი ვერ ისარგებლებენ საბითუმო შემოსავლების ზრდით. კომისიის მოლოდინების თანახმად, ერთადერთი „სარგებელი“ სილქნეტისა და სელფისთვის იქნება საერთო „ბაზრის სტიმულირებიდან“ გამომდინარე გაზრდილი საცალო შემოსავლები, რაც ჩვენ მიგვაჩნია სპეკულაციურად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ კომისია არანაირი ახსნა-განმარტება არ აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ განხორციელდება ამგვარი სტიმულირება. ეს კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კომისიის შეფასებას: მარეგულირებელი ზომების დანერგვამ ხელი უნდა შეუწყოს მთლიანი ბაზრის განვითარებას და არა კონკრეტულ მოთამაშეებს, შესაბამისად აშკარად უცნაური იქნება ისეთი რეგულაციების დანერგვა, რომლებიც მარეგულირებლის აზრით, გაზრდის SMP ოპერატორის შემოსავლებს სხვა ორი ინფრასტრუქტურული (ქსელური) ოპერატორის ხარჯზე.

კომისიის მიერ განსაზღვრული რეგულაციის დაწესების სავარაუდო შედეგებიდან/მოლოდინებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კომისიის მიერ დაგეგმილმა მარეგულირებელმა ინტერვენციამ შეიძლება შეაფერხოს დღეს არსებული ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენცია და უარყოფითად იმოქმედოს კონკურენციაზე როგორც ფიქსირებულ ფართოზოლოვან, ასევე მობილურ ბაზრებზე.

აღნიშნულ ტენდენციას ადგილი ექნება მობილური მომსახურების ბაზარზეც სადაც ამჟამად მომხმარებლებს მათთვის საჭირო სერვისების მისაღებად რამდენიმე SIM ბარათის გამოყენება უწევთ. განვითარებულ სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მომსახურების მიღება ერთი პროვაიდერისგან მომხმარებლის ყველა სატელეკომუნიკაციო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. .

ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი ბაზრისთვის შემოთავაზებული რეგულაციები მიზნად ისახავს შპს „მაგთიკომის“ დომინირების შემცირებას. ამჟამად ორივე ბაზარზე შპს „მაგთიკომს“ შეუძლია კონკურენტებისგან დამოუკიდებლად იმოქმედოს, შესაბამისად ეფექტური კონკურენციის სარგებელს საქართველოში მომხმარებლები არ განიცდიან. კონკურენციის მოსალოდნელი ზრდა კიდევ უფრო წაახალისებს ქართულ ბაზარს, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ ინოვაციებს, ასევე გაზრდილი მოცულობის და მომსახურების ფართო სპექტრის მიღების შესაძლებლობას მომხმარებლებისთვის. გაზრდილი ბაზარი, ასევე, უზრუნველყოფს ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს ბაზრის უფრო მეტი მოთამაშისთვის.

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება, ინვესტიციის დიდი მოცულობის საჭიროება, რომელსაც აწყდება ნებისმიერი ახალი და ბაზარზე უკვე დამკვიდრებული ოპერატორი, შემცირდება, რითიც ბაზარზე შესვლის ძირითადი ბარიერი მოიხსნება. ამასთან, შესაძლებელია დომინანტი ოპერატორის შპს „მაგთიკომის“ საინვესტიციო რისკები გაიზარდოს, მისი ბაზრის წილის და შესაბამისად, საბაზრო ძალის შემცირებით. თუმცა, შპს „მაგთიკომის“ მიერ ფინანსური რესურსების გამომუშავების მაღალი დონის გათვალისწინებით და საბითუმო მიმართულების განვითარებით, მოსალოდნელია, რომ მისი შესაძლებლობა და ინტერესი განახორციელოს ინვესტიციები არ შემცირდება. გაზრდილი კონკურენცია უბიძგებს შპს „მაგთიკომს“ და ბაზარზე არსებულ სხვა მოთამაშეებს იყონ ეფექტური კონკურენტებთან მიმართებაში, მათ შორის ხარჯების შემცირების მიმართულებით.

ბაზარზე გავლენის შეფასება აჩვენებს, რომ შპს „მაგთიკომთან“ კონკურენციაში მყოფი არსებული ფიქსირებული ოპერატორები ისარგებლებენ შესაძლებლობით გააფართოვონ თავიანთი საქმიანობის არეალი FTTx ქსელზე დაშვებით (და ამით მოიპოვებენ ბაზრის პოტენციურად მეტ წილებს) და უფრო მეტ აბონენტთან წვდომით უფრო ნაკლები დანახარჯებით. შპს „მაგთიკომის“ ეროვნული დონის ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელზე დაშვებით, ბაზარზე შესვლისა და ბაზრის გაფართოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საწყისი საინვესტიციო ბარიერი მოიხსნება. ამიტომ ბაზარზე ახალ შემსვლელებს და არსებულ შედარებით მცირე მოთამაშეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ქსელის გაფართოების სტრატეგია მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელზე დაშვებით და ეტაპობრივად საკუთარ FTTx ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებით.

შესაბამისად, გავლენა, რომელსაც შემოთავაზებული მარეგულირებელი მექანიზმები გამოიწვევს ბაზარზე არის მცირე მოთამაშეების საცალო ბაზრის წილების გაზრდა შპს „მაგთიკომის“ საცალო ბაზრის წილის ხარჯზე. მომავალში, როდესაც შპს „მაგთიკომის“ დომინანტურ პოზიციაზე კონკურენტულ ზეწოლას განახორციელებენ ბაზრის მცირე

მოთამაშეები, მაშინ ის ვეღარ შეძლებს კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედებას, შესაბამისად, კომისიის მიერ რეგულარულად უნდა განხორციელდეს სპეციფიკური ვალდებულებების დიფერენცირების მიზნით განსაზღვრულ თითოეულ კლასტერში (ტიპი I, II და III) არსებული კონკურენტული მდგომარეობის მიმოხილვა, რათა დადგინდეს (თითოეული დასახლებისთვის) საჭიროა თუ არა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე დაკისრებული მარეგულირებელი ვალდებულებების ცვლილება. მაგალითად, თუ კონკურენტული მდგომარეობა ერთ კლასტერში არსებული დასახლებებისთვის გაუმჯობესდება, მაშინ დასახლებები შეიძლება რეკლასიფიცირდეს სხვა კლასტერში, რომელიც ითვალისწინებს უფრო მსუბუქ მარეგულირებელ ვალდებულებებს ითვალისწინებს.

ბაზრის მობილურ სექტორში, ზემოქმედების შეფასება აჩვენებს, რომ მეტი საცალო სერვისის პროვაიდერი შევა მობილურ ბაზარზე, რადგან ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი ბარიერი - სიხშირული რესურსების მოპოვების აუცილებლობა - მოიხსნება. შპს “მაგთიკომზე” ვალდებულების დაწესებით - გახსნას საკუთარი ეროვნული ქსელი სერვისების ახალი საცალო პროვაიდერების მხრიდან მისი გამოყენების მიზნებისთვის, კონკურენცია გაიზრდება და მომხმარებლები ისარგებლებენ მომსახურების უფრო ფართო ასორტიმენტით.


მიმდინარე ეტაპზე, ბაზარზე მხოლოდ ორი ოპერატორია, რომლებიც სთავაზობენ ბაზარს როგორც ფიქსირებულ, ასევე მობილურ მომსახურებებს - შპს “მაგთიკომი” და სს “სილქნეტი”. შპს “მაგთიკომზე” დაკისრებული ახალი ვალდებულებები საშუალებას მისცემს ნებისმიერ არსებულ ოპერატორს - ფიქსირებულ თუ მობილურს - შესთავაზოს მომხმარებელს ფიქსირებული და მობილური სერვისების კომბინირებული შეთავაზებები. შპს “მაგთიკომზე” დაკისრებული ვალდებულებების გამოყენების მიმართულებით ერთ-ერთი პოტენციურად მნიშვნელოვანი ბენეფიციარია მესამე უმსხვილესი მობილური ოპერატორი სელფი მობაილი (Cellfie Mobile), რომელიც შეძლებს დამატებით მიაწოდოს ბაზარს ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება ეროვნულ დონეზე შპს “მაგთიკომის” ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის გამოყენებით. სხვა პოტენციური ბენეფიციარები არიან ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც შეძლებენ დამატებით მიაწოდონ ბაზარს მობილური მომსახურება შპს “მაგთიკომის” ეროვნული მობილური ქსელის გამოყენებით.

ბაზრის პოტენციური ახალი შემსვლელი ოპერატორები, ასევე, შეძლებენ ორივე ბაზარზე შესვლას მაღალი საწყისი ინვესტიციის განხორციელების საჭიროების გარეშე. სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ განვითარებულ ბაზრებზე ახალი შემსვლელები გამოჩნდნენ სრულიად სხვა სექტორებიდანაც - როგორცაა სუპერმარკეტების ქსელები, კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები და ახალი ტიპის სერვისების აგრეგატორები, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე სამომხმარებლო სერვისს - მათ შორის წყალს, ელექტროენერგიას და დაზღვევას ერთ კონტრაქტში ფიქსირებული და მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ მისი კონკურენტი ოპერატორები ზრდიან საბაზრო წილს, შპს “მაგთიკომს” შეუძლია მიჰყვეს სექტორის საერთაშორისო ტენდენციებს ძალიან

ეფექტური კომერციული საბითუმო შეთავაზების შექმნით და საბითუმო შემოსავლების გენერირებით შედარებით დაბალი ზღვრული დანახარჯებით, რომელიც ნაწილობრივ დააბალანსებს შემცირებულ საცალო შემოსავლებს. შპს “მაგთიკომს” ასევე აქვს შესაძლებლობა, შეამციროს საცალო ხარჯები თავისი საცალო საქმიანობის ნაწილის ე.წ აუთსორსზე გატანით მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებზე (MVNO) და ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიმწოდებელ კონკურენტებზე.

ეფექტურ კონკურენტულ ბაზარზე, EBITDA მარჯი საბითუმო ბიზნესიდან ზოგადად უფრო მაღალია, ვიდრე საცალო ბიზნესში – როგორც ეს ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წამყვანი ევროპული მობილური/ქსელის ოპერატორების მაგალითზე.



ეფექტური საბითუმო მიმართულების განვითარებით, შპს “მაგთიკომს” შეუძლია ნაწილობრივ დააკომპენსიროს EBITDA-ს ზოგადი შემცირება, რაც მომდევნო წლებში კონკურენციის დონის ზრდით იქნება გამოწვეული. როგორც კი საქართველოში კონკურენცია ეფექტური გახდება, მოსალოდნელია, რომ შპს “მაგთიკომის” EBITDA მარჯა უფრო მეტად იქნება შესაბამისობაში სატელეკომუნიკაციო სექტორში მიღებულ ნორმებთან - 25%-დან 40%-მდე. ამ დიაპაზონის მაჩვენებლებით, ოპერატორებმა დააგენერირეს გონივრული უკუგება, შექმნეს ხელმისაწვდომი კონკურენტული მომსახურებები და შეინარჩუნეს ინვესტიციების არსებული დონე. მაშინ როცა საქართველოში ტელეკომ საცალო სერვისები ნაკლებად ხელმისაწვდომია დანარჩენ ევროპასთან შედარებით სექტორის მომგებიანობა კი უფრო მაღალია.

მას შემდეგ, რაც შპს “მაგთიკომი” ვეღარ ისარგებლებს დომინანტური პოზიციით ბაზარზე, რაც გამოწვეული იქნება მისი კონკურენტების გავლენის ზრდით (რასაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შემოთავაზებული მარეგულირებელი ინტერვენციები), ბაზარი გახდება უფრო ეფექტურად კონკურენტუნარიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უზრუნველყოფილი იქნება

|   |           |   |   |
|---|-----------|---|---|
|   |           |   | <p>მომსახურების უკეთესი ხელმისაწვდომობა, ინვესტიციების ეფექტურობა და ინოვაცია ბაზარზე.</p> <p>აღსანიშნავია, რომ შპს „მაგთიკომის“ EBITDA (შემოსავლები საპროცენტო ხარჯის, საგადასახადო, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯამდე, გაყოფილი მთლიან შემოსავლებზე) მარჯა 75%-იანი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი, ხოლო სს „სილქნეტის“ ანალოგიური მაჩვენებელი 61%-ს უტოლდება. შპს „მაგთიკომის“ მაჩვენებელი ევროპულ საშუალოსთან შედარებით, რომელიც 35%-ს შეადგენს, დაახლოებით ორჯერ მაღალია.</p> <p>იმ პერიოდში, როდესაც ბაზარზე შპს „მაგთიკომის“ დომინირების დონე შემცირდება, მოსალოდნელია, რომ შემცირდება მისი (ამჟამად საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებთან შედარებით ძალიან მაღალი) მომგებიანობის მაჩვენებელი. პარალელურად, გაიზრდება სხვა მოთამაშეების ზრდისა და ბაზარზე ინვესტირების შესაძლებლობები. საბოლოოდ, მოსალოდნელია, რომ ბაზარზე კონკურენციის განვითარება მოხსნის ბაზარზე რეგულაციის საჭიროებას, რაც მომავალში შეფასდება ბაზრის სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე.</p> <p>არ არსებობს რაიმე მტკიცებულება სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან, სადაც მარეგულირებელმა მექანიზმებმა მომხმარებელზე, კონკურენციაზე და ინვესტიციებზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია. პირიქით, მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესების შედეგად გაძლირდა კონკურენცია, ბაზარზე შესვლის საგრძნობლად შემცირებული ბარიერების გამო, ხოლო მაღალმა კონკურენციამ შეინარჩუნა ინვესტიციების დონე.</p> |
| <p><b>კომენტარის წარმდგენი სუბიექტი შპს „მაგთიკომი“ (წერილი N ED 24/07/15 – 028 - კომისიაში რეგისტრაციის N შ-24-6/3054, რეგისტრაციის თარიღი: 15.07.2024 )</b></p> <p><b>საკონსულტაციო კომპანია - KPMG</b></p> | <p>16</p> | <p>ფიქსირებულ ლოკაციაზე მიწოდებულ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი (WLA and WCA)</p> <p>ამჟამად, ComCom ადგენს SMP-ს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების თავდაპირველი განსაზღვრის გარეშე, რაც ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკიდან გადახვევას წარმოადგენს. მაშასადამე, რეკომენდირებულია ComCom-მა პირველ რიგში დაეყოს კლასტერები გეოგრაფიულ ბაზრებად და შემდეგ დააკისროს მათ SMP ვალდებულებები. ComCom-ის მიერ აღნიშნული ცვლილებების მიღებამ შეიძლება მოგვცეს SMP შეფასების განსხვავებული შედეგები შეთავაზებულ შედეგებთან შედარებით, კერძოდ, შპს „მაგთიკომის“ როგორც ერთადერთი „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების“ მქონე ოპერატორად განსაზღვრა.</p> <p>ამასთანავე, კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმებზე დაფუძნებული განსხვავებული კლასტერების გამოყენება კიდევ უფრო განასხვავებს საქართველოს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკისგან, რაც რეგიონებში SMP შეფასებების თანმიმდევრულობასა და შესადარისობაზე მოქმედებს. აღნიშნული უნიკალური მიდგომა საქართველოში იწვევს ეჭვებს მთლიანი ქვეყნისთვის ერთიანი SMP განმარტების გამოყენების</p> | <p>ბაზრის ანალიზი ადასტურებს FTTx ქსელის დაფარვის კუთხით საქართველოს ოპერატორების განსხვავებულ მოცემულობებს, თუმცა, ქვეყანაში კომერციული საბითუმო დაშვების არარსებობის პირობებში ყველაზე შესაფერისი მიდგომაა განხილულ იქნეს მხოლოდ ოპერატორების მიერ მათი საცალო საქმიანობის თვითმომსახურება, რაც აჩვენებს, რომ ამ ბაზრისთვის, არ არსებობს განსხვავება კონკურენტული პირობების თვალსაზრისით სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში (იხ. გადაწყვეტილების პროექტის <b>თავი 6.4</b> ) საიმისოდ რომ მოხდეს ამ ბაზრების განსაზღვრა ცალკეულ გეოგრაფიულ ბაზრებად.</p> <p>საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ ბაზრებად დაყოფისთვის არ არის საკმარისი პირობები, ვინაიდან საქართველოში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არის ერთგვაროვანი სამართლებრივი და სხვა მარეგულირებელი გარემო</li> <li>• ინფრასტრუქტურა ერთგვაროვანად ვითარდება - ორივე დიდი ოპერატორი ქსელს ავითარებს ქვეყნის მასშტაბით (არ არის ისე, როგორც მაგ. უნგრეთში, სადაც განსხვავებულ რეგიონში სხვადასხვა "incumbent" ოპერატორია წარმოდგენილი თავისი ინფრასტრუქტურით)</li> <li>• კონკურენციის თვალსაზრისით არ არის მკაფიო და სტაბილური საზღვრები ლოკაციებს შორის: <ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიულ ერთეულებს შორის არ შეინიშნება მკვეთრად განსხვავებული კონკურენტული გარემო (იტალიის ქ. მილანის</li> </ul> </li> </ul>  |



|    |   |   |
|----|---|---|
|    | <p>სამართლიანობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით, რაც ხაზს უსვამს რეგულირების შედეგების პოტენციურ სხვაობებს. აღნიშნული გადახრები უფრო ნათელი ხდება წინამდებარე ანგარიშის დანართში № 2 მოცემული, თითოეული ქალაქის კონკრეტული ბაზრის წილის პროცენტულობის შესწავლისას. მიუხედავად იმისა, რომ შპს “მაგთიკომი” მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მფლობელია ეროვნულ დონეზე ბაზრის წილის კუთხით, აშკარაა, რომ 7 ქალაქიდან, სადაც 10 ათასზე მეტი ოჯახი ცხოვრობს, შპს “მაგთიკომი” ლიდერობს მხოლოდ 2 ქალაქში, ხოლო სხვა ოპერატორები ლიდერობენ დანარჩენებში.</p>  | <p>მაგალითი, სადაც აღნიშნული ქალაქი არის განსაზღვრული ცალკე გეოგრაფიულ ბაზრად)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>საზღვრები არ არის სტაბილური - კონკურენტული თვალსაზრისით შესაძლებელია სწრაფად შეიცვალოს საზღვრები (მაგ. თბილისის უბნებს შორის, ქალაქსა და მის მეზობელ სოფელს შორის)</li> </ul> |
| 17 | <p>ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარი</p> <p>რეკომენდირებულია, რომ ComCom-მა განახორციელოს ბოძების, საკანალიზაციო არხებისა და სატელეკომუნიკაციო ქუჩის კაბინების მიმართულებით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხელახალი შეფასება.</p> <p>ComCom-მა უნდა გადახედოს SMP-ს განსაზღვრისთვის შემოთავაზებულ გეოგრაფიულ განმარტებას, რადგან ბაზრის 63 მომსახურების ზონად დაყოფის მიდგომა არის გადამეტებული და არ შეესაბამება საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას.</p> <p>როგორც გადამწყვეტ შეუსაბამობას, ჩვენ ხაზს ვუსვამთ ComCom-ის მიერ განხილულ გეოგრაფიული ბაზრის განმარტებას, რომელიც განსხვავდება შესადარებელი ქვეყნებისგან. როდესაც ევროპის ქვეყნების სხვა მარეგულირებლები ახორციელებენ ეროვნული ბაზრის დაყოფას: (1) ისინი, როგორც წესი, აღნიშნულს აკეთებენ მსგავსი მახასიათებლების მქონე პატარა დასახლებების დაჯგუფებით (Ofcom-ის მიდგომა დიდ ბრიტანეთში) და (2) გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრებას ეროვნული კუთხით განიხილავენ, როგორც ComReg და ANACOM. აღნიშნული განსხვავდება ComCom-ის მიერ ამ შემთხვევაში გამოყენებული მიდგომისგან, რომელიც ბაზრის 63 მომსახურების ზონად დაყოფას გვთავაზობს.</p> <p>ComCom-ის მიდგომა არასატელეკომუნიკაციო ფიზიკური ინფრასტრუქტურის გათვალისწინებასთან დაკავშირებით არ შეესაბამება შესადარებელი ქვეყნების მარეგულირებლების მიდგომას. ComCom-ის შემოთავაზება არასატელეკომუნიკაციო ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ბაზრის ნაწილის სახით გათვალისწინებასთან დაკავშირებით უარყოფილი უნდა იქნას სხვა შესადარებელი ქვეყნების მარეგულირებლების მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.</p> | <p>კომენტარის ავტორი ეხება, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სემპტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის 620 / 9 გადაწყვეტილებას, რაც არ წარმოადგენს ბაზრის ამ ანალიზის ფარგლებში განსახილველ საკითხს.</p>                   |
| 18 | <p>იჯარით აღებული ხაზების საბითუმო ბაზარი</p>   |   |

ComCom-მა უნდა გადახედოს SMP-ს შეფასებას, რადგან თითოეული მარშრუტისთვის ერთი ოპერატორის, როგორც მნიშვნელოვანი საბაზროცდალაუფლების მქონე პირად განსაზღვრა, გადამეტებულია, ევროპის შესადარებელ ქვეყნებთან შედარებით. ComCom-ის მიხედვით, იჯარით აღებული ხაზების საბითუმო ბაზარი გაყოფილია ორ სეგმენტად: მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) და backhaul სეგმენტებად. თუმცა, გადაწყვეტილება, რომელიც ამ ბაზარს არეგულირებს, უბრალოდ განსაზღვრავს მარშრუტების ნაკრებს ტრანზიტული სეგმენტებისთვის და „backhaul“ ზონებისთვის (როგორც შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრები). თითოეულ აღნიშნულ ბაზარზე, SMP-ს მქონე ოპერატორები იდენტიფიცირებულნი არიან, როგორც ექს-ანტე რეგულირებას დაქვემდებარებულნი.


მიუხედავად იმისა, რომ ექს-ანტე რეგულირების დანერგვა შეესაბამება შესადარებელ ქვეყნებს, ComCom-ის მიერ SMP-ს შესაფასებლად განსაზღვრული მიდგომა, რომელიც „დანართ 1“-ში განსაზღვრული თითოეული მარშრუტისთვის თითო ოპერატორის განსაზღვრას ითვალისწინებს, გადამეტებულია შესადარებელ ქვეყნებთან შედარებით. ეს ქვეყნები აფასებენ SMP-ს ეროვნული კუთხით ან მარშრუტების კონკრეტულ ჯგუფებზე დაყრდნობით. მაგალითად, პორტუგალიაში, SMP შეფასება ტარდება ტერმინალური სეგმენტებისთვის და "NC მარშრუტებისთვის", მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა ეხება „Grupo PT“ - ორივესთვის.

კომენტარი ეხება, გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ კომისიის 2018 წლის 21 დეკემბრის 671/9 გადაწყვეტილებას, რაც არ წარმოადგენს ბაზრის ამ ანალიზის ფარგლებში განსახილველ საკითხს.

**კომენტარის წარმდგენი სუბიექტი შპს „მაგთიკომი“ (წერილი N ED 24/07/15 – 028 - კომისიაში რეგისტრაცია N შ-24-6/3054, რეგისტრაცია ს თარიღი: 15.07.2024 )**  
  
**საკონსულტაციო კომპანია - Kalba International**

19

ბაზრის მიმოხილვა  
მონაცემთა გადაცემის სიჩქარის განხილვისას, რომელიც გვთავაზობს ფართოზოლოვანი წვდომის სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მომსახურებას, კვლევა განასხვავებს ოთხ დონეს: (1) 10 მბ/წმ-მდე, (2) 10-30 მბ/წმ, (3) 30-100 მბ/წმ და (4) 100-ზე მეტი მბ/წმ.



მომსახურების სიჩქარეები მონაცემთა გადაცემის სიჩქარის განხილვისას, რომელიც გვთავაზობს ფართოზოლოვანი წვდომის სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მომსახურებას, კვლევა განასხვავებს ოთხ დონეს: (1) 10 მბ/წმ-მდე, (2) 10-30 მბ/წმ, (3) 30-100 მბ/წმ და (4) 100-ზე მეტი მბ/წმ. გრაფიკი: ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის წილი სიჩქარის დონეების მიხედვით (2022)

პროცედურების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “კომისია ბაზრის ანალიზის პროცესში ადგენს, არის თუ არა ბაზრის საცალო სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი საბითუმო რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში და მდგრადია თუ არა ბაზარზე არსებული ეფექტიანი კონკურენტული გარემო.”

ქვევით მოყვანილია ის ძირითადი ასპექტები, რასაც დაეყრდნო საცალო ბაზარზე კონკურენციის ანალიზი და რაც ასევე ასახულია გადაწყვეტილებაში.


პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს იურიდიული, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერები საქართველოში მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე შესვლისთვის.

გადაწყვეტილების 4.5 ქვეთავში აღინიშნა, რომ მაღალი სიჩქარის საცალო ბაზარი შედგება FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტთან წვდომის სერვისისგან, რომელიც შემოთავაზებულია 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის დიაპაზონში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მითითებული ფართოზოლოვანი ინტერნეტთან წვდომის სერვისი შემოთავაზებული ცალკემდგომი თუ კომბინირებული სახით (სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად) და მიუხედავად ამ განსაზღვრული სიჩქარის დიაპაზონში გათვალისწინებული სიჩქარისა. გეოგრაფიულ ბაზრად მიჩნეულ იქნა საქართველო.

მნიშვნელოვანი საინვესტიციო აქტივობის (და თანმხლები რისკის) მტკიცებულება კიდევ უფრო ხაზგასმულია კვლევის მიერ FTTx ტექნოლოგიის უპირატესი როლის აღიარებით. ეს არ არის ხშირი შემთხვევა საქართველოს ეკონომიკურ დიაპაზონში მყოფი ქვეყნებისთვის, თუმცა კვლევა გულისხმობს, რომ აღნიშნული მიუთითებს ბაზრის დეფიციტზე და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ აქტივს.

ოპერატორების ბაზრის წილები, რომლებიც ახორციელებენ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო სერვისების მიწოდებას, ნაჩვენებია ქვევით მოყვანილ დიაგრამაზე.

ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის საცალო ბაზარზე (2022)



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

შპს “მაგთიკომი” არის FTTx სერვისების წამყვანი მიმწოდებელი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, აბონენტების 55%-იანი საბაზრო წილით. შპს “მაგთიკომი” ასევე არის ყველაზე დიდი FTTx დაფარვის მქონე ოპერატორი საქართველოში. დანარჩენი ოპერატორები ერთად ბაზარს სთავაზობენ ალტერნატიულ FTTx ინფრასტრუქტურას და ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო სერვისების მიწოდებას უფრო დაბალი გეოგრაფიული დაფარვით:


- სს “სილქნეტს” გააჩნია მნიშვნელოვანი დაფარვა FTTx ტექნოლოგიის ქსელით (მაგრამ არ არის წარმოდგენილი იმ დასახლებების დიდ ნაწილში, რომელშიც შპს “მაგთიკომი” ოპერირებს) და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის 32%-ს (დიაგრამა 35);
- ახალ ქსელებს გააჩნია უფრო მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დაფარვა (ფოკუსირებულია რამდენიმე გეოგრაფიულ არეალზე) FTTx ტექნოლოგიის ქსელით და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის 6%-ს;
- ყველაზე მსხვილ ოპერატორებთან შედარებით შპს “სქაიტელს” გააჩნია ყველაზე მცირე დაფარვა და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის მხოლოდ 2%-ს;

- ყველა სხვა FTTx ოპერატორი ერთად ქსელის სხვადასხვა დონის ადგილობრივი დაფარვით და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის 5%-იან წილს.

კონკურენციის განვითარების დინამიკის შესაფასებლად შესწავლილ იქნა ამ კონკურენტული ქსელებისა და ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების განვითარება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, FTTx ქსელების საბოლოო მომხმარებლების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, მიდრეკილია თუ არა ბაზარი ეფექტიანი კონკურენციისკენ, აუცილებელია გავიგოთ ოპერატორების ბაზრის წილების დინამიკა და განვითარება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განვსაზღვროთ, გაგრძელდება თუ არა ტენდენცია ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში. ოპერატორების ფარდობითი ბაზრის წილების ცვალებადობა შეიძლება იყოს ეფექტიანი კონკურენციის ნიშანი, თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ბაზრის წილების ცვლილება დაფუძნებულია მომხმარებლების მიერ გაკეთებულ რეალურ არჩევანზე. თუმცა, 36-ე დიაგრამიდან ჩანს, რომ ყველა ოპერატორის ბაზრის წილი სტაბილურობით გამოირჩევა ბოლო 3-5 წლის განმავლობაში.

ბაზრის წილი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე - ტენდენცია




წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

როგორც გადაწყვეტილებაში არის მოყვანილი, საბოლოო მომხმარებლების საერთო რაოდენობა 2.4-ჯერ გაიზარდა 2016 წლიდან, თუმცა ოპერატორებს შორის შედარებითი ბაზრის წილები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ახალმა ქსელებმა დაკარგა ბაზრის წილის ნაწილი, რადგან ის დარჩა ძირითადად საბოლოო მომხმარებლების იგივე რაოდენობაზე, ხოლო სხვა ოპერატორები ზრდიდნენ მომხმარებელთა ბაზას.

შპს “მაგთიკომისი”, როგორც ბაზრის ლიდერის პოზიციაზე, მისი შემოსავლების ზრდაც მეტყველებს. ოპერატორების შემოსავლების წილი სტაბილური ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ისევე როგორც მათი შესაბამისი ბაზრის წილები.

დიაგრამა 1 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ოპერატორების შემოსავლები



წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ორი უმსვილესი ოპერატორის მიერ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პაკეტების შემუშავება და საცალო ფასების ცვლილება განხორციელდა თანმიმდევრულად ერთმანეთთან მიმართებაში, საკმაოდ ახლო პერიოდებში. მაგალითად, 2022 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში სს “სილქნეტმა” გაზარდა ინტერნეტის და ტელევიზიის კომბინირებული პაკეტის ტარიფი თბილისში 13%-ით, ხოლო სხვაგან 10%-ით. ამას მალევე მოჰყვა (სექტემბრის დასაწყისში) შპს “მაგთიკომის” მიერ ინტერნეტის და ტელევიზიის კომბინირებული პაკეტის ფასის ზრდა 14%-დან 17%-მდე. მხოლოდ ეს პარალელიზმი ვერ დაადასტურებს ეფექტიანი კონკურენციის არარსებობას ამ ბაზარზე, მაგრამ აღნიშნული მოითხოვს შემდგომ გამოკვლევას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შემდგომი ანალიზისთვის (იხ. თავი 7 პუნქტი „ბ“).

რაც შეეხება FTTx დაფარვას, შპს “მაგთიკომს”, იმ გეოგრაფიულ ლოკაციებზე, სადაც ის არის ერთადერთი ან დომინანტი პროვაიდერი, წინასწარი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლია სცადოს ბაზარზე თავისი ძლიერი პოზიციის გამოყენება სხვა მოთამაშეების მიმართ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საბოლოო მომხმარებლებს, სერვისებზე გადაჭარბებული ფასების დაწესების თვალსაზრისით.

ზოგადად, იმ ბაზრებზე, სადაც შესვლის, ზრდისა და ქსელის გაფართოების უფრო დაბალი ბარიერებია, როგორც წესი უფრო აქტიური კონკურენცია ყალიბდება.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ოპერატორები შემოვიდნენ ბაზარზე, ჯერ კიდევ არსებობს ბაზარზე შესვლისა და ეროვნული მასშტაბით გაფართოების მნიშვნელოვანი ბარიერები, რაც მაღალი ინვესტიციების საჭიროებასთან არის დაკავშირებული.

ოპერატორების ბაზრის წილების დინამიკის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა რომ ახალი ოპერატორები შემოვიდნენ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზარზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ახალმა მოთამაშეებმა მნიშვნელოვნად ვერ გაზარდეს თავიანთი საერთო ბაზრის წილი ბოლო 5 წლის

განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბაზრის წილის დინამიკის გათვალისწინებით, ამჟამად არ არსებობს ეფექტიანი კონკურენცია საცალო ბაზარზე და წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში, ეფექტიანი კონკურენცია მომავალში სრულფასოვნად ვერ განვითარდება.

მეორე ნაბიჯი, რაც იქნა განხილული იყო ბაზარზე მოსალოდნელი მოვლენების შეფასება ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. შეფასდა საბითუმო რეგულირების არარსებობის პირობებში, შემდეგი სამი წლის განმავლობაში მოვლენების რა შემდეგ შესაძლო განვითარებას შეიძლება ჰქონოდა ადგილი:

- კონკურენტი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის ქსელების განვითარება შესაძლებელი გახდა, სხვა მიზეზებთან ერთად, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე რეგულირებადი საბითუმო დაშვების ვალდებულების დაწესების გამო, თუმცა მეორე მხრივ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპილენძის წყვილებზე რეგულირებული საბითუმო დაშვების ვალდებულების დაწესების მიუხედავად, აღნიშნული მომსახურება ალტერნატიული ოპერატორების მიერ არ ყოფილა გამოყენებული. ეს აჩვენებს, რომ კვლავ რჩება შესვლის ბარიერები სერვისზე დაფუძნებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარებისთვის, შესაბამისად, დიდი ალბათობით („მოდულირებული გრინფილდის მიდგომის“ გათვალისწინებით) კონკურენცია ძლიერ შეფერხდება შესაბამისი წინასწარი მარეგულირებელი ზომების გარეშე.
- მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის ახალი მოთამაშეების ბაზარზე შესვლის სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები, მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი ახალი მოთამაშე შემოვა მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარზე და შექმნის FTTx ქსელს მნიშვნელოვანი დაფარვით. ბაზარზე არსებული მოთამაშეებისთვის კონკურენციის გაწვევის მიზნით ასეთი ქსელების შექმნა მოითხოვს მაღალ ინვესტიციებს მაღალი არადაბრუნებადი ხარჯებით. „საქართველოს კანონი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწებისთვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ ამოქმედდა 2024 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონი გააუმჯობესებს ბაზარზე შესვლის შესაძლებლობებს, საინვესტიციო პოტენციალს და ბაზარზე კონკურენტუნარიანობას. კანონი მოიცავს მოთხოვნას, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურის ოპერატორი, რომელსაც აქვს ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული საკომუნიკაციო სერვისების უზრუნველსაყოფად, ვალდებულია დააკმაყოფილოს ყველა გონივრული მოთხოვნა მის ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების შესახებ არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობებით, მათ შორის

ფასის განსაზღვრის ნაწილშიც. ნებისმიერი დავის წარმოშობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ჩაერიოს და დაადგინოს დაშვების საფასური მის მიერ მიღებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. თუმცა, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაცია თავისთავად საკმარისი იქნება მცირე ოპერატორების (ბაზარზე ახალშემსვლელი სუბიექტები) ქსელის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობისთვის ისე, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევა შეუქმნას ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დამკვიდრებულ მოთამაშეებს.

- მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე მოთამაშე, რომელიც უკვე ოპერირებს საქართველოში, მნიშვნელოვანი FTTx დაფარვის გარეშე, განახორციელებს ინვესტიციას მისი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის დაფარვის გაფართოებისთვის, რათა ეფექტურად გაუწიოს კონკურენცია შპს “მაგთიკომსა” და “სილქნეტს”. ბაზრის შედარებით მცირე მოთამაშეები ფლობენ მხოლოდ მცირე საბაზრო წილებს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი განახორციელებენ ისეთ მაღალ ინვესტიციებს, რომ შეძლონ კონკურენცია გაუწიონ ბაზრის ორ უმსხვილეს მოთამაშეს ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.
- ნაკლებად სავარაუდოა, რომ მაღალი ინვესტიციების და ეროვნული ქსელის განვითარებისთვის საჭირო ხანგრძლივი დროის გამო, ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც ამჟამად არ ახორციელებს მომსახურების მიწოდებას FTTx ქსელის გამოყენებით, მაგრამ გააჩნია სხვა სახის ქსელები (მაგალითად, სელოფი მობაილი) შეძლებს გადაერთოს FTTx-ზე და განახორციელოს კონკურენტული ზეწოლა მიწოდების მხარის თვალსაზრისით მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარზე.

შეფასდა, რომ შპს “მაგთიკომი” (ბაზრის 55%-იანი წილით) დარჩება FTTx-ის ყველაზე დიდი დაფარვის მქონე ოპერატორად. ყველა სხვა ოპერატორი, სს “სილქნეტის” სახით შესაძლო გამონაკლისის გარდა, ვერ შეძლებს შპს “მაგთიკომისთვის” ეფექტიანი კონკურენციის გაწევას მთელი საქართველოს მასშტაბით. თუ სხვა FTTx ქსელები არ იქნებიან წარმოდგენილი საქართველოს ზოგიერთ რაიონში, შპს “მაგთიკომმა” და სს “სილქნეტმა” შეიძლება იმოქმედონ, როგორც დომინანტმა ოპერატორებმა, ანუ უარი თქვან საბითუმო დაშვების სერვისის მიწოდებაზე და დაუწესონ გადაჭარბებული საცალო ფასები საბოლოო მომხმარებლებს.

ასევე, შპს “მაგთიკომი” და სს “სილქნეტი” ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორები არიან, რომლებსაც აქვთ ბაზრის უდიდესი წილი და ასევე კარგად განვითარებული გაყიდვებისა და აბონენტთა მომსახურების ქსელი. აღნიშნულს მიუყვართ დასკვნამდე, რომ მათი ძლიერი საბაზრო პოზიციები შეიძლება შენარჩუნდეს მომავალში, ყოველ შემთხვევაში, ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში. ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომ ქვეყნის მასშტაბით არსებობს მხოლოდ ერთი ფიქსირებული ქსელი, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს ბაზარს დაშვების მომსახურება ფართოზოლოვან ქსელზე.



|    |  |   |
|----|--|---|
|    |  | <p>ყოველივე აღნიშნული იქნა გათვალისწინებული კონკურენტული პირობების მომავალზე ორიენტირებულ ანალიზში და მიჩნეულ იქნა, რომ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარი არ არის საკმარისად კონკურენტუნარიანი. ეს დასკვნა დაეფუძნა უამრავ ასპექტს, რომელსაც ამყარებს FTTx დაფარვის ანალიზი და ბაზრის მოთამაშეებს შორის არსებული დისბალანსი ბაზრის წილებში მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის ბაზრის სეგმენტზე და დისბალანსი ოპერატორების ეროვნულ დონეზე გაყიდვებისა და აბონენტთა მომსახურების მიმართულებით.</p> <p>საცალო ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ანალიზის შემდგომი ეტაპების შედეგებისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესაძლო გამოვლენის შემთხვევაში, საჭირო იყო მარეგულირებელი ჩარევა საბითუმო დონეზე საცალო დონეზე არაეფექტიანი კონკურენციის აღმოსაფხვრელად.</p> |
| 20 | <p><b>ბაზრის სეგმენტაცია</b></p> <p>ასოცირებს კვლევაში არ არის წარმოდგენილი ბაზრის ერთი ოფიციალური სეგმენტაცია. თუმცა, არაპირდაპირ, ორი შესაძლო სეგმენტის დადგენა მარტივად არის შესაძლებელი. ორივე დაფუძნებულია დასახლებებზე.</p> <p>მათგან პირველი არის ის, რაც აღნიშნულია ზემოთ #1 ცხრილში. შინამეურნეობები, რომლებსაც აქვთ წვდომა ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე, შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, თუ რამდენი აქტიური ოპერატორია მათ ტერიტორიაზე - ნული, ერთი, ორი, სამი და მეტი. ან, შესაძლოა, ერთი და ორი ოპერატორის კატეგორიები გაერთიანდეს, რის შედეგადაც იქმნება სამი სეგმენტი - 4.9%, 18.7% და 76.4%.</p> <p>სხვა პოტენციური სეგმენტაცია, კვლევის საბოლოო აქცენტის გათვალისწინებით, კერძოდ, FTTx ბაზარზე, არის ძირითადი კატეგორიების ნახვა, რომელსაც ის მოიცავს დაფარვის დონეზე. აქ აზრი აქვს იმ დასახლებების ან მოსახლეობის გამოყოფას, რომლებიც არ არის დაფარული FTTx ქსელებით (ანუ 15.3%) და შემდეგ კვლავ დანარჩენის გამოყოფას დაფარვის დონეებზე - მაგალითად, ერთი ან ორი აქტიური FTTx ქსელის ოპერატორის და სამი ან მეტი ოპერატორის მქონე.</p> <p>მთლიანობაში, ბაზრის დომინირების განსაზღვრისას, როგორც ჩანს, გონივრული იქნება ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისის მიწოდების ყველა ფორმის განხილვა (მაგ., სიჩქარის გარკვეულ მინიმალურ დონეზე ზემოთ). თუმცა კვლევა ამას არ ითვალისწინებს და საქართველოში არსებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ვარიანტების გამოსაყენებლად ფოკუსირდება მხოლოდ FTTx-ზე, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია ყველაზე ძვირადღირებულ ტექნოლოგიად საქართველოში არსებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ვარიანტების გამოსაყენებლად. ეს ვარიანტებია</p> | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1 კომენტარზე პასუხი.</p>   |

**FTTx, FWA და xDSL**, სადაც ბოლო ორი საჭიროებს არსებითად ნაკლებ ხარჯებს.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ფოკუსირება მოხდეს FTTx-ით მიწოდებულ ფიქსირებულ ფართოზოლოვან წვდომაზე ყველა ფიქსირებულ ფართოზოლოვან ქსელთან შედარებით, დასაბუთების გარეშეა. ამის შედეგი არის განხილული ბაზრის ზომის შემცირება. ჩვენი აზრით, უფრო დაბალანსებული მიდგომა იქნება მთლიანობაში ფართოზოლოვანი ბაზრის გამოკვლევა, რომელიც იზრდება რამდენიმე თვალსაზრისით, მათ შორის მასშტაბით, პროვაიდერების რაოდენობით და შესაძლებლობებით მომხმარებლებისათვის. ეს საშუალებას მოგვცემდა უფრო დაბალანსებული და ობიექტური მიდგომა გვექნოდა ბაზრის დინამიკისა და პოლიტიკის მიზნების მიღწევის განსაზღვრისადმი - იქნებოდა ეს დაფარვისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, მრავალფეროვანი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ხელმისაწვდომობა თუ ინტერნეტით სარგებლობისა და ტრაფიკის ზრდა.

21 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP) განსაზღვრა და მისი შედეგები  
 ბაზრის განსაზღვრის საფუძვლები  
 ერთი და იგივე სამართლებრივი და მარეგულირებელი პირობები მთელ საქართველოში  
 როგორც ჩანს, ეს რიტორიკული წინაპირობაა. თუ, მაგალითად, საქართველოს ბაზარი განისაზღვრა, რომ შედეგა რამდენიმე განსხვავებული სეგმენტისგან, მაშინ ამ სეგმენტებზე შეიძლება, გამოყენებულ იქნას განსხვავებული რეგულაციები. ამიტომ, ეს „დასკვნა“ ხელახლა უნდა ფორმულირდეს, რადგან საქართველო ამ დროისთვის ერთი და იგივე რეგულაციებს იყენებს ეროვნული მასშტაბით.  
 ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგადად, ყველა ბაზარს აქვს ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩო იქამდე, ვიდრე არ იქნება განსაზღვრული მნიშვნელოვანი განსხვავება სეგმენტების მიხედვით. ამ დროს, რეგულაციები - ან, სულ მცირე, პირობები, რომლითაც დაწესებულია რეგულაციები, ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს. ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩოს, როგორც ერთიანი ბაზრის დასკვნის საფუძვლად წარმოჩენა მეტყველებს ამ დასკვნების წინასწარ განსაზღვრაზე.

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 16 კომენტარზე პასუხი.

22 ერთი და იგივე ძირითადი ფიქსირებული ფართოზოლოვანი FWA პაკეტის ფასები მთელი საქართველოს მასშტაბით ერთნაირია  
 ფასების დიფერენციაციის ერთ-ერთი საფუძველია სხვადასხვა შინამეურნეობასა თუ ინდივიდთან მიღწევისა და მომსახურების ღირებულება. მთლიანობაში, დანახარჯები, სავარაუდოდ, უფრო დიდი იქნება სასოფლო დასახლებამდე მისაღწევად, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს საშუალოზე მაღალი მჭიდროდ დასახლებულ

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 5 და მე-16 კომენტარებზე პასუხები.

ქალაქებში (კონკრეტულად, კაბელების მიწისქვეშა განთავსება შეიძლება, მოიცავდეს უფრო დიდ ხარჯებს, მათ შორის სხვადასხვა სახის ნებართვებს, ვიდრე მიწისზედა დამონტაჟება სოფლის ტერიტორიებზე, მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში მანძილი გაცილებით დიდია).

კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს მომსახურებაზე მოთხოვნა სხვადასხვა ფასის პირობებში. რაც უფრო მეტად განსხვავდებიან პოტენციური აბონენტები, მით უფრო მეტად შეიძლება იზიდავდეს მათ სერვისი სხვადასხვა ფასებით. მოთხოვნის ცვალებადობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ჯინის კოეფიციენტი (ინდექსი), რომელიც ზომავს შემოსავლების უთანასწორობას მოსახლეობაში. საქართველოს მაჩვენებელი - 34.2 - არის დიაპაზონის ქვედადან შუამდე ნაწილში, რომელიც ხვდება 20-60-იან დიაპაზონში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ასახავს გარკვეულ უთანასწორობას, მაგრამ არც ისე მაღალ დონეს, როგორცაა მაგალითად სამხრეთ აფრიკის ინდექსის შემთხვევაში (ჯინი 63.0). ამავდროულად, საქართველოს მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია ევროკავშირის ქვეყნებში და ხვდება საბერძნეთსა და პორტუგალიას შორის. ეს მიუთითებს მოთხოვნის ცვალებადობის საშუალოზე მაღალ ხარისხზე მოსახლეობის სეგმენტებისა და სავარაუდოდ, გეოგრაფიული ზონების მიხედვით.

და ბოლოს, კონკურენცია არსებობს, როგორც ფაქტორი. სადაც მეტი კონკურენციაა, სტიმული შეიძლება იყოს ფასების შემცირება. მეორე მხრივ, ფასები შეიძლება იყოს უფრო მაღალი იმ ტერიტორიაზე, სადაც არ არის კონკურენცია.

რა ფაქტორები ხსნის საქართველოს ერთიან საფასო გარემოს? ხომ არ მიუთითებს ეს ერთიანი ბაზრის არსებობაზე ანალოგიური პირობებით მთელი ქვეყნის მასშტაბით? კვლევის მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ სულაც არ არის ასე, როგორც ეს შეჯამებულია წინა ქვეთავში. უფრო მეტად ეს შეიძლება იყოს ოპერატორების ვარაუდი, რომ მარეგულირებელი ჩარჩო მოითხოვს ერთიან ფასებს, მაშინაც კი, თუ ეს არ არის გამოკვეთილი წესი და რომ განსხვავებული ფასების არსებობამ სხვადასხვა სფეროში შეიძლება, გამოიწვიოს მარეგულირებლის ჩარევა, იმის მიუხედავად, ექნება თუ არა ამას მეტი ეკონომიკური აზრი.

23

ფასები გარკვეული ოპერატორების ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის xDSL პაკეტებზე საბაზისო სიჩქარით, განსხვავდება თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის

კვლევის 28 და 29 გრაფიკების მიხედვით, ფასების ეს განსხვავებები ასახავს სილქნეტისა და ნიუ ნეტის xDSL სერვისების შეთავაზებებს 2-5 მბ/წმ სიჩქარის არეალში. თბილისში ფასები უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონებში. ეს შესაძლოა, იყოს მოთხოვნაში არსებული სხვაობის ინდიკატორი, ვინაიდან სპილენძის კაბელების განთავსებაზე თბილისში გაწეულმა ნებისმიერმა შედარებით მაღალმა ხარჯმა

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1 კომენტარზე პასუხი.

|    |   |  |
|----|---|--|
|    | <p>შესაძლოა, არ იქონიოს გავლენა ღირებულებაზე, მათი თავდაპირველი განთავსებიდან გასული დროის გამო (გარდა მიმდინარე მომსახურების დონისა). ამავდროულად გაურკვეველია, როგორ ან რატომ გამოიყენება ეს მახასიათებელი ერთიანი ეროვნული ბაზრის გასამართლებლად.</p>  |  |
| 24 | <p>მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ოპერატორს აქვს სხვადასხვა დაფარვა, ბაზარზე არის მინიმუმ ერთი მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი წვდომის პროვაიდერი (მაგთიკომი), რომელიც ყველაზე მეტ წილს ფარავს და არის სამი პროვაიდერი ეროვნული მასშტაბის დაფარვით, რომელიც შეიძლება მოემსახუროს ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ძირითად ბაზარს (3 მობილური ქსელის ოპერატორი)</p> <p>ბოლო პუნქტში, კვლევა ხაზს უსვამს იმას, რომ ერთი ოპერატორი (მაგთიკომი) ფარავს ბაზრის დიდ ნაწილს და სამი ოპერატორი (მობილური ოპერატორები, მაგთიკომის ჩათვლით) „შეიძლება მოემსახუროს ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ძირითად ბაზარს“. ისევ და ისევ, გაუგებარია, თუ როგორ უკავშირდება ეს იმ დასკვნას, რომ „როგორც ძირითადი, ასევე უფრო მაღალი სიჩქარით ფიქსირებული საცალო ფართოზოლოვანი წვდომისთვის, გეოგრაფიული ბაზრის განმარტებები ეროვნულია“. ანალოგიურად, დასკვნა, რომ ფართოზოლოვანი წვდომა არის „ეროვნული“ ბაზარი, არ არის ძალიან დამაჯერებელი.</p> <p>არის თუ არა ეს იმის მინიშნება, რომ თუკი არც ერთი ოპერატორი არ დაფარავს ბაზრის დიდ ნაწილს, SMP უნდა განისაზღვროს ცალკეული სეგმენტისთვის? და რას ნიშნავს მითითება მობილური ოპერატორებისთვის - მობილური ფართოზოლოვანი წვდომის ჩანაცვლება ფიქსირებულით? მაშინ რატომ არ განვიხილავთ ფიქსირებულ და მობილურ SMP-ის ერთად და არა სხვადასხვა ასოცირების კვლევის ფარგლებში, რომელიც იყო მომზადებული?</p> <p>ზემოთ წარმოდგენილი აღწერის გათვალისწინებით საქართველოს ფიქსირებული მომსახურების ბაზრის შესახებ, საეჭვოა, აიღენტიფიცირებს თუ არა კვლევა რაიმე სახის „საბაზრო ჩავარდნას“. ამის მიუხედავად, კომისიის მითითებები ისევე, როგორც რეკომენდაციები 2020/2245 ნათელია ამ თვალსაზრისით - „საბაზრო ჩავარდნა“ გამოვლენის გარეშე არ უნდა იქნას მიღებული არანაირი ex-ante ზომები.</p> | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1, 3, 5, 16, კომენტარებზე პასუხები.</p> |
| 25 | <p>ალტერნატიული SMP დასკვნები</p> <p>მთლიანობაში, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის საოპერაციო პარამეტრები საკმაოდ განსხვავებულია ამ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში, მათ შორის კონკურენციის ნაწილში. მინიმუმ, ბაზარი შეიძლება დაიყოს სამ სეგმენტად, მაგალითად, (1) ის, სადაც სამი ან მეტი ოპერატორი თანაარსებობს და კონკურენციას უწევს ერთმანეთს,</p>   | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 16 კომენტარზე პასუხი.</p>               |

(2) ორი კონკურენტი ოპერატორით და (3) მხოლოდ ერთი ოპერატორით.

ამ კონტექსტში, მაგთიკომს სამივე სეგმენტში უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. თუმცა, ხასიათი და კონტექსტი განსხვავდება სეგმენტების მიხედვით, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ბაზრის, როგორც ერთი მთლიანის განხილვას აზრი არ აქვს. ნაცვლად ამისა საჭიროა, დაისვას შემდეგი კითხვები: (1) დომინირებს თუ არა მაგთიკომი ან სხვა ნებისმიერი ოპერატორი რომელიმე ამ სეგმენტში და (2) არის თუ არა სხვა, შესაძლო, მაკომპენსირებელი პოლიტიკური შეხედულებები.

პასუხები ამ კითხვებზე ადვილი არ არის, თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ SMP-ის არსებობა რომელიმე ამ სეგმენტში აშკარაა. მაგალითად, თუკი SMP არსებობს, რატომ არ ახლავს მას ცალსახა განსხვავება ფასწარმოქმნის ნაწილში ან მომსახურების სხვა ასპექტებში (მაგალითად მომსახურების ხარისხში), როგორც ეს მოსალოდნელი იყო (მაგალითად შედარებით მაღალი ფასები მესამე სეგმენტში ან შედარებით დაბალი პირველში)? რაც შეეხება ბაზრის წილს, მაგთიკომის წილი შედარებით დიდია სხვების წილზე მესამე სეგმენტში (90%-ზე მეტი). ეს მიუთითებს, თუ საიტკენ უნდა იყოს მიმართული SMP-ის ფოკუსი ანდა თუ როგორ უწყობს ხელს მაგთიკომი გაფართოებულ წვდომას ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტზე საქართველოში?

26

მოსაზრებები საბითუმო ბაზრის შესახებ

კვლევის გადასვლა ბაზრის საბითუმო დონეზე მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული საბაზისო ბაზრის განმარტებით, როგორც ქვემოთ გვაქვს მითითებული. ამისგან განსხვავებით, საბითუმო ბაზარი, რომელიც მოიცავს კონკურენციას ფიქსირებულ უკაბელო წვდომაზე, რომ არაფერი ვთქვათ უკაბელო მობილურ კავშირზე, არამხოლოდ მეტ კონკურენტს მოიცავდა, არამედ ასევე შესთავაზებდა ე.წ. Backbone networks-ის მეტ კერსიას.

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1 კომენტარზე პასუხი.

27

მომავალზე ორიენტირებული შეფასება

კვლევის თანახმად, მაგთიკომი შეინარჩუნებს დომინირებას FTTx ბაზარზე და ნაკლებ სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვან კონკურენციას წააწყდება სხვებისგან, გარდა სილქნეტისა, რომელთან ერთადაც ის „უარყოფს...საბითუმო წვდომას თუ ამის საჭიროება იქნება, და დააწესებს გადაჭარბებულ საცალო ფასებს საბოლოო მომხმარებლებისთვის“. ამ პროცესში ორივე ოპერატორი მხარდაჭერილი იქნება მათი „კარგად განვითარებული ორგანიზაციებით გაყიდვებისა და მხარდაჭერის მიმართულებით.

ამავდროულად, კვლევის ავტორებმა არ განიხილეს საქართველოში FTTx-ის განვითარებასა და ფართო ხელმისაწვდომობაზე გავლენა იმ

არსებობს FTTx ტექნოლოგიის მაღალ პენეტრაციასთან დაკავშირებული ისტორიული მიზეზები, რაც შეესაბამება ინვესტიციების ნაკლებობას სპილენძის ტექნოლოგიის მიმართულებით (როგორც ეს დამახასიათებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქვეყანისთვის). ევროკავშირში FTTx-ის ყველაზე მაღალი დაფარვის მქონე ზოგიერთი ქვეყანა ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა (ლიეტუა, ლატვია, რუმინეთი და ბულგარეთი), სადაც მოძველებული სპილენძის ქსელის ჩანაცვლება აქტუალური იყო, რამაც გამოიწვია ოპტიკური ტექნოლოგიის განვითარება ადრეულ ეტაპზე.

ლიტვაში მოქმედებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების საბითუმო რეგულაცია, ამიტომ კავშირი მაღალი FTTx-ის პენეტრაციასა და კონკურენციის ეფექტურობას შორის არ არსებობს.

ის ფაქტი, რომ საქართველოს FTTx ქსელის დაფარვის მაჩვენებელი შედარებით მაღალია, ეს ავტომატურად არ მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარი კონკურენტუნარიანია.

შემთხვევისთვის, SMP შეზღუდვები ადრე რომ დაწესებულიყო. მიაღწევდა თუ არა ოპტიკურ-ბოჭკოვან, ფართოზოლოვან ქსელებზე გამოწერები მაღალ მაჩვენებელს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ მომხდარა ევროკავშირის ეკონომიკურად განვითარებულ არც ერთ ქვეყანაში, სავარაუდო მარეგულირებელი რისკებით, რომელიც ორიენტირებულია SMP-ზე? (ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს დონე დაახლოებით სამჯერ აღემატება FTTx გამოწერის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც მიღწეულია ევროკავშირის ქვეყნებში და უფრო მაღალია ვიდრე ევროკავშირის FTTx ლიდერების - განსაკუთრებით ესპანეთის, ლიტვის, შვედეთისა და რუმინეთის შემთხვევაში).

ანალოგიურად, კვლევა არ განიხილავს ფაქტორების ერთობლიობას, რაც ხელს შეუწყობს ფართოზოლოვანი წვდომის გაფართოებას, როგორც ეს ასახულია სამხრეთ კორეის შემთხვევაში და წარმოადგენს წამყვან მაგალითს მსოფლიოში ფიქსირებული, ფართოზოლოვანი წვდომის გამოყენების წამყვან მაგალითს (ნახეთ ცხრილი ქვემოთ). როგორც მაგალითშია შეჯამებული, ჩართულია როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ფაქტორები. სინამდვილეში, მოთხოვნის ასპექტებმა შესაძლოა, გადაწონოს მიწოდების ასპექტები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ SMP-ის განსაზღვრა თანამედროვე კონტექსტში უნდა მოიცავდეს ოპერატორების ვიდეო პროგრამებზე ან სოციალურ მედიაზე და სხვა აპლიკაციებზე (ან მათ პროვაიდერებზე, როგორცაა Google, Facebook, TikTok და სხვებზე) წვდომის შეფასებას.

კვლევაში არ არის დასმული კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არ ასახავს საქართველოში FTTx-ის განვითარების დონე დიდწილად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს და მეტად არ მოდის შესაბამისობაში FTTx-ის მიღების ხარისხთან, როგორც ეს არის ბულგარეთის შემთხვევაში (დაახლოებით 58%). საპირისპიროდ შეიძლება დაისვას კითხვა მიგვიყვანს თუ არა SMP-ზე დაფუძნებული რეგულირება ანდა მისი დანერგვის მცდელობა FTTx-ზე ხელმომწერების რაოდენობის ზრდამდე, ასევე FTTx ქსელების და მათთან დაკავშირებული მოცულობის გაუმჯობესებამდე, ხარისხსა და გავრცელებამდე შემდგომ წლებში, ან პირიქით, სტაგნაციამდე.

28

საბითუმო ბაზართან დაკავშირებით შემოთავაზებული ნაბიჯები

მოცემული შეთავაზება გულისხმობს, რომ ახალ მონაწილეს შეეძლება უზრუნველყოს საბოლოო მომხმარებლებისთვის FTTx-ის ალტერნატიული ოფციების მიწოდების საოპერაციო ასპექტები. შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ სწორედ აქ კვლევა ასახავს შეზღუდულ ხედვას იმისა, რაც საფუძველში უდევს ფართოზოლოვანი ან სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების წარმატებით მიწოდებას. მაგალითად, აუცილებელი საოპერაციო რესურსები და უნარები დამოკიდებულია მასშტაბის ეფექტსა და საბაზრო მოთხოვნის შეზღუდვებზე.

შემოთავაზებული მარეგულირებელი გარემო მიზნად ისახავს განვითარდნენ როგორც ახალი, ასევე, უკვე არსებული მოთამაშეები და ამ გზით ხელი შეეწყოს ინვესტიციების განხორციელებას, რაც უნდა აისახოს კონკურენციის განვითარებაზე, სექტორის ზრდასა და მომხმარებლის კეთილდღეობაზე.

ასევე, იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 15 კომენტარზე პასუხი.

მიუხედავად ამისა, კვლევა ვარაუდობს, რომ ახალმა მოთამაშეებმა, შესაძლოა, MVNO-ებთან ერთად, შეძლონ კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავება. თუმცა, როგორც წინა ანგარიშში დავაფიქსირეთ, MVNO-ის მდგრადი სიცოცხლისუნარიანობის შანსები ისეთი ეკონომიკის პირობებში, როგორც არის საქართველო, დაბალია და გამოწვევები ახალი მოთამაშეებისთვის, რომლებსაც აქვთ მცდელობა გახდნენ მესამე ეროვნული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ოპერატორი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. მაღალი შემოსავლის მქონე და უფრო მზარდ ბაზრებზე, როგორებიცაა ჰონგ-კონგი და ისრაელი, რომელთა შემთხვევებიც ჩვენ შევისწავლეთ, ჩამორჩენა MVNO-ზე წვდომის დამყარებისას და რამდენიმე ფუნქციონირებადი MVNO-ის შექმნისას შეადგენდა 5-დან 10 წლამდე. ჩამორჩენა ახალ მონაწილეებს შორის, რომლებიც სთავაზობენ საკუთარ საშუალებებს ფართოზოლოვან ინტერნეტთან დაკავშირებისთვის, ვისი საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯებიც უფრო მაღალია, ვიდრე MVNO, მაღალი ალბათობით საკმაოდ დიდი იქნება. ამის მიუხედავად, კვლევა არ გვთავაზობს მსგავს “პროგნოზებს” სამომავლოდ.

29

საბითუმო ბაზრის განმარტება

ისევე როგორც საცალო ვაჭრობის შემთხვევაში, კვლევა აკეთებს დასკვნას, რომ საბითუმო წვდომის ბაზრის მასშტაბი ეროვნულია. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის აღწერა მიუთითებს საკმაოდ განსხვავებულ სეგმენტებზე, მათ შორის ისეთებზე, სადაც არის ორი ძირითადი FTTx ქსელი, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასეთი ქსელი, ან ასევე სხვა ფართოზოლოვანი სერვისის ქსელი ან კიდევ მხოლოდ სხვა ფართოზოლოვანი ქსელები (ანუ არც ერთი ძირითადი FTTx ქსელი არ არის) და ისეთი, სადაც არც ერთი ფიქსირებული ოპერატორი არ უზრუნველყოფს ფართოზოლოვან წვდომას (გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვაგვარი ცვლილებები, თუ განიხილება ერთი ან მეტი მობილური ფართოზოლოვანი ოპერატორის არსებობა, მათ შორის დამოუკიდებელ მფლობელობაში მყოფი სელფი).

ამის მიუხედავად, ძირითადი ფიქსირებული კავშირის ბაზართან მიმართებით, არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი საბითუმო ბაზრის დაყოფისთვის სამ ან მეტ სეგმენტად. ეს სეგმენტები გააერთიანებდა (1) ტერიტორიებს, სადაც არის ფართოზოლოვანი წვდომის მხოლოდ ერთი ოპერატორი, (2) ტერიტორიებს ორი ასეთი ოპერატორით და (3) ტერიტორიებს სამი ან მეტი ოპერატორით. მოსალოდნელია, რომ ეს ტერიტორიები გარკვეული დოზით დაფუძნებული იქნება იმაზე, თუ რამდენი ოპერატორი დაექვემდებარება მოთხოვნებს საბითუმო მიწოდებასთან დაკავშირებით, თუ ასეთი მოთხოვნები იმოქმედებს.

მიუხედავად ამისა, კვლევა ამტკიცებს ერთი ბაზრის განმარტებას. იგი ამას აკეთებს შეზღუდული მტკიცებულებით იმის შესახებ, რომ

კვლევის ფარგლებში შესაბამისი საბითუმო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად განსაზღვრულ იქნა საქართველოს ტერიტორია, რისი მიზეზებიც ასახულია წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 16 კომენტარზე პასუხად. რაც შეეხება გეოგრაფიულ დაყოფას, აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ იქნა სპეციფიკური ვალდებულებების დიფერენცირების ნაწილში, სადაც განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად მოხდა კონკურენტულობის დონის შეფასება.

|    |  |  |  |
|----|--|--|--|
|    |  | <p>არსებობს ერთიანი ეკვივალენტური საბითუმო ბაზარი, სუბიექტების რაიმე კონკრეტულ შემთხვევებზე ყოველგვარი მითითების გარეშე, რომლებსაც სურთ ასეთი წვდომის უზრუნველყოფა და ასევე რაიმე ალტერნატივის ამკარა განხილვის გარეშე. იგი აკეთებს დასკვნას: „მაშასადამე, ბაზარი ხასიათდება [საკმარისი საფუძვლის გარეშე] შესვლის მაღალი და გარდამავალი ბარიერებით ქსელის ძალიან დიდი ზომის, დასახლებებისა და შინამეურნეობების არსებული დაფარვისთვის აუცილებელი ინვესტიციების გამო.“</p>   |  |
| 30 | <p>წინააღმდეგობრივი მტკიცებულება SMP-ს განსაზღვრასთან დაკავშირებით</p> <p>კომისია თავის არგუმენტებში, რომ საჭიროა საბითუმო წვდომის რეგულირება, კვლევა ასევე ითვალისწინებს, თუ როგორ განიცდიან სხვადასხვა ოპერატორები ზრდას (ან კლებას) მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი აბონენტების ბაზებში. მთლიანობაში, ეს აჩვენებს, რომ <b>2021 წელს შემცირების შემდეგ, ზრდის უფრო ძლიერი ტემპი განახლდა. ფაქტობრივად, სილქნეტის აბონენტების ზრდა 2022 წელს უფრო დიდი იყო, ვიდრე მაგთიკომის. მიუხედავად ამისა, კვლევა ითვალისწინებს, რომ მაგთიკომი გააგრძელებს მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების 50%-ზე მეტის მომსახურებას (2022 წელს არსებული 54.8%-ისგან განსხვავებით) უახლოეს მომავალში და, შესაბამისად, უნდა დაექვემდებაროს SMP შეზღუდვებს.</b></p> | <p>როგორც გადაწყვეტილებაში არის გაანალიზებული, შპს „მაგთიკომის“ წილი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წმინდა ზრდის კუთხით შემცირდა 2018 წლის მონაცემებით 61%-დან 2022 წელს 32%-მდე. სს „სილქნეტმა“ წილი ბაზრის ზრდის ნაწილში გაიზარდა 20%-დან 41%-მდე იმავე პერიოდში (აღსანიშნავია, რომ სს „სილქნეტი“ ამ პერიოდში აქტიურად ანაცვლდა DSL ტექნოლოგიას FTTx ტექნოლოგიით). ახალი ქსელების ჯგუფის დამატებული აბონენტები მთლიანი ბაზრის ზრდის 17%-დან 3%-მდე შემცირდა. ყველა სხვა ოპერატორის წილი(მათ შორის შპს „სქაიტელის“) მთლიანი აბონენტების წმინდა ზრდის კუთხით 2018 წელს დაფიქსირებული 2.4%-დან 23%-მდე გაიზარდა 2022 წელს.</p> <p>მართალია, მაგთიკომის აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი შემცირებულია ბოლო პერიოდის განმავლობაში, თუმცა კვლევის ფარგლებში შეფასდა მაგთიკომის საბაზრო წილების მაჩვენებლები მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში(სამი წელი), სადაც გამოვლინდა, რომ არ არის მოსალოდნელი შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილი ჩამოვიდეს 40%-ს ქვევით. შესაბამისად, საბაზრო წილების მხრივ გამოყენებული შეფასება, როგორც ერთ-ერთი კრიტერიუმი, სწორად მიუთითებს შპს „მაგთიკომის“ მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებაზე.</p> |  |
| 31 | <p>ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა სათანადოდ არ აფასებს და არ აიდენტიფიცირებს „ბაზრის მარცხს“, რომელიც, როგორც წესი, განიხილება SMP-ის ex-ante ვალდებულებების დაწესების წინაპირობად. კონკრეტულად, „ბაზრის ანალიზის პროცედურას“ უნდა გამოეკლინა „ბაზრის წარუმატებლობა“, როგორც ეს მითითებულია EECC-სა და SMP-ის სახელმძღვანელოში. ბაზრის ანალიზისა და განსაზღვრების განხორციელებისას, მარეგულირებლებმა უნდა გაანალიზონ, რამდენად შეადგენენ ალტერნატივები სადავო ბაზრის ნაწილს. ამის ნაცვლად, კვლევა ასახელებს ამ ალტერნატივებს, იქნება ეს ფიქსირებული თუ მობილური, როგორც ბაზრების სრულად განცალკევებულ ნაწილებს.</p>   | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის მე-3, მე-5 და 19-ე კომენტარებზე პასუხები</p>  |  |
| 32 | <p>გარდა ამისა, SMP გადაწყვეტილება გამოტანილია ნეგატიური გავლენის გათვალისწინების გარეშე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს SMP ზომებმა (პირველადი შეთავაზებიდან რეალიზებამდე) მაგთიკომის შესაძლებლობაზე გააფართოვოს წვდომა ფართოზოლოვან</p>   | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის მე-15 კომენტარზე პასუხი</p>   |  |



|    |   |  |
|----|---|--|
|    | <p>ინტერნეტზე რეგონებში, სადაც ის არ არის წარმოდგენილი (რაც მას მნიშვნელოვნად მეტად აქვს გაკეთებული სხვა ოპერატორებთან შედარებით), ასევე რაიმე სახის წნეხზე, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს, ფასების ზრდაზე, მომსახურების ხარისხზე, იმ მოწყობილობების მოდერნიზაციის შეფერხებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას უფრო სწრაფად, ასევე ფართოზოლოვანი ქსელის მცირე ოპერატორების ფინანსურ მდგრადობაზე. ნავარაუდევია, რომ ბაზარი გაუმჯობესდება იმის მიუხედავად, მიუთითებს თუ არა კომუნიკაციების კომისია თავის ყოველწლიურ ანგარიშში, რომ ფართოზოლოვანი კავშირის ბაზარი საქართველოში კარგად არის განვითარებული.</p>  |  |
| 33 | <p>კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შეეხება კვლევის უძღვრებას აღიაროს საბაზრო წარმატება და მომსახურების ხარისხი, არის მისი ვარაუდი, რომ აბონენტების უფრო მაღალი პროცენტი ტერიტორიებზე, სადაც მაგთიკომი სთავაზობს მომსახურებას, მიუთითებს მის მასშტაბსა და ბაზრის ფართოდ დაფარვაზე. სამწუხაროდ, ავტორები შესაძლოა ბოლომდე ვერ იაზრებენ, რომ ეს ფართოდ დაფარვა და აბონენტების მაღალი პროცენტი ადასტურებს, რომ Magitcom-ი დიდი ალბათობით ემსახურება დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობებს (კერძოდ, პერიფერიული დაფარვის ზონებში) ან/და საშუალოდ სარგებლობს ნაკლები თანდაყოლილი მოთხოვნით (კერძოდ, ემსახურება მათ, ვინც ახლახანს დაიწყო ფართოზოლოვანი კავშირით სარგებლობა), ვიდრე მისი კონკურენტები.</p>  | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის მე-5, მე-12 და მე-13 კომენტარებზე პასუხები</p>  |
| 34 | <p>იმავე პრინციპით, ახალი მოთამაშე უფრო სავარაუდოა, რომ მოემსახურება შედარებით განაპირა აბონენტებს (1) ტერიტორიებზე, სადაც უკვე არსებული ოპერატორები არიან ან (2) ჯერ არ ხდება მომსახურების მიწოდება. ასევე მათი პერსპექტივები უფრო შეზღუდული იქნება, რადგან არ ექნებათ ის მასშტაბი და სხვა კომპენსირებადი ფაქტორები, რომლებსაც მაგთიკომი ან სილქნეტი ეყრდნობა. ასეთი ზოგადი გამოწვევების ეფექტი აისახება მესამე ოპერატორის (ანუ „ახალი ქსელების“) „ბაზრის წილის კლებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში 9.4%-დან 6.3%-მდე.“ როგორც კვლევა მიუთითებს, „ეს ცხადყოფს, რომ გაფართოებასთან დაკავშირებული რეალური ბარიერები უკვე არსებობს.“ მიუხედავად ამისა, კვლევა უგულვებელყოფს ამ ბარიერებს, როგორც გავლენის მქონეს ახალ მოთამაშეებზე და ასევე უგულვებელყოფს გამოწვევებს, რომლებსაც ისინი წააწყდებიან არსებულ ოპერატორებთან კონკურენციაში ფასისა და მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ დაფარვაზე.</p> | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 19-ე და მე-15 კომენტარებზე პასუხები</p>   |
| 35 | <p>მაგთიკომი როგორც სამიზნე</p> <p>საწყისი საფუძველი იმისა, რომ მსხვილი სატელეფონო მომსახურების ოპერატორები ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენ, არ იყო დაკავშირებული მაინცდამაინც მასშტაბთან (ზომასთან). ეს იყო მაღალი</p>   | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 30-ე კომენტარზე პასუხი</p> <p>მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას კომისია დაეყრდნო ბაზრის ანალიზის პროცედურებს, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკომისიის სახელმძღვანელო პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან.</p> |

ფასები, დაბალი ხარისხის მომსახურება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული სურვილის არქონა/ანდა უარის თქმა ზოგიერთი შინამეურნეობებისთვის მომსახურების გაწევაზე. ვინაიდან, როგორც წესი, ამ კომპანიების ხვედრითი წილი ბაზარზე შეადგენდა 90%-ს ან მეტს, მასშტაბი გამოიყენებოდა საზოგადოებაზე მათი უარყოფითი გავლენის ჩამნაცვლებლად. თუმცა თავის მხრივ ეს მასშტაბი არ ყოფილა ფაქტორი, როგორც ამას ადასტურებს ზოგიერთი ინოვაციური გამოგონება ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

აწესებს თუ არა მაგთიკომის ზოგადად უფრო მაღალ ფასებს? უზრუნველყოფს თუ არა ის დაბალი ხარისხის მომსახურებას? აჭიანურებს თუ არა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას სხვა ოპერატორებთან შედარებით? არადაამკმაყოფილებლად ემსახურება თუ არა ცალკეულ დასახლებებს? ეს ის კითხვებია, რომლებიც კვლევამ უნდა განიხილოს, თუმცა უგულებელყოფს.

საცალო ბაზარზე იდენტიფიცირებული კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად, კვლევის ფარგლებში შეფასდა თუ როგორ უნდა მოგვარდეს ისინი საბითუმო ბაზრებზე ვალდებულებების დაკისრებით. შპს „მაგთიკომის“ FTTx ფართოზოლოვან ქსელზე საბითუმო დაშვების ვალდებულების დაწესება ჩაითვალა პროპორციულ ჩარევად. გადაწყვეტილება ეფუძნება პროცედურებში მითითებულ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურები ეფუძნება ევროკავშირის მოდელს, სხვა ქვეყნების სპეციფიკური პრაქტიკა არ არის მკაცრად აქტუალური საქართველოში.

შპს “მაგთიკომის” საცალო FTTx ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებაზე წვდომის ბაზრის წილი ზოგიერთ დასახლებაში კონკურენტზე ნაკლებია და შესაბამისად არ უნდა ამართლებს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენას აღნიშნულ დასახლებებში. ეს დასკვნა არ არის რელევანტური, რადგან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის პოტენციალი გამომდინარეობს შპს “მაგთიკომის” საბაზრო ძალიდან რაც შეფასებულია სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით - ქსელის სიმძლავრე და მისი დაფარვის მასშტაბი საბითუმო ბაზარზე. რეგულირების არარსებობის პირობებში შპს “მაგთიკომს” საქართველოს 4 დიდ ქალაქში (თავისი უნივერსალური დაფარვით) ადვილად შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს თავისი პოზიცია სხვა ოპერატორების პოზიციის შესუტების ხარჯზე.

მცირე დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” ზოგჯერ არ არის წამყვანი ოპერატორი (საცალო ბაზრის წილით), კონკურენტი ოპერატორები შედარებით ლოკალიზებული მოთამაშეები არიან, რომლებიც გაცილებით ნაკლებ ადგილებში არიან წარმოდგენილი და აქაც შპს “მაგთიკომს” აქვს საშუალება გააუმჯობესოს თავისი პოზიციები.

ოპერატორებისგან მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ ნებისმიერ დასახლებაში, სადაც შპს “მაგთიკომი” საკუთარი FTTx ქსელით არის წარმოდგენილი მას შეუძლია მოემსახუროს მთელ დასახლებას, რაც მას აძლევს შესაძლებლობას მიაწოდოს დაშვების საბითუმო სერვისი ბაზარს ეროვნული მასშტაბით.

შპს “მაგთიკომის” ქსელის დაფარვის მასშტაბების გათვალისწინებით, მის ერთადერთ კონკურენტად ეროვნულ დონეზე შეიძლება სს “სილქნეტი” ჩაითვალოს. ახალი ქსელების ჯგუფი წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ქალაქში, ხოლო შპს “სქაიტელი” მხოლოდ გარკვეული რაოდენობის სოფლებში. ბევრ სხვა მოთამაშეებს არ აქვს საკმარისი გავლენა მთლიან ბაზარზე, თუნდაც ლიდერის პოზიციით იყვნენ წარმოდგენილი კონკრეტული დასახლების დონეზე.

მაგთიკომის, როგორც SMP ოპერატორის განსაზღვრისას, აქცენტი კეთდება მის შესაძლებლობებსა და უნარზე, იმოქმედოს დამოუკიდებლად კონკურენტებისა და მომხმარებლებისგან. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების წინაპირობა არ არის, რომ ოპერატორი აქტიურად იყოს ჩართული კონკრეტულ ქმედებაში (საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება). მაგთიკომის, როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად განსაზღვრა დასახლება ეფუძნება რამდენიმე სპეციფიკურ კრიტერიუმს, როგორცაა:

- ბაზრის წილი

|    |  |  |
|----|--|--|
|    |  | <ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერატორების აბსოლუტური და ფარდობითი ზომა</li> <li>• რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის კონტროლი</li> <li>• პოტენციური კონკურენციის არარსებობა</li> <li>• ბაზარზე შესვლის და გაფართოების ბარიერები</li> <li>• მსყიდველობითი ძალაუფლების არარსებობა ან დაბალი, გრძელვადიანი და მდგრადი დაშვების ხელშეკრულებების დადება</li> <li>• კაპიტალის ბაზრებზე/ფინანსურ რესურსებზე მარტივი ან პრივილეგირებული წვდომა</li> <li>• მასშტაბის ეკონომია</li> <li>• მრავალფეროვნების ეკონომია</li> <li>• ვერტიკალური ინტეგრაცია</li> </ul> <p>ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების ანალიზი იძლევა მყარ საფუძველს მაგთიკომის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესახებ დასკვნის გამოსატანად.</p> |
| 36 | <p>კონკურენცია ტერიტორიების მასშტაბებზე კვლევა აღიარებს განსხვავებული საბაზრო ზონების არსებობას, როცა განიხილავს მათ რელევანტურობას მცირე ოპერატორებისთვის საბითუმო წვდომის პირობების შემოღების შემდეგ. ფაქტობრივად ის მას ყოფს „კონკურენტუნარიან“ ზონებად, სადაც მცირე ოპერატორებიც არიან წარმოდგენილი და შეუძლიათ განათავსონ საკუთარი ქსელები, როგორც კონკურენტუნარიან ზონებში, ისე იქ, სადაც არ არიან წარმოდგენილი ოპერატორები. კვლევის დასკვნით, ამას შეიძლება დასჭირდეს სხვადასხვა მარეგულირებელი ზომის მიღება აღნიშნულ ზონებში.</p> <p>უფრო მეტიც, კვლევა დასძენს, რომ FTTx-ზე ფოკუსირება მოითხოვს „3 ან მეტი ოპერატორის ბარიერულ მნიშვნელობას“. ამას ამართლებს იმით, რომ სილქნეტი და „ახალი ქსელები“ მიზნად ისახავს „მუნიციპალურ ცენტრებს ან უფრო მჭიდრო დასახლებებს“. თუმცა, ის არ განმარტავს, თუ როგორ მოახდენდა სტრუქტურულ განსხვავებას დამატებითი FTTx ოპერატორი, რომელიც მოემსახურებოდა მხოლოდ ან ძირითადად მუნიციპალურ ცენტრებს ან მჭიდრო დასახლებებს და არაკონკურენტულ ბაზარს კონკურენტუნარიანად გადააქცევდა. არც იმის საზოგადოებრივ ფასეულობას აღიარებს, რომ მაგთიკომი თავისი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით ემსახურება მოშორებულ რაიონებს და ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებს და ამისთვის არ აწესებს მაღალ ტარიფებს, არის თუ არა SMP-ის გადაწყვეტილების მიზანი ამ თვალსაზრისით მისი წვლილის შეზღუდვა?</p> | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 35-ე, 12 და 13 კომენტარებზე პასუხები</p>  |
| 37 | <p>კვლევა ასევე არ აღიარებს, რომ მაგთიკომის საბაზრო წილები შემცირდა და არ გვთავაზობს რაიმე ინტერპრეტაციას ან ანალიზს ამ თემის ირგვლივ. ამის ნაცვლად, იგი მიუთითებს, რომ სამი FTTx ოპერატორის მიერ ერთიანი ნიშნულის მიღწევა თავისთავად არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ეფექტური კონკურენციის არსებობის დასადასტურებლად.</p>   | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 35-ე, 27-ე, 12 და 13 კომენტარებზე პასუხები</p>  |

ქვემოთ წარმოდგენილი ზომების შეფასების დროს, ჩვენ ასევე აღვნიშნავთ, რომ არ არსებობს რეალური მითითება იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდება ზომების ეფექტურობა. იგულისხმება, რომ მაგთიკომის ხვედრითი წილი ბაზარზე შემცირდება. თუმცა რა იქნება თუკი ეს არ მოხდება (განსაკუთრებით თუ ეს არ მოხდება მას შემდეგ, რაც მისი წილი ისედაც შემცირდა მიღებული ზომების გარეშე)? არ არსებობს რაიმე მითითება გეგმა B-ს შესახებ. ეს ხაზს უსვამს, რომ ზომები შეიძლება უბრალოდ ასახავდეს მოქმედების განხორციელების აუცილებლობას და არა ბაზრის ზრდისა და ბაზრის წილის რეალური მამოძრავებლების გაგებას.

როგორც გადაწყვეტილების მე-9.1 თავში აღინიშნა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის შესაძლებლობა და სტიმული, ბოროტად გამოიყენოს თავისი საბაზრო უპირატესობა, შეიძლება განსხვავდებოდეს გეოგრაფიულად. ამ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს დაკისრებული ვალდებულებების გეოგრაფიულ დიფერენციაციას.

დაშვების ვალდებულება გავლენას ახდენს რეგულირებული ოპერატორის საინვესტიციო სტიმულზე, კერძოდ იმ გეოგრაფიულ არეალებში, სადაც შეინიშნება ინფრასტრუქტურის მდგრადი და ეფექტური განლაგების ნიშნები მისი კონკურენტების მხრიდან შპს „მაგთიკომზე“ განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები შედარებით მსუბუქი იქნება ვიდრე იმ დასახლებებში, სადაც პარალელური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება არ იქნება ეკონომიკურად მიზანშეწონილი. როგორც ამ ბაზრის ანალიზის 9.1 თავში აღინიშნა ასეთ დასახლებებში მომხმარებლის არჩევანის უზრუნველსაყოფად საბითუმო დაშვების ვალდებულების სრული ნაკრები უნდა დაწესდეს.

ალტერნატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარების შესაძლებლობის და მისი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით დასახლებების დონეზე გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- ოპერატორების რაოდენობა, რომლებიც წარმოდგენილი არიან საკუთარი FTTx ქსელებით;
- მათი საბითუმო FTTx სიმძლავრის ფარდობითი ზომა (საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული ფასდება თითოეული ოპერატორის მიერ საბითუმო FTTx სიმძლავრის თვითმომსახურების გათვალისწინებით მისი საცალო FTTx ბაზრის წილის საფუძველზე);
- აჩვენებს თუ არა შედარებითი FTTx საბითუმო ბაზრის წილები კონკურენტუნარიანობის ტენდენციას;
- ბაზრის მაქსიმალური პოტენციური წილი, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ოპერატორმა მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე (მისი FTTx ქსელის მიერ დაფარული ფართების რაოდენობის მიხედვით);
- დასახლების ზომა (4 უდიდესი ქალაქი განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს).

მას შემდეგ, რაც შეფასდება მდგრადი კონკურენტუნარიანობის დონე, თითოეული დასახლება ნაწილდება I, II ან III კლასტერში და შემდეგ ეტაპზე დგინდება მარეგულირებელი ვალდებულებები თითოეულ კლასტერში არსებული კონკურენტული პირობების პროპორციულად.

ოპერატორების კომენტარებში, ასევე, აქცენტი გაკეთებული იყო სხვადასხვა კლასტერებში დაკისრებული დაშვების ვალდებულებების პროპორციულობაზე. კერძოდ, კომენტარებში პირველ რიგში დასმული იყო კითხვა, პასუხობს თუ არა თუ არა შემოთავაზებული ვალდებულებები იდენტიფიცირებულ კონკურენტის პრობლემებს (მათ შორის, მათი გამოყენების ალბათობას) და ასევე კომისიის მსჯელობის ნაწილზე.

|  |    |   |  |
|--|----|---|--|
|  |    |   | <p>იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ იქნება საკმარისი მეტად მსუბუქი საშუალებები მსგავსი შედეგების მისაღწევად.</p> <p>I კლასტერში კონკურენციის პრობლემები ყველაზე მაღალია, რადგან აღნიშნულ კლასტერში მოქცეულ დასახლებებში ზოგადად დომინანტი ოპერატორი ან მხოლოდ მისი ქსელით ან გაცილებით მცირე ოპერატორებთან ერთად არის წარმოდგენილი, შესაბამისად აღნიშნული დასახლებებისთვის შემოთავაზებულია მარეგულირებელი მექანიზმების სრული ნაკრები, რათა უპასუხოს ყველაზე დაბალი კონკურენტუნარიანობის დონეს. კლასტერ II-ში, სადაც რამდენიმე ოპერატორია წარმოდგენილი, რომლებსაც შეუძლიათ პოტენციური კონკურენცია გასწიონ ბაზარზე, რეგულაციები პროპორციულად უფრო მსუბუქია. მაგალითად, კლასტერ II-ში ადგილობრივი დაშვების (VULA) მომსახურებისთვის<sup>6</sup> ზედა ზღვრული საბითუმო ტარიფის დაწესება არ არის გათვალისწინებული. III კლასტერში შემოთავაზებულია რეგულირების მხოლოდ მინიმალური დონე (შპს “მაგთიკომის” ვალდებულება უზრუნველყოს დაშვება გონივრულ ვადაში), რადგან გეოგრაფიულ არეალში უკვე არსებობს კონკურენტული წინააღმდეგობის საკმარისად მაღალი დონე. იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 15 კომენტარზე პასუხი</p>   |
|  | 39 | <p>წვდომის პირობები</p> <p>მითითებული პირობების პრაქტიკაში გამოყენება რთული შესაფასებელია იმის ანალიზის გარეშე, თუ როგორ არის აგებული, აღჭურვილი, მართული და კონტროლირებული პროცესში ჩართული ქსელები, რომლებიც სთავაზობენ საბითუმო წვდომას და ისინი, რომლებიც მას მოითხოვენ. საერთო ჯამში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა და დანახარჯები შეიძლება დასჭირდეს მათ ურთიერთთავსებადობას განსაკუთრებით, თუკი პროცესში სხვადასხვა ტექნოლოგიაა ჩართული (ან კიდევ, ერთნაირი ტექნოლოგია სხვადასხვა მომწოდებლისგან).</p> <p>ამავდროულად, იბადება კითხვა, განიხილა თუ არა კვლევამ და კომუნიკაციების კომისიამ დაკავშირებული კორექტირებისა და განხორციელების ხარჯები.</p> | <p>ბაზრის მოთამაშეების შესაძლებლობას გააფართოვონ საკუთარი ქსელი განსაზღვრავს შპს „მაგთიკომზე“ დაწესებული დაშვების ვალდებულება. ფიქსირებულ ადგილას საბითუმო ადგილობრივი დაშვების ვალდებულება შედგება მხოლოდ ვირტუალური დაშვებისგან (ოპტიკური-ბოჭკოს გამოყოფის, კოლოკაციის გარეშე, შესაბამისად, შეთავაზებები არ საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს შპს „მაგთიკომის“ მხრიდან და შეუძლია ადვილად განახორციელოს მომსახურების განმეორებით მიწოდება დაშვების პირველადი მომსახურების მიწოდების შემდგომ ეტაპზე. შპს „მაგთიკომსა“ და დაშვების მაძიებლებს შორის ტრაფიკის გადაცემის სხვადასხვა წერტილი აუცილებელია იმისათვის, რომ დაშვების მაძიებლებს საშუალება მიეცეს განახორციელონ არჩეული ბიზნეს გეგმები ბაზრებზე შესვლისა და გაფართოების თვალსაზრისით. შპს „მაგთიკომის“ სხვა მარეგულირებელი ვალდებულებები (მათ შორის ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ფასების კონტროლი და ხარჯთაღრიცხვა, განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგება, დისკრიმინაციის აკრძალვა) არის ვალდებულებები, რომლებიც აუცილებელია დაშვების ვალდებულების მხარდასაჭერად. შპს „მაგთიკომის“ ერთადერთ მარეგულირებელ ტვირთს წარმოადგენს მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) მოზადებისა და გამოქვეყნების მოთხოვნა, თუმცა იმ შემთხვევაში თუ დაშვების მომსახურების გამოყენება მოხდება დაშვების მსურველის მიერ, მარეგულირებლის ტვირთი შეიძლება გამართლებულად</p> |

<sup>6</sup> იმ შემთხვევაში, თუ კომისია აღმოაჩენს, რომ შპს “მაგთიკომი” იყენებს დისკრიმინაციის პრაქტიკას საბითუმო მომსახურებაზე ტარიფის დანესებისას (მაგალითად, შესთავაზოს უფრო მაღალი საბითუმო ფასი დაშვების მაძიებელს, რომელსაც შპს “მაგთიკომი” ალიქვამს უფრო დიდი კონკურენტული საფრთხის მქონედ), მაშინ კომისიას შეუძლია გამლიყენოს მარჟის შეკუმშვის ტესტი. მარჟის შეკუმშვის ტესტის გამოყენება განმარტებულია ბაზრის ანალიზის 11.2.2 ქვეთავში.

|    |   |   |
|----|---|---|
|    |   | <p>ჩაითვალოს, რადგან აღნიშნული მხარს დაუჭერს შპს “მაგთიკომის” საბითუმო მიმართულებას. იმ შემთხვევაში, როდესაც დაშვების მაძიებელი მოითხოვს კონკრეტულ ტექნიკურ ასპექტებზე მოლაპარაკებას, რომლებიც სათანადოდ არ არის დაფარული გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტით, მაშინ შპს “მაგთიკომს” ექნება გარკვეული მარეგულირებელი ტვირთი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტვირთს, ასევე, ადგილი ექნება საბითუმო ცენტრალური დაშვების მომსახურების (ბიტსტრიმ დაშვება) მიწოდებაზე მოლაპარაკებების დროს და ამიტომ ნებისმიერი დამატებითი ტვირთი, რომელიც წარმოიქმნება VULA ვალდებულებიდან, სავარაუდოდ მცირე იქნება.</p>   |
| 40 | <p>არა-დისკრიმინაციულობა</p> <p>ასევე არის მინიშნება მარყის შეზღუდვის ტესტზე, რომელიც გამოქვეყნდება კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდზე. ტესტის მიზანია საფასო დისკრიმინაციის შეფასება. უფრო კონკრეტულად, ტესტმა უნდა განსაზღვროს, „რომ SMP ოპერატორის საცალო ფასი მოცემულ სერვისებზე არ უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე SMP ოპერატორის საბითუმო ღირებულების ჯამი ამ სერვისისთვის, ასევე წვდომის მაძიებლის საკუთარი ქსელის ღირებულება ამ სერვისისთვის და წვდომის მაძიებლის საცალო ღირებულება ამ სერვისისთვის.“</p> <p>ეს ე.წ. არადისკრიმინაციული ტესტი გულისხმობს, რომ თუ წვდომის მაძიებელი არაეფექტურია ან კიდევ არ აქვს ნებისმიერი ეკონომიკური მასშტაბი, SMP ოპერატორი შესაძლოა იძულებული გახდეს უფრო მაღალი ფასები დააწესოს თავის სერვისებზე, ვიდრე წარსულში. შეიძლება თუ არა ეს მართლაც იყოს რაციონალური პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიზნად ისახავს საბოლოო მომხმარებლების დიდი ნაწილის წვდომას მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან სერვისზე ყველაზე გონივრულ ფასად? ეს ყველაფერი უფრო საპირისპიროზე მეტყველებს.</p> | <p>ოპერატორს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება კონკრეტულ საბითუმო ბაზარზე, რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლია დააკისროს დაშვების მსურველ ოპერატორს ხარჯზე მაღალი ფასი საბითუმო მომსახურებაზე და პარალელურად დააწესოს ხარჯზე დაბალი საცალო ფასი შესაბამის საცალო ბაზარზე, რაც გამოიწვევს მარყის შეკუმშვის პრაქტიკას საცალო დონეზე არსებული კონკურენტებისთვის, რომლებიც იყენებენ საბითუმო მომსახურებას, საცალო მომსახურების მიწოდებისთვის. ამ გზით, ოპერატორს შეუძლია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გავრცელება საბითუმო ბაზრიდან შესაბამის საცალო ბაზარზე.</p>   |
| 41 | <p>გამჭვირვალობა</p> <p>დაკავშირებული ვალდებულებების სია გრძელდება. მოთხოვნები, რომელიც საფუძვლად უდევს რეფერენს წინადადებას, შეიცავს 17 ცალკეულ ელემენტსა და დამატებით ქვეელემენტს. ისინი მერყეობენ „წვდომის ხელმისაწვდომი წერტილების სიებიდან“ განუსაზღვრელ „მოწყობილობის სპეციფიკაციებამდე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსელში“, ასევე შედარებით ბუნდოვან მოთხოვნებამდე, რომელიც უკავშირდება „ტექნიკური გადაწყვეტილების შექმნის ღირებულებას“ (შესაძლოა ასეთი გადაწყვეტების რაოდენობა უსასრულო იყოს).</p> <p>მოხსენიებული 36 ცალკეული ელემენტი ასახავს საბითუმო წვდომის პროცესის სირთულეს, რომელიც აქ არის აღწერილი. ის უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე გამჭვირვალობის მარტივი გაგება. ეს, თავის მხრივ, აჩენს კითხვას მისი დამატებითი ხარჯების შესახებ, რომელსაც საბოლოო მომხმარებლები შესაძლოა წააწყდნენ მომავალში, რაც</p>  | <p>„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს შეიძლება დაეკისროთ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მარეგულირებელი ვალდებულება გარკვეული ინფორმაციის გამოქვეყნების სახით, როგორცაა მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები;</li> <li>• ტექნიკური მახასიათებლები;</li> <li>• ქსელის მახასიათებლები (ტოპოლოგია, დაფარვა და ა.შ.);</li> <li>• მომსახურების გაწევის პირობები;</li> <li>• ფასები.</li> </ul> <p>„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, როგორც გამჭვირვალობის ვალდებულების ნაწილი, კომუნიკაციების</p> |

|           |  |   |
|-----------|--|---|
|           | <p>შემდგომად იმ მომხმარებლების რაოდენობას, ვისაც ამ სერვისებით სარგებლობის საშუალება აქვს. (სხვა შემთხვევაში, თუკი ფასები არ გაიზრდება, შესაძლოა გაიზარდოს საჩივრები მომსახურების ხარისხთან მიმართებით). გარდა ამისა, კომუნიკაციების კომისია შეიძლება შეეჯახოს ხარჯების ზრდას პროცესის მონიტორინგზე, ასევე მომხმარებლების საჩივრებზე შედარებით რთულ საოპერაციო სტრუქტურაში, რომელიც გაჩნდება მიღებული ზომების შედეგად.</p>   | <p>კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს გამოაქვეყნოს მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტა ურთიერთთართვის ან/და დაშვების შესახებ, რის საფუძველზეც ოპერატორს, რომელიც ითხოვს ურთიერთთართვის ან/და დაშვებას, არ მოუწევს დამატებითი ხარჯების გაწევა, რაც არ არის საჭირო მოთხოვნილი სერვისის მიღების უზრუნველსაყოფად. მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტა დეტალურად უნდა იყოს დაყოფილი ბაზრის საჭიროებების შესაბამისად და უნდა მოიცავდეს მომსახურების დეტალურ აღწერას, მასთან დაკავშირებულ პირობებს და მომსახურების ფასებს.</p> <p>გამჭვირვალობის ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს, რომ ბაზარზე არსებულ ყველა ოპერატორს, რომლებიც წარმოადგენენ რეგულირებადი საბითუმო სერვისების არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს შესაბამის ბაზარზე, ჰქონდეთ გამჭვირვალედ ხელმისაწვდომი პირობები საბითუმო სერვისების გამოყენებისათვის, რომლებზე დაშვების ვალდებულება დაწესდა.</p>  |
| <p>42</p> | <p>ფასების კონტროლი და ხარჯების აღრიცხვა</p> <p>კიდევ ერთი პირობა ეს არის ერთიანი ფასის დაწესება ადგილობრივი ხელმისაწვდომობისთვის, ლოკალური წვდომის დარიცხვა ერთი ფასით, სიჩქარის მიუხედავად, რომელიც არ მოიცავს უკუგადაცემის სერვისს. ანალოგიურად, Ethernet-ისა და IP-ის დონის წვდომა (რეგიონული თუ ეროვნული) უნდა დაწესდეს ერთი ფასით, სიჩქარის მიუხედავად, რასაც ცალკე დაემატება უკუგადაცემა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საბითუმო წვდომის საფუძველზე მოწოდებული უკუგადაცემის გადასახადი შეიძლება განსხვავებულად დაწესდეს, რაც დამოკიდებულია მიწოდებულ სიჩქარესა და ჩართულ მარშრუტზე. როგორ გადაჭრიან ამ დისბალანსს ახალი შემომსვლელები ან არსებული ოპერატორები?</p>   | <p>იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 15 და 39 კომენტარებზე პასუხი;</p>  |
| <p>43</p> | <p>ევროკავშირის ბაზრისა და პოლიტიკის შედარება</p> <p>შედარება ევროკავშირის ბაზრებთან</p> <p>საქართველოს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის თვალსაზრისით, ქვეყანა უფრო დაწინაურებულია გარკვეულ ასპექტებში, ვიდრე ევროკავშირის უმეტესი ქვეყნები. მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელებზე დაკავშირებული შინამეურნეობების ის წილი, რაც საქართველოშია, იშვიათია ევროკავშირის მასშტაბით. კონკრეტულად, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ესპანეთსა და შვედეთს ჰყავთ ფართოზოლოვანი აბონენტების 80%-ზე მეტი დაკავშირებული ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელებთან. მეორე მხრივ, ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას აქვს ფართოზოლოვანი კავშირების 50%-ზე ნაკლები, რომელსაც ემსახურება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების მეშვეობით, აქედან ხუთზე წილი 12%-ზე დაბალია.</p> <p>ეს, თავის მხრივ, აჩენს კითხვებს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ქართულ ბაზარს SMP-ის განსაზღვრის თვალსაზრისით. შესაბამისად, ევროკავშირზე დაფუძნებული მიდგომები, რომლებიც</p> | <p>კომისია მიიჩნევს, რომ ოპერატორი, რომელიც არ იყო ისტორიული, ე.წ. „incumbent“ პროვაიდერი, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი, მთლიანად შეესაბამება ევროკავშირის მარეგულირებელ პრაქტიკას. პროცედურების მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გამოვლენის ანალიზი იგივე პრინციპებსა და კრიტერიუმებს ეყრდნობა. მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებასთან დაკავშირებული რეგულაცია ვრცელდება „ოპერატორებზე, რომლებსაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქვთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ე.ი. ისინი ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, სარგებლობენ დომინირების ექვივალენტური პოზიციით, ანუ მათ გააჩნიათ საკმარისი ეკონომიკური ძალა, რომელიც აძლევს მათ მომხმარებლებისა და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას.“ ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩო განსაზღვრავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე და არ ითვალისწინებს მათ ისტორიულ კონტექსტს კერძოდ, არის თუ არა ოპერატორი ისტორიული (Incumbent) ოპერატორი.</p> |

|    |  |   |  |
|----|--|---|--|
|    |  | გამომდინარეობს ბაზრებიდან, სადაც დომინირებენ ფიქსირებული სატელეფონო კავშირის (სპილენძის სადენებით) პროვაიდერები, შეესაბამება თუ არა საქართველოს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ კონტექსტში. ეს ძირითადი საკითხები და კითხვები არ ჩანდა ასოცირების კვლევაში.   |  |
| 44 | DSL-ის არსებობა                        | საქართველო სხვა მხრივაც განსხვავდება ევროკავშირის უმეტესი ქვეყნისგან, სადაც ხშირად მხოლოდ DSL-ით დაფარული ტერიტორიები დღემდე არსებობს. საქართველოში ანალოგიური ტერიტორიები იკავებს ყველა შინამეურნეობის მხოლოდ 0.1%-ს და მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლებს. ეს ასახავს საქართველოს ბაზრის ზოგად განსხვავებულ სტრუქტურას, სპილენძის სადენებით მომსახურე ოპერატორის არსებობის გარეშე, როგორც ეს არის ევროკავშირის ბაზრების დიდ ნაწილში. სილქნეტი გარკვეულწილად ევროკავშირის ტიპიური DSL-ის მოხმარებული ძველი ოპერატორის ეკვივალენტია, მაგრამ მისი წილი ბაზარზე უფრო დაბალია, ვიდრე წარსულში ან თუნდაც დღეს ევროკავშირის ანალოგიური მომსახურების პროვაიდერების წილთან შედარებით. კვლევა არ ცნობს ამ ფაქტორის შედეგებს, რაც მოითხოვს საქართველოში SMP შეფასების განსხვავებულ მიდგომას ევროკავშირის კლასიკურ კონტექსტთან შედარებით. | იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1 კომენტარზე პასუხი.       |
| 45 | კომპლექტური სერვისები                  | ასევე არ არის აღიარებული საქართველოს შედარებითი განსხვავება კომპლექტური საკაბელო ტელევიზიის მომსახურებების მიწოდებაში. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოძველებული ბაზრებისგან განსხვავებით, სადაც საკაბელო ტელევიზიის ოპერატორები, როგორც წესი, განსხვავებული სუბიექტები იყვნენ (ანუ სატელეფონო კომპანიებისგან განსხვავებულები), საქართველოში ისინი შერეული ოპერატორები არიან.<br>ასეთი შერწყმა ბოლო წლებში ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაშიც ხდება, მოძველებული სატელეფონო კომპანიების (მაგ. Deutsche Telecom, Orange, Telefonica) და ახალი შემსვლელების, რომლებიც უზრუნველყოფენ მობილურ მომსახურებას (მაგ. Vodafone) ასევე შერწყმა საკაბელო ტელევიზიის პროვაიდერთან (მაგ. Liberty TV). საქართველოში ეს შედარებით ფუნდამენტური მოვლენაა ბაზარზე.  | იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1 კომენტარზე პასუხი.       |
| 46 | შესაბამობები ევროკავშირის პოლიტიკასთან | რა თქმა უნდა, ევროკავშირის მარეგულირებლებმა თავიანთი ფიქსირებული ოპერატორებიდან ბევრი დაასახელეს ისეთებად, რომლებსაც აქვთ SMP. თუმცა, ისინი ჩვეულებრივ იყვნენ   | იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 1 და 43 კომენტარზე პასუხი. |



ტრადიციული ფიქსირებული სატელეფონო ოპერატორები, რომლებიც იწყებდნენ ფიქსირებული ბაზრის 100%-იანი (ან 100%-მდე) წილით. ასევე, ევროკავშირის ეროვნული რეგულატორების მიერ ფიქსირებული მომსახურების სექტორში SMP-ის განსაზღვრა, როგორც შემდგომ განიხილება ევროკავშირის მიერ, ჩვეულებრივ ეფუძნება ყველა ფიქსირებულ კავშირს. რომ შევადაროთ, შემოთავაზებული მიდგომა საქართველოსთვის - კერძოდ, ფოკუსირება მხოლოდ FTTx სერვისის კავშირებზე - შერჩევითი ჩანს.

მოცემული შერჩევითობა ეფუძნება არამხოლოდ მომსახურების სიჩქარის დონეს, არამედ გამოყენებულ ტექნოლოგიას. ჩვენი ინფორმაციით, ასეთ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული SMP შეფასებები ძალზე უჩვეულოა ევროკავშირის კონტექსტში. უფრო მეტიც, ეს მიდგომა აკნინებს xDSL და FWA ალტერნატივებს, ისევე როგორც ოპერატორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართოზოლოვან სერვისებს ამ ტექნოლოგიების გამოყენებით. ის ასევე გამორიცხავს კონკურენციას, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მობილური უკაბელო კავშირებით. მთლიანობაში, ეს უგულებელყოფს სილქნეტისა და სელფის, ისევე როგორც გლობალ ერთის, აილინკის და 80 სხვა FWA პროვაიდერის კონკურენტულ როლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც VoIP სერვისებს გვთავაზობს.

ამავდროულად, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ SMP-ის განმარტება ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, ბაზრის უფრო ფართო განმარტებებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, როგორც არასწორი, მაშინაც კი, როდესაც ძირითადი ოპერატორები ფლობენ მნიშვნელოვან საბაზრო წილებს (მაგ. ფინეთსა და შვედეთში). თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც ერთ ოპერატორს მიენიჭა SMP-ის სტატუსი, ჩართული ოპერატორები იყვნენ შესაბამისი ქვეყნების თავდაპირველი მემკვიდრე ოპერატორები. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბაზრის უნიკალურობასა და ოპერატორებისთვის არსებულ პირობებს საქართველოში.

47

მიუხედავად ამისა, კვლევა აწესებს ზემოდან ქვემოთ (დაღმავალ) ხედვას ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის, როგორც ერთიანი ეროვნული ბაზრის მიმართ. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის SMP გაიდლაინების შეფასების მიხედვით, „გეოგრაფიული ანალიზი უნდა იყოს შემუშავებული ქვემოდან-ზემოთ (აღმავალი) მეთოდით, სადაც ბაზრის სეგმენტი განისაზღვრება კონკურენციის ადგილობრივი პირობების მიხედვით, და არ გამოიყენოს დაღმავალი მიდგომისთვის დამახასიათებელი ათვლის წერტილები, როგორცაა ერთიანი ეროვნული ბაზარი ან ბაზარი ეროვნული ელემენტის გარეშე“. აღმავალ მიდგომას პირდაპირ მოითხოვს ევროკომისია, რომელმაც განაცხადა, რომ „გეოგრაფიული ტერიტორიები... რომლებიც შეიძლება განვასხვავოთ მეზობელი ტერიტორიებისგან, სადაც გაბატონებული კონკურენციის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება...

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის 16 კომენტარზე პასუხი.

|   |  |   |
|---|--|---|
|   | <p>მნიშვნელოვნად განსხვავებული კონკურენტული პირობების წინაშე დგანან.</p> <p>48 შესაბამისად, FTTx-ის ფართო ხელმისაწვდომობა საქართველოში (უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში), მათ შორის მისი არსებობა ბევრ სასოფლო დასახლებაში, არ არის კვლევის მიერ აღიარებული, როგორც საფუძველი სხვა მარეგულირებელი გადაწყვეტილების მისაღებად, ვიდრე SMP-ის განსაზღვრა. ასევე არ არის აღიარებული, რომ მთლიანობაში, ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებში საბითუმო წვდომის უზრუნველსაყოფად შეზღუდული იყო SMP განსაზღვრების გამოყენება. ფაქტობრივად, ტენდენცია საპირისპირო მიმართულებით განვითარდა, განსაკუთრებით ევროკავშირის დონეზე. ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია SMP-ის სხვა განმარტებით, კერძოდ, ევროკავშირის „ერთიანი ბაზრის პროგრამით“. უფრო და უფრო დიდი, მრავალ ქვეყანაში წარმოდგენილი მობილური ოპერატორების საჭიროება განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი, ტექნოლოგიის ინოვაციისა და მიღწევებისათვის, ასევე მარეგულირებელი ჰარმონისთვის ევროკავშირის მრავალ ქვეყანას შორის.</p>                                   | <p>მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს FTTx ქსელის დაფარვის მაჩვენებელი შედარებით მაღალია, ეს ავტომატურად არ მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარი კონკურენტუნარიანია. არსებობს FTTx ტექნოლოგიის მაღალ პენეტრაციასთან დაკავშირებული ისტორიული მიზეზები, რაც შეესაბამება ინვესტიციების ნაკლებობას სპილენძის ტექნოლოგიის მიმართულებით (როგორც ეს დამახასიათებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქვეყანისთვის). ევროკავშირში FTTx-ის ყველაზე მაღალი დაფარვის მქონე ზოგიერთი ქვეყანა ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანაა (ლიეტუა, ლატვია, რუმინეთი და ბულგარეთი), სადაც მოძველებული სპილენძის ქსელის ჩანაცვლება აქტუალური იყო, რამაც გამოიწვია ოპტიკური ტექნოლოგიის განვითარება ადრეულ ეტაპზე.</p> <p>ლიტვაში მოქმედებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების საბითუმო რეგულაცია, ამიტომ კავშირი მაღალი FTTx-ის პენეტრაციასა და კონკურენციის ეფექტურობას შორის არ არსებობს.</p> <p>უმეტესი ქვეყნებში რეგულირდება ფართოზოლოვანი დაშვების საბითუმო ბაზრები (ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 17 არეგულირებს მინიმუმ ერთს იმ ორი ბაზრიდან, რომლებიც განსაზღვრულია ფიქსირებული ფართოზოლოვანი საბითუმო დაშვებასთან დაკავშირებით - საბითუმო ადგილობრივი დაშვება და საბითუმო ცენტრალური დაშვება (WLA და WCA). ამ 17 ქვეყანაში, მარეგულირებლები მიიჩნევენ, რომ წინასწარი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, საცალო დონეზე კონკურენცია არ იქნებოდა ეფექტური. სხვა ქვეყნებშიც ეს ბაზრები ადრე რეგულირდებოდა, მაგრამ ახლა ზოგიერთ ქვეყანაში უფრო დიდი ოპერატორები აგრძელებენ საბითუმო პროდუქტების შეთავაზებას, მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები გაუქმებულია, ეს მაღალი კონკურენტუნარიანობის შედეგია.</p> |
| <p><b>კომენტარის წარმდგენი სუბიექტი შპს „მაგთიკომი“ (წერილი N ED 24/07/15 – 028 - კომისიაში რეგისტრაცია ს N შ-24-6/3054, რეგისტრაცია ს თარიღი: 15.07.2024 )</b></p> | <p>49 საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის სეგმენტში არ არის ისეთი პრობლემის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც რეგულირებას ამართლებს FTTx-ის დანერგვა ფართოდ მიმდინარეობს, მათ შორის, კონკურენტი ქსელის ოპერატორების მიერ მომავალზე ორიენტირებით, აღვნიშნავთ, რომ ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონი (რომლის გაფართოებული ვერსიაც ძალაში 1-ლი ივლისიდან შევიდა), შემუშავებულია უშუალოდ მაღალსიჩქარიანი ქსელის ინფრასტრუქტურის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად სხვა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებით, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად შეამცირდება ქსელის მშენებლობის ხარჯები. როგორც ჩვენთვის ცნობილია, „მაგთიკომი“ უკვე უზრუნველყოფს თავის ინფრასტრუქტურაზე დაშვებას. აღნიშნულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ ანგარიში არ შეიცავს იმ ვარაუდის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ სხვა ოპერატორები აპირებენ თავიანთ ქსელებში ინვესტიციების შემცირებას, უნდა ველოდოდ ოპერატორების მიერ</p> | <p>იხილეთ პასუხი 19 კომენტარზე.</p>   |

|   |   |   |
|---|---|---|
| <p><b>საკონსულტაციო კომპანია - Flint Global</b></p> | <p>დამატებით მშენებლობას ბაზრის ანალიზის ამ პერიოდშიც და შემდგომშიც.</p> <p>აღსანიშნავია, რომ კომისია აცხადებს, რომ „რეალურ გამოწვევად რჩება საქართველოსთვის ის, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი მცირე სოფლებისთვის, მაშინ როდესაც პროვაიდერებისთვის არ არსებობს ეკონომიკური სტიმული ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ქსელების მოსაწყობად ასეთ ლოკაციებზე.“ მიუხედავად ამისა, საბითუმო დაშვების რეგულირება ამ საკითხს არ ეხება - შეუძლებელია დაავალო დაშვება იმ ქსელზე, რომელიც არ არსებობს - და, სინამდვილეში, როგორც ქვემოთ არის განხილული, არსებობს რისკი იმისა, რომ შემოთავაზებულმა რეგულირებამ რეალურად მოახდინოს შემდგომი გაფართოების სტიმულირების შემცირება იქაც კი, სადაც ის სხვაგვარად შეიძლება ეკონომიკურად მიზანშეწონილი იყოს.</p>  |   |
| <p>50</p>   | <p><b>FTTX</b> მომსახურებაზე მომხმარებლების გადასვლის მაჩვენებელი სწრაფად იზრდება, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებთან შედარებით</p> <p>კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2022 წლის ბოლოს ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებაზე წვდომა ჰქონდა შინამეურნეობების 82%-ს (რაც 2019 წლის 72%-იან მაჩვენებელთან შედარებით, ზრდაზე მიუთითებს), რომელიც ევროპის საშუალო მაჩვენებელზე (78%) მაღალია. საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მომხმარებლების უდიდესი უმრავლესობა მიერთებულია FTTX ქსელზე (დაახლოებით 90%), რაც წარმოადგენს 2016 წელს ქსელზე მიერთებული მომხმარებლების მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდას მანამდე არსებულ 50%-თან შედარებით და მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის 2021 წლის ეკვივალენტური მაჩვენებელი (დაახლოებით 30%). ევროპის მასშტაბით FTTX ქსელების მშენებლობის უფრო დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებითაც კი, აღსანიშნავია, რომ FTTX-ზე გადასვლა, დათვლილი როგორც დაფარვის ზონაში არსებული პოტენციური აბონენტების პროცენტული წილი, ევროპის 39 ქვეყნის შემთხვევაში მხოლოდ 50%-ს, ხოლო ევროკავშირის 27 ქვეყნისა და გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში 53%-ს შეადგენდა (2022 წლის სექტემბერში).</p> <p>გარდა ამისა, დროთა განმავლობაში საქართველოში მომხმარებლები ზრდიან შესყიდული მომსახურების სიჩქარესაც. 2019 წელს, 10-30 მბ/წმ ყველაზე პოპულარული ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება იყო (მიერთებების ჯამური რაოდენობის 63%), მაგრამ 2022 წლისთვის ეს მაჩვენებელი 32%-მდე შემცირდა და 30-100 მბ/წმ-ზე სიჩქარიანი პაკეტების წილი გაიზარდა (2019 წელთან შედარებით გაიზარდა 59%-მდე)9 და ყველაზე პოპულარული გახდა.</p> | <p>იხილეთ პასუხი 3, 4, 5, 35, 48-ე კომენტარზე პასუხები.</p> |
| <p>51</p>   | <p>ევროკავშირის შესადარ მონაცემებთან მიმართებაში ფასები ზოგადად კონკურენტულია და არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის სავარაუდოდ, რომ ოპერატორები ზედმეტ შემოსავალს იღებენ</p>  |   |

როგორც ვხედავთ, კომისია წუხს მასზე, რომ >100 მბ/წმსიჩქარის კალათა ევროპულ საშუალოსთან შედარებით ძალზე ძვირია და ეს განაპირობებს ამ მაღალსიჩქარიან მომსახურებებზე გადასვლის ნელ ტემპს. გარდა ამისა, ამ კონკრეტულ საკითხზე, რომელიც 100 მბ/წმ-ზე უფრო მაღალი სიჩქარის მომსახურებების ფასებს ეხება, აღვნიშნავთ შემდეგს: პირველ რიგში, ფასების დონე და სტრუქტურა არ არის სტატიკური, ისინი შეიძლება და ფაქტიურადაც იცვლება დროთა განმავლობაში ბაზარზე მიმდინარე კონკურენტული პირობებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე. ეს ეფექტური ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ამის გარდა, მაგთიკომმა 2024 წლის 1 ივლისიდან უკვე შეამცირა ფასი 100მბგზმ სიჩქარის პაკეტზე და განაგრძობს ფასების გადახედვას შემდგომი თვეების განმავლობაში. ასევე ვიცით, რომ სილქნეტს აქვს 25%-იანი ფასდაკლება იგივე სიჩქარის პაკეტზე.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ფასების სტრუქტურა, რომლიც დაბალსიჩქარიანი მომსახურებები ბევრად უფრო იაფია, ხოლო უფრო მაღალსიჩქარიანი მომსახურებები შედარებით უფრო ძვირია, შეიძლება იყოს სიჩქარეების გამოყენების ეფექტური იარაღი, თუ ის სწორად ასახავს გადახდის სურვილს. (ე.წ. „რემსის ფასები“).

მესამე პუნქტად - 100 მბ/წმ-ზე უფრო მაღალი სიჩქარის მომსახურებებზე გადასვლის შედარებით უფრო დაბალი ტემპი შეიძლება გამოწვეული იყოს არა საფასო მიზეზებით. მაგალითად, IPTV სერვისს საქართველოში მაღალი პენეტრაციის მაჩვენებელი აქვს (მაგთიკომის შემთხვევაში 67% და სილქნეტის შემთხვევაში 73%10) და ევროპისგან განსხვავებით, რაც პოტენციურად უფრო მაღალია, ვიდრე ევროპაში. OTT სერვისებისგან განსხვავებით, IPTV არხით ტელევიზიის სტრიმინგი არ მოქმედებს ინტერნეტის გამოყენების სიჩქარეზე. ასეთ პირობებში 100მბ/წმ-ზე ნაკლები სიჩქარის ინტერნეტ პაკეტები სავსებით შესაძლებელია, რომ საკმარისი იყოს აბონენტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რადგანაც ისინი არ იყენებენ ინტერნეტს ისეთი ინტენსიობით, როგორც ეს ევროპაშია. ჩვენს ხედვას, რომ >100მბ/წმ პაკეტების ათვისების დონის მიზეზები არასაფასო მიზეზებით არის გამოწვეული, ამყარებს შემდეგი მონაცემები:

- >=25 მბ/წმ სიჩქარის კალათა მოიცავს მაღალი სიჩქარეების დიაპაზონს (მაგალითად, „მაგთიკომის“ ინფორმაციის მიხედვით, მას აქვს აქცია, რომლითაც მის 30 მბ/წმ კლიენტებს შეუძლიათ ამ სიჩქარის 10 მბ/წმ-თ გაზრდა 3 ლარად და 20 მბ/წმ-თ გაზრდა 5 ლარად) და ამ სიჩქარის პაკეტებს შეუძლია ფართო ნაირსახეობის ონლაინ ფუნქციების განხორციელება, მათ შორის, კონტენტის ბრაუზინგი და მაღალი გარჩევადობის ვიდეო სტრიმინგი.
- შესაძლებელია, რომ მომხმარებლები მცირე დამატებით სარგებელს იღებენ 100 მბ/წმ სიჩქარის პაკეტით >=25 მბ/წმ-იან პაკეტთან შედარებით (მაგალითად IPTV-ს მაღალი

საქართველოში მომხმარებლების ჩვევები ევროკავშირის მომხმარებლების ჩვევებისგან IPTV-ს მოხმარების კუთხით, არ გამოირჩევა, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი კი არის. ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა ქვეყანაში განსხვავებული, ინდივიდუალური მოცემულობები არსებობს, მაგრამ მთლიანობაში, რადიკალურად განსხვავებული მაჩვენებელი ამ კუთხით, არ არის.

აღსანიშნავია, რამდენიმე ქვეყნის მაგალითი: ხორვატიაში საკმაოდ მაღალია IPTV-ს მოხმარება და ამავდროულად, საკმაოდ მაღალია 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ მომსახურების პენეტრაცია. ანალოგიური სიტუაცია იყო ასევე სლოვენიაშიც. გერმანიაში საკმაოდ დაბალია IPTV-ს პენეტრაცია, თუმცა ამ შემთხვევაშიც IPTV-ს დაბალ მოხმარებას თავისი მიზეზები აქვს, კერძოდ ღია საეთერო მაუწყებლობის ტრანზიტის(Free-to-Air) და სატელევიზიო ტექნოლოგიის მოხმარების მეტი წილი. ძირითადად, გერმანულენოვანი არხები ამ საშუალებებით გადაიცემოდა და შესაბამისად უფრო მეტად გამოიყენებოდა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მაღალი სიჩქარის მოხმარება IPTV-ს მომხმარებელსთან კორელაციაში არ არის.

დამატებით იხილეთ პასუხები მე-3 და მე-5 კომენტარებზე.

პენტრაჯის გამო) და ამიტომ შეიძლება კმაყოფილი იყვნენ იმ სიჩქარით, რომელიც უკვე აქვთ იმ ფასად, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპულ საშუალო ფასზე უფრო დაბალია. ილუსტრაციისთვის, „მაგთიკომიდან“ მიღებული მონაცემებიდან ვიგებთ, რომ მისი საცალო სეგმენტის 90% მინიმალურ - 30 მბ/წმ - პაკეტზე იმყოფება და მიუხედავად ზემოთ განხილული აქციებისა, სიჩქარის გაზრდის აქციებით კლიენტების მხოლოდ 19% სარგებლობს (უმრავლესობამ უფრო მცირედით გაზრდა აირჩია). შესაბამისად, არ ჩანს, რომ მომხმარებლებს მოთხოვნა ქონდეთ უფრო მაღალ სიჩქარეზე.

- ასევე, იმის შესწავლას, თუ რა გავლენა მოახდინა სილქნეტის აქციამ 100მბ/წმ პაკეტზე, შეუძლია ნათელი მოფინოს საკითხს, თუ რამდენად მოქმედებს საფასო და არასაფასო ფაქტორები მომხმარებლების არჩევანზე.

ის ფაქტი, რომ 100 მბ/წმ-ზე უფრო მაღალი სიჩქარის მომსახურებებზე გადასვლა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით უფრო დაბალია, ავტომატურად წუხილის მიზეზს არ უნდა წარმოადგენდეს და შეიძლება მეტყველებდეს იმაზე, თუ როგორ შეიცვალა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრები. მაგალითად, 30 და 100 მბ/წმ სიჩქარეებს შორის მომსახურებების ხელმისაწვდომობა შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იყოს, და მეტყველებდეს xDSL-ის გავრცელების განსხვავებულ დონეზე და ოპტიკურ-ბოჭკოვან (და, შესაბამისად, უფრო მაღალსიჩქარიან) ტექნოლოგიებზე გადასვლის მასტიმულირებელ მიდგომას. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ დავადგინოთ, რა განაპირობებს >100მბ/წმ პაკეტების გამოყენების სიმცირეს, სანამ გავაკეთებდეთ დასკვნებს, რომ ბაზარზე პრობლემებია. მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ჩვენ განვიხილეთ მაგთიკომის უკუგებები, რამეთუ, თუ მას ქონდა საშუალება ზედმიწევნით მაღალი ფასები დაეწესებინა, ამას ექნებოდა გავლენა კომპანიის მომგებიანობაზე. თუმცა, ჩვენი ანალიზი აჩვენებს, რომ „მაგთიკომის“ კონსოლიდირებული უკუგება (გადასახადების გამოქვითვის შემდეგ, ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების (ROCE) საფუძველზე) საქართველოს ბაზარზე ბოლო წლებში არსებულ სათანადო საორიენტაციო უკუგებაზე დაბალი იყო (კომისიის ყურადღებას მივაპყრობთ მობილური ბაზრის კვლევის პასუხად ჩვენს მიერ ჩატარებულ ანალიზზე). შესაბამისად, არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ კომპანიამ ზედმეტად მაღალი უკუგება მიიღო.

|    |   |
|----|---|
| 52 | <p>საცალო სეგმენტში კონკურენცია კვლავ ვითარდება</p> <p>2016 წლამდე, მემკვიდრეობით მიღებულ აქტივებზე დაფუძნებული (incumbent) სილქნეტი უმეტესად DSL ტექნოლოგიაზე დაყრდნობით აწვდიდა თავის სერვისს მომხმარებლებს სხვა ახალ აღმოცენებულ ოპერატორებთან ერთად. ამ მომენტამდე ფიქსირებული ინტერნეტის</p> |
|----|---|

იხილეთ პასუხი 19-ე კომენტარზე

პენეტრაცია 50%-ზე ნაკლები იყო და იქიდან დაახლოებით 50% იყო ოპტიკურ ქსელზე დაფუძნებული.

2016 წლიდან მაგთიკომმა შეიძინა ორი ოპერატორის ქსელი და მას შემდეგ მსხვილი ინვესტიციებით დაჩქარებულ რეჟიმში ფართო ოპტიკური ქსელის მშენებლობა მოახდინა (ძირითადად ე.წ Greenfield/აუთენტიკაციის რეგიონებში), რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა აღნიშნული ტექნოლოგიის პენეტრაციის დონე. ამან აიძულა სილქნეტს და სხვა ოპერატორებს, რომ ეპასუხად კონკურენტული გამოწვევისთვის და დაიწყეს საკუთარი FTTX ქსელის განვითარება. შედეგად, FTTX ქსელის პენეტრაცია შინამეურნეობებში გაიზარდა 85%-მდე 2023 წლისთვის და იმ პირობებში, რომ შინამეურნეობების უმრავლესობას ფარავდა ერთზე მეტი ოპერატორის ქსელი.

ქსელზე დაფუძნებულმა კონკურენციამ მნიშვნელოვანი ზრდა მოახდინა ფართოზოლოვანი ინტერნეტის პენეტრაციაზე (თითქმის 90%15), საიდანაც თითქმის 90% მოდის ოპტიკურ-ბოჭკოვან სერვისებზე, რომლებზეც ფასები ევროპის საშუალოზე დაბალი ან თანაზომიერია.

მიუხედავად კომისიის წუხილისა, რომ ბაზრის წილები ბოლო წლებში შედარებით სტაბილური იყო, არსებობს გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს მასზე, რომ კონკურენციის დინამიკა იცვლება. მაგალითად:

- მაგთიკომი იყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის პენეტრაციის მთავარი განმაპირობებელი ძალა და ბაზრის წილის პიკს მიაღწია 2019 წელს, მაგრამ მას შემდეგ მისი წილი მცირდება, რადგანაც უფრო მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი მომსახურებების აბონენტების რაოდენობის წმინდა ზრდაში „მაგთიკომის“ წილი 2018 წელს არსებული 61%-დან 2022 წელს 32%-მდე შემცირდა; ბაზრის ზრდაში „სილქნეტის“ წილი იმავე პერიოდში მთლიანობაში გაორმაგდა და 20%-დან 41%-მდე გაიზარდა; და ბაზრის ზრდაში ერთად აღებული ყველა სხვა ოპერატორის წილი 2018 წელს არსებული 2,5%-დან 2022 წელს 23%-მდე გაიზარდა.
- ზემოთმოყვანილი ტენდენცია გრძელდება და ქსელის სხვა ოპერატორებმა (განსაკუთრებით ორი უმსხვილესი ოპერატორის გარდა სხვა ოპერატორებმა) „მაგთიკომის“ ხარჯზე კიდევ უფრო დიდი წილი მიიღეს. 2023 წლიდან 2024 წლამდე, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზარი 42,000 აბონენტით გაიზარდა, საიდანაც მთლიანი ზრდის 40% მოდის „სილქნეტზე“, 27% - „მაგთიკომზე“ და 18% - „სქაიტელზე“.
- ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონი დიდი ალბათობით დამატებით შეუწყობს ხელს ოპერატორებს ქსელის განვითარებაში.
- იმ ტერიტორიებზეც კი, სადაც FTTX კავშირი ამჟამად არ არის, ვიცით, რომ Open Net-ის პროექტი ასეთ „თეთრ ზონებს“

მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფს და ქსელზე ოპერატორებს ღია დაშვებით უზრუნველყოფს კონკურენციის ხელშეწყობას.

ამ სახის ინდიკატორები, რომლებიც ფოკუსირებულია ბაზრის განვითარების დინამიკაზე, უფრო მნიშვნელოვანია საცალო სეგმენტში კონკურენციის მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის შესაფასებლად, ვიდრე ბაზრის სტატისტიკური წილები.

53

კომისიის მიდგომა სათანადოდ არ ითვალისწინებს საქართველოს ბაზრის სპეციფიკას, რის გამოც გამოტანილი დასკვნები და წარმოდგენილი სპეციფიკური ვალდებულებები დაუსაბუთებელია

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მაგთიკომი არ არის მემკვიდრეობით მიღებული აქტივებით შექმნილი ოპერატორი (რაც ხშირად SMP-დ განსაზღვრის მიზეზი ხდება ხოლმე). ის არის ბაზარზე შემოსული ახალი მოთამაშე, რომელმაც მნიშვნელოვანი მოცულობის მაღალი რისკის შემცველი ინვესტიცია განახორციელა, რათა ბაზარზე სტატუს-ჟეო შეეცვალა და გამოიწვია სხვა ოპერატორები კონკურენტული ქმედებები. ამან განაპირობა FTTX ქსელის პენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა და წარმოშვა ქსელზე დაფუძნებული კონკურენცია.

აღნიშნული ფაქტი ქმნის მნიშვნელოვან გარემოს ბაზარზე დაკვირვებისთვის და მომავალზე ორიენტირებული განვითარების ტენდენციების შესაფასებლად. საქართველოში კონკურენცია არ არის თეორიული მცნება - ჩვენ უკვე დავინახეთ კონკურენციის ფაქტები და ვერ ვხედავთ რაიმე დასაბუთებას, რომ ქსელის ოპერატორები აღარ აპირებდნენ ქსელის გაფართოებას (განსაკუთრებით, ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე სავალდებულო დაშვების კანონის ამოქმედების შემდეგ). ასევე, თავი რომ დავანებოთ ეროვნულ დონეზე დანახულ სურათს, ფაქტია, რომ კონკურენტული პირობები განსხვავებულია საქართველოს დასახლებებს შორის:

- კონკურენტი FTTX ქსელების რაოდენობა სხვადასხვა დასახლებაში განსხვავებულია და 0-დან 5- მდე დიაპაზონში ვარიირებს ისე, რომ დასახლებებში არსებული შინამეურნეობების 60% სამი ან მეტი ქსელით არის წარმოდგენილი. ვინაიდან დასახლებაში შესვლის საწყისი ხარჯი მაღალია, მაგრამ შესვლის შემდეგ ბევრად უფრო ადვილია დაფარვის გაფართოება, არაგონივრულია იმის თქმა, რომ კონკურენციის პირობები მსგავსი იქნება არსებული ქსელების რაოდენობის მიუხედავად.
- თვით იმ დასახლებებს შორის, სადაც რამდენიმე FTTX ქსელია, კონკურენციის პირობები შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, „მაგთიკომის“ აბონენტების წილი იმ 45 დასახლებაში, სადაც სამი ან მეტი ქსელია, 0%-დამ 99%-მდე მერყეობს და, ამიტომ, ძალზედ ნაკლებსავარაუდოა, რომ ის ამ დასახლებებში მსგავს წინააღმდეგობებს წააწყდება.

იხილეთ პასუხები მე-12 და მე-13, 19-ე, 35, 39-ე, 44-ე კომენტარებზე

- არ ჩანს ცალსახად გამოხატული ლიდერი ბაზრის ეროვნულ დონეზე. 2024 წლის მონაცემების მიხედვით, „მაგთიკომი“ არ ფლობს წამყვან საბაზრო წილს მნიშვნელოვან ქალაქებში, მათ შორის, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავსა და ზუგდიდში. მართლაც, მოსახლეობის თითქმის 17% იმ დასახლებებში ცხოვრობს, სადაც FTTX ფართოზოლოვანი წვდომის მომსახურების მომხმარებლებში „მაგთიკომის“ წილი 40%-ზე დაბალია (რომელთა უმრავლესობაც იმ ტერიტორიებზეა, სადაც სამი ან მეტი ქსელია).

მიუხედავად ამისა, კომისია განსაზღვრავს ეროვნულ გეოგრაფიულ ბაზარს, რომელსაც ის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესაფასებლად იყენებს.

გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრის მიზანია იმ გეოგრაფიული ტერიტორიების დადგენა, რომლებშიც კონკურენციის პირობები საკმარისად ერთგვაროვანია იმისათვის, რომ შეფასდეს გამოსაკვლევი ქცევის ან კონცენტრაციის გავლენა და რომლებიც შეიძლება განვასხვაოთ სხვა გეოგრაფიული ტერიტორიებიდან, კერძოდ იმიტომ, რომ კონკურენციის პირობები იმ ტერიტორიებზე საგრძნობლად განსხვავებულია.

გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისას კონკურენციის პირობებში არსებულ აშკარა განსხვავებების გაუთვალისწინებლობა და შემდეგ იმის დასკვნა, რომ „მაგთიკომს“ ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება აქვს, ძალზე სადაოა.

54 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასება საკმარისად არ ითვალისწინებს იმ შეზღუდვებს, რომლებსაც „მაგთიკომი“ აწყდება

მიგვაჩნია, რომ კომისიამ კონკურენციის პირობების შესაფასებლად ეს 'ტესტი' შესასაბისად არ გამოიყენა. აგრეთვე, ჩვენი აზრით არსებობს საფუძვლები მივიჩნიოთ, რომ „მაგთიკომს“ არ შეუძლია და მომავალზე ორიენტირებული ანალიზის პერიოდშიც ვერ შეძლებს დამოუკიდებლად იმოქმედოს, რაც კომისიამ, როგორც ჩანს, სათანადოდ არ გაითვალისწინა:

იქ, სადაც „მაგთიკომს“ კონკურენციას უწევენ კონკურენტი ქსელები (შინამეურნეობების 60%-ზე მეტში), მისი კლიენტები შესაძლოა გადასულიყვნენ ალტერნატიულ პროვაიდერზე, თუკი „მაგთიკომი“ ფასების გაზრდას ან/და ხარისხის შემცირებას შეეცდებოდა. მართლაც, არსებული მტკიცებულებები მიუთითებს მასზე, რომ მომხმარებლებს სურთ და შეუძლიათ ალტერნატიული პროვაიდერების არჩევა. მაგალითად, - თვით კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, მაგთიკომის წილი იმ დასახლებებში, რომელსაც მისი ქსელი ფარავს არის 43% (ისევე როგორც სილქნეტის), რაც მოწმობს იმას, რომ აბონენტები ირჩევენ სვა ოპერატორს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაგთიკომის ქსელის დაფარვაში ხვდებიან. ამის გარდა, მადალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობის წმინდა ზრდაში „მაგთიკომის“ წილი შემცირდა (2018 წელს არსებული 61%-დან 2022

იხილეთ პასუხები მე-12, მე-13, 30-ედა 35-ე კომენტარებზე



|    |  |   |  |
|----|--|---|--|
|    |  | წელს 32%-მდე) და მის საერთო საბაზრო წილზე დაბალია და ასევე ჩამორჩება „სილქნეტის“ წილს.24 მიუხედავად იმისა, რომ დღეს „მაგთიკომს“ მაღალი საბაზრო წილი აქვს, ზემოთ მოყვანილი ცვლილებები ზრდის ტემპებში მიუთითებს იმაზე, რომ მისი პოზიცია მომავალში შეიცვლება და შეიძლება უფრო მეტად და უფრო სწრაფადაც შეიცვლოს, თუ ის შეეცდება თავისი მომხმარებლებისგან თუ კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედებას.  |  |
| 55 | ზოგადად, „მაგთიკომი“ ერთსა და იმავე ფასებს აწესებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის იმ რეგიონულ ქალაქებშიც, სადაც ის ერთადერთ ქსელს წარმოადგენს. თუმცა, კომისია ამას იმის მიზეზად იყენებს, თუ რატომ უნდა მოხდეს „მაგთიკომის“ რეგულირება იქაც კი, სადაც ის ბაზრის ლიდერი არ არის. ის ფაქტი, რომ ეს ფასები დაბალია ზემოთ განხილულ ყველაზე პოპულარული პაკეტების შემთხვევაში ევროპულ ფასებთან შედარებით (და არ არსებობს ზემოაღნიშნული უკუგების მიზეზის დაამადასტურებელი ფაქტები), შეიძლება მიუთითებდეს, რომ ის შეზღუდვები, რომლებსაც „მაგთიკომი“ აწყდება იქ, სადაც ქსელების თვალსაზრისით კონკურენციაა, ზღუდავს იმ ტერიტორიებზე არსებულ ფასებსაც, სადაც ის ერთადერთ ქსელს წარმოადგენს. | იხილეთ პასუხები მე-12, მე-13, 30-ე და 35-ე კომენტარებზე   |  |
| 56 | „მაგთიკომი“ არის შედარებით ახალი ოპერატორი და ამიტომ მას არ ყავს ის ძველი ერთგული მომხმარებლები, რომლებიც ევროპაში მემკვიდრეობით შექმნილ (incumbent) ოპერატორებს ყავთ, რასაც შეიძლება გამოეწვია საბაზრო ძალაუფლება. შედარებისთვის, „სილქნეტს“ აქვს ყოფილი საჯარო ქსელის (incumbent) ოპერატორთან დაკავშირებული უპირატესობები, რის გამოც კონკურენტებს (მათ შორის, „მაგთიკომს“) ურთულდება მისგან კლიენტების (მაგ., მისი ფიქსირებული სატელეფონო აბონენტების საბაზრო წილის 58%-ის) გადაბირება.  | იხილეთ 43-ე კითხვაზე პასუხი   |  |
| 57 | კონკურენტების მიერ ქსელის შემდგომი გაფართოების დიდი შესაძლებლობა არსებობს, რაც გაზრდის ისეთი ტერიტორიების რაოდენობას, სადაც „მაგთიკომს“ სხვა ქსელის ოპერატორები გაუწევენ კონკურენციას. მიუხედავად იმის აღიარებისა, რომ „მოსალოდნელია, რომ FTTX ქსელებით დაფარვის არეალი განაგრძობს ზრდას,“ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას კომისია ამ გარემოებას არ ითვალისწინებს. <b>ალტერნატიული ოპერატორების მიერ ქსელის მშენებლობის წარსული ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარზე შესვლისა და გაფართოების მხრივ ბარიერები დაბალია</b> (ან, სულ ცოტა, არავის ეკრძალება) და ის კიდევ უფრო შემცირდება ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონიდან გამომდინარე.                   | გადაწყვეტილების მე-7 თავში დეტალურად არის განხილული მიზეზები, იმასთან დაკავშირებით თუ რატომ შეფასდა, რომ საქართველოში საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრის სეგმენტზე შესვლის მნიშვნელოვანი და არაგარდამავალი ბარიერებია: <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული ინფრასტრუქტურის კონტროლი მაღალი არადაბრუნებადი ხარჯების ჩათვლით;</li> <li>• მოცულობისა და მასშტაბის ეკონომია;</li> <li>• ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.</li> </ul> |  |
| 58 | შეიძლება ყველა მომხმარებლისთვის სრულფასოვანი ჩამნაცვლებლები არ არიან, მაგრამ საქართველოს დიდ ნაწილებში ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი გადაფარვა (მაგ., შინამეურნეობების 64%-ს აქვს FTTX, xDSL და FWA, და 17%-ს აქვს FTTX და FWA) იმას ნიშნავს, რომ  | იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის N1 კომენტარზე პასუხი.   |  |

|    |  |   |  |
|----|--|---|--|
|    |  | „მაგთიკომი“ წააწყდება ამ სხვა მომსახურებებიდან გამომდინარე გარკვეული ზომის (არასაბაზრო) შეზღუდვებს.   |  |
| 59 | <p>ანალიზის გაკეთებისას დაშვებულ ამ ნაკლოვანებებთან ერთად, აღსანიშნავია, რომ „მაგთიკომის“ შედარებით მაღალი წილი თავისთავად არ არის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ნიშანი, ვინაიდან ის დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ეფუძნება ეს პოზიცია. მაგალითად:</p> <p>ეს რომ იყოს ისეთი უდაო უპირატესობის გამო, რომ ბაზრის სხვა მოთამაშეებს კონკურენციის გაწევა არ შეეძლოთ, ეს იქნებოდა საბაზრო ძალაუფლების მქონე მდგომარეობის ნიშანი. მიუხედავად იმისა, რომ კომისია აცხადებს, რომ არსებობს პრობლემები არადუბლირებადი ინფრასტრუქტურის, მასშტაბისა და მრავალფეროვნების ეკონომიებიდან გამომდინარე, აღნიშნული განცხადებები აზრს მოკლებულია, რამეთუ, არსებობს კონკურენტი ოპერატორების ქსელები, რომლებიც საქართველოს შინამეურნეობების უმრავლესობას ფარავენ და ამას მათ არავინ უკრძალავს. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს იმის ნიშნები, რომ სხვა ქსელის ოპერატორები ზრდიან ბაზრის ზრდაში თავიანთ წილს და არსებობს მშენებლობის მზარდი შესაძლებლობები, რაც ზემოთ არის განხილული.</p> | იხილეთ 19-ე და 35 შეკითხვებზე პასუხები  |  |
| 60 | <p>თუ ამის ნაცვლად „მაგთიკომი“ სამუშაოს კარგად ასრულებს და ახორციელებს ისეთი მომსახურების მიწოდებას, რომელიც მომხმარებლებისთვის მიმზიდველია ან/და მისი კონკურენტების შეთავაზებებზე უკეთესია (იმ ადგილებში, სადაც კონკურენტები იმყოფებიან), ის ვერ შეძლებს იმოქმედოს კონკურენტებისგან ან მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, რადგან მის კონკურენტებს ექნებათ კარგი შესაძლებლობა გააუმჯობესონ თავიანთი მომსახურებები ან/და გადაიბირონ მისი კლიენტები იმ შემთხვევაში, თუ „მაგთიკომი“ ამის გაკეთებას შეეცდება. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სხვა ქსელებს ესაჭიროებათ კონკურენტულ ზეწოლებზე რეაგირება და მომხმარებლების მოსაზიდად თავიანთი ქსელების გაუმჯობესება, გრძელვადიან პერსპექტივაში მომხმარებლებს უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე „მაგთიკომის“ (უკეთესი ხარისხის) ქსელზე კონკურენტების რეგულირებული საბითუმო დაშვება.</p>  | იხილეთ 19-ე და 35 შეკითხვებზე პასუხები  |  |
| 61 | <p>თუ საცალო დონეზე გადასვლასთან დაკავშირებით ბარიერები იარსებებს, ამან შეიძლება „მაგთიკომის“ კონკურენტებისთვის შეუძლებელი გახადოს მომხმარებლების გადაბირება და „მაგთიკომს“ მისცეს გარკვეული საბაზრო ძალაუფლება. თუმცა, ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ სახის პრობლემა საბითუმო დაშვების რეჟიმით მოგვარდეს.</p>  | იხილეთ პასუხი მე-38 კომენტარზე  |  |
| 62 | <p>კომისიის მიდგომა დიფერენცირებული ვალდებულების დაწესებასთან მიმართებაში დაუსაბუთებელია</p>   | დასახლების დონეზე კონკურენციის სრული შეფასებისთვის FTTx ქსელების გადაფარვის მონაცემები, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები ხელმისაწვდომია თითოეული საცხოვრებლისთვის. ეს მონაცემები მიმდინარე ეტაპზე საქართველოში არ |  |

არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად შეფასება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ დასახლების დონეზე.

დიდ ქალაქებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ქალაქის ერთი ნაწილი შეიძლება დაფარული იყოს ერთი კონკურენტის მიერ, ხოლო სხვა ნაწილები სხვადასხვა კონკურენტების მიერ. ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში შეიძლება იყოს ორი ან მეტი ოპერატორი, მაგრამ ბევრ საცხოვრებელს შეიძლება ჰქონდეს პროვაიდერის შეზღუდული. ამ ბაზრის ანალიზის ფარგლებში დაფარვის მონაცემები ნაჩვენებია მხოლოდ დასახლების დონეზე და არა შინამეურნეობების დონეზე.

შპს “მაგთიკომის” მიერ დაფარული შენობების მონაცემებმა აჩვენა, რომ დასახლებების 100%-იანი დაფარვა შესაძლებელი იყო იქ, სადაც შპს “მაგთიკომი” წარმოდგენილი იყო საკუთარი FTTx ქსელით. ეს გულისხმობს, იმას რომ შპს “მაგთიკომს” შეუძლია დასახლებაში არსებულ ყველა პოტენციურ აბონენტთან მისვლა მნიშვნელოვანი დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

რაც შეეხება 100 000-ზე მეტი მოსახლეობით წარმოდგენილი დასახლებების კლასიფიკაციას, კერძოდ, რუსთავისა და ქუთაისის ცალკე კლასტერზე მიკუთვნებას მარეგულირებელი ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს დიდ ქალაქები ხასიათდებიან უკეთესი კონკურენტული პირობებით, ვიდრე მცირე დასახლებები და ამიტომ კონკურენტულობის სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით ამ დასახლებებში შპს “მაგთიკომისთვის” დაკისრებული ვალდებულებები უფრო მსუბუქი უნდა იყოს.

FTTx-ის დაფარვისა და კონკურენტუნარიანობის გათვალისწინებისას უმსხვილეს ქალაქებში, რომლებიც წარმოდგენილია 100,000-ზე მეტი მოსახლით<sup>7</sup>, გამოკვლეულ იქნა ოპერატორების მიერ მოწოდებული მონაცემები და საბოლოო ჯამში მიჩნეულ იქნა, რომ შეუძლებელი იყო დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენტია არის ერთგვაროვანი ამ ქალაქებში. კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმების ნაკრები არის სანდო შემფასებელი მცირე ქალაქებისთვის და ეს ქალაქები მოქცეულ იქნა I, II ან III კლასტერებში, რათა მათზე განსაზღვრულიყო მარეგულირებელი ვალდებულებები, რომლებიც დასახლებაში გამოვლენილი კონკურენტული დონის პროპორციული იქნებოდა.

უმსხვილეს ქალაქებთან დაკავშირებული დაფარვის მონაცემებიდან, შეუძლებელია იმის დადგენა, შეუძლია თუ არა ოპერატორს მთელი ქალაქის დაფარვა, შესაბამისად მიჩნეულ იქნა, რომ დიდ ქალაქებში მიუხედავად სულ მცირე სამი ოპერატორის არსებობისა, ამ ოპერატორთაგან ზოგიერთი მაინც (შესაძლოა მხოლოდ 10%-იანი დაფარვით) ვერ შეძლებს კონკურენტის უზრუნველყოფას მთელი ქალაქის მასშტაბით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ქალაქების ზედმეტად რეგულირების ნაცვლად, მოხდა მათი მიკუთვნება II კლასტერზე, სადაც არ ვრცელდება სრული მარეგულირებელი ვალდებულებები. ასევე მიჩნეული იქნა, რომ სრული კონკურენტუნარიანობის დაშვება

<sup>7</sup>საქართველოში ოთხი ქალაქია 100 000-ზე მეტი მოსახლეობით. ეს ოთხი განისაზღვრება, როგორც ცალკეული დასახლებები. საქართველოს ყველა სხვა დასახლებაში 50 000-ზე ნაკლები მოსახლეობაა.

|    |   |  |
|----|---|--|
|    |   | <p>ამ დასახლებებში შეიცავს არასაკმარისი რეგულირების რისკს, რაც შეუზღუდავს პატარა ოპერატორებს ქალაქებში მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის შანსს.</p> <p>ქვეყნები იყენებენ განსხვავებულ კრიტერიუმებს, ბაზრის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას. კრიტერიუმები შერჩეულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ განასხვავოს სხვადასხვა გეოგრაფიულ დასახლებები ისე, რომ განსაზღვრული მარეგულირებელი ჩარევა იყოს პროპორციული. განსახილველი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის ანალიზის ფარგლებში, გამოყენებული კრიტერიუმების ნაკრები(იხ. N38 კომენტარზე პასუხი) ადეკვატურად ასახავს დასახლების კონკურენტულ პირობებს.</p> <p>დასახლებებში არსებული კონკურენტული გარემო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადებში გადაიხედება, ხოლო შემდეგი ბაზრის ანალიზისას მიზანშეწონილია შეფასება მოხდეს ქსელის შესაძლო გადაფარვების შესახებ უფრო დეტალური მონაცემების საფუძველზე.</p> |
| 63 | <p>კონკურენტული არეალების გამოვლენასთან დაკავშირებული შეფასება არასაკმარისია, რაც აჩენს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ კლასტერებს შორის არსებული საზღვრები არაგონივრულია</p> <p>„კომისია“ ‘კონკურენტულად’ განსაზღვრავს ტერიტორიას, სადაც კონკურენტმა ქსელებმა ანალიზის პერიოდში შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდონ დასახლებაში თავიანთი აბონენტების წილები და შესაბამისად გახდნენ უკვე არსებული უფრო მსხვილი მოთამაშ(ებ)ის ეფექტური კონკურენტი. ამასთან, იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც კომისია ამ არეალების გამოსავლენად იყენებს, არაერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა აქვს, რასაც დასახლების კონკურენტულად მიჩნევის ძალზე მაღალი სტანდარტის დაწესების ეფექტი აქვს. ამ შეზღუდვებიდან ზოგიერთს ქვემოთ განვიხილავთ.</p>  | <p>იხილეთ N-12, N13, N62, N38 კომენტარებზე პასუხები</p>  |
| 64 | <p>ზღვრები ზედმეტად მექანიკურია</p> <p>მკაცრი ზღვარის მქონე მრავალი კრიტერიუმის გამოყენებას არ აქვს ის ნიუანსი, რომელიც საჭიროა კონკურენტული პირობების შეფასებისთვის და ვერ ითვალისწინებს რის შემოწმებასაც აპირებს, ე.ი., არეალის კონკურენტულობის. მაგალითად, ის არეალი, სადაც სულ ცოტა სამი ქსელია, რომელთა საბაზრო წილები 10%-ს აღემატება, კომისიის მიდგომით შეიძლება მაინც არაკონკურენტულად ჩაითვალოს (და შესაბამისად სრულ რეგულაციას დაექვემდებაროს) იმ შემთხვევაში, თუ წარსულის ტენდენციების საფუძველზე არ იქნება მოსალოდნელი, რომ „მაგთიკომის“ წილი 40%-ს ჩამოცდება ანალიზის პერიოდის 3 წლის განმავლობაში. მომავალი ტენდენციების სავარაუდო ცვლილების (მაგ., ახალი ქსელის მშენებლობის გამო) გათვალისწინების გარეშე გაკეთებულ ექსტრაპოლაციას არა მხოლოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს, არამედ ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი წილის მქონე (სულ ცოტა) ორი კონკურენტი უკვე არსებობს, მიუთითებს იმაზე, რომ ამ ანალიზის პერიოდში „მაგთიკომზე“ სულ ცოტა გარკვეული შეზღუდვები მაინც იქნება იმ</p> | <p>იხილეთ N12,N13, მე-30, N38 კომენტარებზე პასუხები</p>  |

|           |   |  |
|-----------|---|--|
|           | <p>შემთხვევაშიც კი, თუ მისი წილი კონკრეტული ზღვარის მაღლა დარჩება. ჩანს, რომ „ფიქსირებული ბაზრის ანალიზი“ ამ საკითხს არ ითვალისწინებს.</p>  |  |
| <p>65</p> | <p>ზღვარი ეფუძნება ვარაუდებს და არ არის მტკიცებულებებით გამყარებული</p> <p>მაგალითად, კომისია აცხადებს, რომ 100,000-ზე მეტი მაცხოვრებლის მქონე არეალები ზედმეტად დიდია იმისათვის, რომ კონკურენტული იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მთავარ ჯამურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. როგორც ჩანს, ეს ნაწილობრივ დაფუძნებულია იმაზე, რომ დიდი დასახლებები ერთი ოპტიკური გამანაწილებელი ქსელით ვერ დაიფარება. ამ არეალებში ქსელის პენტრაციის შესახებ უფრო დაწვრილებითი მონაცემების არარსებობის პირობებში, კომისია უბრალოდ აცხადებს, რომ ამის გამო ყველა ოპერატორი არ დაფარავს დიდი დასახლებების მთელ გეოგრაფიულ არეალს და იმისათვის, რომ ოპერატორმა ქალაქში ახალი ლოკაციები დაფაროს, ეს უფრო ჰგავს სრულად ახალი ქსელის მშენებლობას იმ დასახლებაში, რომელიც მანამდე დაფარული არ იყო (და ამიტომ საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციას). ამასთან, ამ პოზიციის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის, არც რაიმე ინფორმაციაა წარმოდგენილი იმაზე, ეს როგორ შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მაგალითად, ოპერატორებისგან მიღებული ქსელის მშენებლობის გეგმების გამოყენება, ან მსხვილ ქალაქებში გაფართოებისთვის საერთო ბიზნეს-მოდელის გათვალისწინება (მაგ., მოსალოდნელია, რომ პერსპექტიული მომხმარებლების რაოდენობა და სიმჭიდროვე უფრო დიდი იქნება უფრო მსხვილ ქალაქებში, რაც შემოსავლის ზრდის პოტენციალია).</p> | <p>იხილეთ პასუხი N62-ე კომენტარზე</p>                              |
| <p>66</p> | <p>შეფასება არ ითვალისწინებს იმ რეალურად შეზღუდვებს, რომლებიც არსებობს „მაგთიკომთან“ მიმართებაში და მის უნარზე იმოქმედოს მისი მომხმარებლებისგან და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად</p> <p>მაგალითად, კომისია აცხადებს, რომ იმ დასახლებებში, სადაც „მაგთიკომი“ წარმოდგენილია, მისთვის შედარებით ადვილია დაფარვის გაფართოება, ვინაიდან მას უკვე აქვს საჭირო ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების დიდი ნაწილი და ამიტომ კომისია მიიჩნევს, რომ არ არის საიმისო საფუძველი, რომ „მაგთიკომი“ წინასწარი რეგულირებისგან გათავისუფლდეს იქაც კი, სადაც მისი წილი 40%-ზე დაბალია. ამასთან, კონკურენტულობაში განსხვავებების გამოვლენისას სათანადო ტესტია იმის დადგენა, შეუძლია თუ არა „მაგთიკომს“ მისი მომხმარებლებისგან და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედება და არა ის, შეუძლია თუ არა მას თავისი ქსელის გაფართოება, თუმცა ეს საკითხი გათვალისწინებული არ არის. იმის მიუხედავად, რომ „მაგთიკომს“ შეიძლება ჰქონდეს ასეთ არეალებში თავისი ქსელის გაფართოების საშუალება, ეს არ ნიშნავს,</p>  | <p>იხილეთ პასუხი მე-12 და მე-13, 62-ე, 38-ე კითხვებზე პასუხები</p> |

|    |   |   |
|----|---|---|
|    | რომ ის არ არის შეზღუდული თავისი კონკურენტების მიერ, როცა ამას აკეთებს, და, როგორც ზემოთ განიმარტა, არსებობს საფუძვლიანი მიზეზები ვიფიქროთ, რომ „მაგთიკომი“ ასეთ შეზღუდვებს აწყდება (განსაკუთრებით იქ, სადაც ის ბაზრის ლიდერი არ არის).  |   |
| 67 | კომისია აკეთებს დაშვებას, რომ ბაზრის კონიუნქტურა მთლიანობაში სტატიკური იქნება როგორც ჩანს, ეს ეფუძნება იმის დაუდასტურებელ მოლოდინს, რომ მომავალი სამი წლის განმავლობაში არსებითი ცვლილება არ იქნება (მიუხედავად ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ მნიშვნელოვანი ახალი კანონისა). შესაბამისად, კომისია სრულად არ ითვალისწინებს, დასახლებებში კონკურენტულობა (და ამიტომ ის, თუ რომელ კლასტერს მიეკუთვნებიან ისინი) შეიძლება შეიცვალოს თუ არა ანალიზის პერიოდში ან მას შემდეგ. მაგალითად, ანალიზი არ ითვალისწინებს, ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონი რა გავლენას იქონიებს ქსელის მშენებლობაზე და, როგორც ჩანს, არ შეიცავს რაიმე მტკიცებულებას ქსელის მშენებლობასთან დაკავშირებით რომელიმე ოპერატორის სამომავლო გეგმების შესახებ, არადა, ამ ორივე ფაქტორმა შეიძლება გავლენა იქონიოს კონკურენტულ შეზღუდვებზე.  | იხ. 19-ე კომენტარზე პასუხში მოცემული  |
| 68 | კონკურენტულობის შეფასება შესრულებულია არასაკმარის პერიოდზე როგორც კომისია აღიარებს, ფიქსირებული ქსელების მშენებლობას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ამასთან, აშენების - და მშენებლობის გაგრძელების - სტიმულები უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობს და წარმოდგენილი რეგულირების მექანიზმები სტიმულებზე უარყოფით გავლენას იქონიებს არა მხოლოდ ანალიზის პერიოდში, არამედ მას შემდეგაც. შედეგად, იმის შეფასება, არეალები სამი წლის პერიოდში კონკურენტული იქნება თუ არა და ამ ანალიზის პერიოდის შემდგომი პოტენციალის გაუთვალისწინებლობა ქმნის იმის საფრთხეს, რომ რეგულაციები დაწესდეს იმ არეალებში, რომლებიც კონკურენტული შეიძლება მომდევნო ანალიზის პერიოდში გახდეს. გარდა ამისა, ამ რეგულაციის დაწესების ფაქტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს და ძირი გამოუთხაროს ინვესტირების სტიმულებს. ეს იქნება მომხმარებლებისთვის და კონკურენტისთვის მიყენებული უფრო გრძელვადიანი ზიანი. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სატელეკომუნიკაციო ბაზრის ანალიზები ევროკავშირში ზოგადად უფრო გრძელვადიანია (ჩვეულებრივ 5-წლიანი), ვიდრე სამი წელი, ნაწილობრივ იმ მარეგულირებელი სიციხადის უზრუნველსაყოფად, რომელიც ოპერატორებს ესაჭიროებათ აუცილებელი უფრო გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებისთვის. | ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (დირექტივა (EU) 2018/1972) (181) პუნქტის თანახმად, „... ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილების არარსებობის შემთხვევაში, მაგრამ დინამიური ბაზრების შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს ბაზრის ანალიზის ჩატარება უფრო ხშირად ვიდრე ყოველ ხუთ წელიწადში, მაგალითად, არა უადრეს სამ წელიწადში ერთხელ, როგორც ეს იყო ამ დირექტივის ძალაში შესვლის თარიღამდე. ბაზრები უნდა ჩაითვალოს დინამიურად, თუ ტექნოლოგიური ევოლუცია და საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნის ტენდენციები სავარაუდოდ განვითარდება ისე, რომ ბაზრის ანალიზის დასკვნები შეიცვლება საშუალოვადიან პერიოდში გეოგრაფიული ზონების ან საბოლოო მომხმარებლების მნიშვნელოვანი ჯგუფისთვის, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული გეოგრაფიული და პროდუქტის ბაზრის ფარგლებში“. |
| 69 | შედეგები გამოვლენილი კლასტერებისთვის<br>ამ კრიტერიუმების შეზღუდვები - და კონკურენტულობისათვის მათ მიერ დადგენილი მაღალი ზღვარი - დასტურდება იმ ფაქტით, რომ მიუხედავად კონკურენტი ქსელების მნიშვნელოვანი დაფარვისა (შინამეურნეობების 60% იმ დასახლებებშია, სადაც სამი ამ მეტი  | ინვესტიციების სტიმულთან დაკავშირებით იხ. N14, კომენტარზე პასუხი, ასევე, N 12, N13, N62.   |

არსებული ქსელია წარმოდგენილი, მოსახლეობის მხოლოდ 0,68% იმყოფება 'კონკურენტულ' დასახლებებში და 0,55% მიდრეკილია კონკურენციისკენ<sup>26</sup>. თუმცა ქსელების რაოდენობა ყოველთვის არ არის საკმარისი მხოლოდ კონკურენციის დასადასტურებლად, ამ მასშტაბის ასიმეტრია მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს იმაზე, თუ ეს ანალიზი რა ზომით ითვალისწინებს ბაზრის კონიუნქტურის რეალობას.

მაგალითად, დასკვნის გამოტანა მასზედ, რომ ისეთი ქალაქები, როგორცაა ქუთაისი და რუსთავი - სადაც სულ ცოტა ოთხი ქელია, „მაგთიკომი“ ბაზრის ლიდერიც კი არ არის და არის ორი დამატებითი ქელიც, რომლებსაც მნიშვნელოვანი წილები აქვთ - არ არის კონკურენტული და ამიტომ წინასწარ რეგულირებას საჭიროებს უბრალოდ იმიტომ, რომ მათი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 100,000- ს, ალოგიურია. გვემის რა, რომ მსხვილ დასახლებებში სამზე მეტი ქსელის არსებობა არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი მთელ გეოგრაფიულ არეალს ფარავს, ბაზრის მახასიათებლები ადასტურებს კონკურენტული პირობებისა და ქსელის დამატებითი მშენებლობის პერსპექტივების შემდგომ განხილვას (იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო დაწვრილებითი მონაცემები არ არსებობს).

მსგავსი პრობლემები ვლინდება მსხვილი ქალაქების ფარგლებს გარეთ, სადაც ის დასახლებები, რომლებიც მნიშვნელოვანი საბაზრო წილების მქონე სულ ცოტა სამი ქსელით არის წარმოდგენილი, კონკურენტულად უკვე არ არიან მიჩნეული მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ კომისია უშვებს, რომ „მაგთიკომის“ წილი განხილვის პერიოდში 40%-ზე ნაკლები არ იქნება. ის ამ დასკვნას აკეთებს ისე, რომ არც კი ცდილობს შეაფასოს უფრო გრძელვადიანი ტენდენცია, ან კონკურენციის პირობები და ის შეზღუდვები, რომლებსაც ის მომავალში წააწყდება.

ეს ნიშნავს იმას, რომ კომისია სავარაუდოდ გამოდის წინადადებით, რომ დეტალური დაშვების რეგულაციები დააწესოს აშკარად კონკურენტულ (ან კონკურენციისკენ მიდრეკილ) არეალებზე, რაც არსებითად ძირს გამოუთხრის კონკურენციას და მომავალი ინვესტირების სტიმულებს (რაც ქვემოთ დამატებით არის განხილული). როგორც მინიმუმ, ჩვენი მოლოდინია, რომ სამი ან მეტი FTTX ქსელის მქონე ბევრად უფრო მეტი დასახლება უნდა იქნას მიჩნეული კონკურენციისკენ მიდრეკილად და შესაბამისად II კლასტერისთვის გათვალისწინებულ 'უფრო მსუბუქ' რეგულირებას დაქვემდებარებული.

70

მე-2 და მე-3 კლასტერებისთვის დაწესებული ვალდებულებები ზედმეტად კაბალურია თვით კომისიის მიერ კონკურენციის შეფასების მიხედვითაც კი ერთადერთი განსხვავება იმ არეალებისთვის, რომლებიც კონკურენტული არ არის (1-ლი კლასტერი), გათვალისწინებული რეგულირების ზომების 'სრულ პაკეტსა' და კონკურენციისკენ მიდრეკილი არეალებისთვის (მე-2 კლასტერი) გათვალისწინებული რეგულირების ზომების 'უფრო რბილ პაკეტს' შორის არის ის, რომ არ არსებობს ადგილობრივი დაშვების ტარიფების მაქსიმალური ფასი, თუმცა მაშინაც კი არის მარჯის შეკუმშვის ტენსტი,

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის N38 კომენტარზე პასუხი.

რომელიც შეიძლება შემდგომში იყოს გამოყენებული არა-დისკრიმინაციულობის ვალდებულების ფარგლებში. შესაბამისად, მე-2 კლასტერისთვის დაწესებული რეგულირების ზომები ვერანაირად იქნება 'უფრო რბილ შეხებად' ან შესაფერისად განხილული პერსპექტიულად კონკურენტული არეალებისთვის.

ეს განსაკუთრებით შემაშვოთებელია უფრო მსხვილ (100,000-ზე მეტი მაცხოვრებლის მქონე) დასახლებებში, სადაც კომისია აღიარებს, რომ არსებობს რისკი იმისა, რომ „ერთი და იმავე რეგულირების გამოყენებამ ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში შეიძლება განსხვავებული გავლენა იქონიოს,“ რაც მეტყველებს კონკურენციის პირობებში არსებულ განსხვავებებზე. ვინაიდან კომისია აცხადებს, რომ თითოეულ მსხვილ დასახლებაში დიფერენცირებული წინასწარი ვალდებულებების დაკისრება უფრო მაღალი დონის დეტალიზაციის გარეშე შეუძლებელია, ჩვენ ველით, რომ წინასწარი ვალდებულებების დაკისრებისას მან ფრთხილი მიდგომა გამოიყენოს ზედმეტი რეგულირების იმ უარყოფითი გავლენისა და არასასურველი შედეგების რისკების გამო, რომლებიც ქვემოთ დამატებით არის განხილული. თითქმის იდენტური რეგულირების გამოყენება იმ არეალების მიმართ, რომლებიც კონკურენტული არ არის, ამ კონტექსტში შესაფერისი ან თანაბარზომიერი არ არის.

კონკურენტული არეალების (მე-3 კლასტერი) რეგულირების საჭიროებაც სადაოა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალზე რბილად განიხილება, რეგულირებით წარმოშობილი ხარჯისა ინვესტირების სტიმულებზე უარყოფითი ზეგავლენის გათვალისწინებით.

გასაგებია, რომ კონკურენციის პირობების გეოგრაფიული ანალიზი კომპლექსურია და საჭიროებს მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციას (როგორც ჩვენთვის ცნობილია, ზოგი ასეთი ინფორმაცია კომისიას არ აქვს), მაგრამ მარეგულირებელი ჩარევისგან გამოწვეული დანახარჯებისა და რისკების მხედველობაში მიღებით, კომისიას მოვუწოდებთ გაითვალისწინოს თავის მიდგომაში არსებული ეს მნიშვნელოვანი შეზღუდვები, რათა უზრუნველყოს, რომ მისი რეგულაცია იყოს თანაბარზომიერი და მიზანმიმართული.

71 წარმოდგენილი ზომები არის არაპროპორციული და არა მიზნობრივი, რომელიც რისკს უქმნის მომავალ ინვესტიციებს კონკურენციის მოდელი და შესაფერისი რეგულირების ზომების არჩევა კრიტიკულია რომ მარეგულირებლებმა განსაზღვრონ კონკურენციის ის მოდელი, რომლის წახალისებასაც ისინი ცდილობენ, და სათანადოდ შეაფასონ, მათ მიერ შემოთავაზებული რეგულირების ზომების ყველა ელემენტი როგორ გავლენას იქონიებს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივებში. ეს ნაწილობრივ უკავშირდება ქსელის ოპერატორების სამომავლო საინვესტიციო გეგმების სათანადოდ გააზრებას იმის გასაგებად, როგორ შეიძლება განვითარდეს კონკურენცია, და, აქედან გამომდინარე, კონკურენციისთვის სხვადასხვა პოტენციური ზომების საჭიროებისა და ამ ზომების გავლენის შეფასებას.

იხილეთ წინამდებარე კითხვა-პასუხების ცხრილის N14, N15, N38 კომენტარებზე პასუხი.



|    |   |   |
|----|---|---|
| 72 | <p>საქართველოში ქსელებზე დაფუძნებული კონკურენცია ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რეგულირების ზომები, გაუგებარია, დამატებით დაშვებასთან დაკავშირებული რეგულაცია რატომ არის გამართლებული ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი არც იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ ქსელებს შორის კონკურენციის მოდელი საქართველოში სიცოცხლისუნარიანი არ არის და არც იმისა, რომ მის ხელშესაწყობად დაშვებაზე დაფუძნებული რეგულირება ყველგან აუცილებელია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვა ქსელის ოპერატორების მიერ ნაჩვენებია საკუთარი ქსელის აშენების სურვილი და შესაძლებლობა - შინამეურნეობების 60% არის იმ დასახლებებში, სადაც წარმოდგენილია სამი ან მეტი ქსელი.</li> <li>• მათ ეს გააკეთეს რეგულირებული დაშვების პროდუქტების გამოყენების გარეშე - იქაც კი, სადაც სპილენძზე დაფუძნებული დაშვების პროდუქტები ხელმისაწვდომი იყო, კონკურენტებმა უპირატესობა საკუთარი ქსელის აშენებას მიანიჭეს.</li> <li>• ქსელის ოპერატორების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მათ შემდგომი მშენებლობის გეგმები არ აქვთ.</li> <li>• უფრო მაღალსიჩქარიან მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება, რაც, თავის მხრივ, გაზრდის მშენებლობის სტიმულს, ერთი მომხმარებელიდან საშუალო შემოსავლის (ARPU) უფრო მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე.</li> <li>• ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარება კიდევ უფრო დაბლა დასწევს მშენებლობის ხარჯებს (და შესვლასთან დაკავშირებით პოტენციურად არსებულ ბარიერებს).</li> <li>• მაგთიკომის“ კონკურენტების მხრიდან საცალო სეგმენტში კონკურენცია იზრდება (იხილეთ მე-2 თავი).</li> </ul> <p>გარდა ამისა, არსებობს რისკი იმისა, რომ ამ კონტექსტში ინტრუზიული აქტიური დაშვების რეგულაციის შემოღებით შეიძლება ძირი გამოეთხაროს ქსელებს შორის კონკურენციას, გაადვივოს რა ე.წ „free riders“ მიდგომა.</p> | <p>იხ. პასუხები N12, N 13, N38 კომენტარებზე</p> <p>ეს აზრები წავიღოთ ვალდებულებების არაპროპორციულობის ნაწილში(N71-ში) :</p>   |
| 73 | <p>მაშინაც კი, თუ დავეთანხმებით კომისიის პოზიციას, რომ დაშვებაზე დაფუძნებული კონკურენციის ხელშეწყობისთვის რეგულაცია აუცილებელია, შემოთავაზებული რეგულირების ზომები ბევრად აღემატება იმას, რაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად კომისია (ფიზიკური ინფრასტრუქტურაზე უკვე არსებული რეგულაციების გარდა) გეთავაზობს როგორც საბითუმო ცენტრალურ დაშვებასთან (WCA), ასევე საბითუმო ლოკალურ დაშვებასთან (WLA) დაკავშირებულ რეგულირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ დაშვებასთან დაკავშირებული რეგულირება მოხდება ღირებულებათა ჯაჭვის მრავალ დონეზე, როგორც ჩანს, ეს განპირობებულია WLA და WCA</p>  | <p>საბითუმო ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით იხილეთ N7, N48 კომენტარებზე პასუხი</p> <p>ვალდებულებების პროპორციულობასთან დაკავშირებულ კომენტარზე იხილეთ პასუხი 38-ე კომენტარზე პასუხი.</p> |

დამშვების იმავე სასაქონლო ბაზარზე შეყვანის გადაწყვეტილებით. თუმცა, როგორც აღიარებულია მთელ ევროკავშირში და ევროკომისიის უახლეს სახელმძღვანელოში, ესენი, როგორც წესი, განიხილება როგორც ორი ცალკეული და განსხვავებული ბაზარი, იმის გათვალისწინებით, რომ განსხვავებული მოსაზრებები ეხება ორივე მათგანს. - მართლაც, WCA აღარ არის ევროკომისიის პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების სიაში და ევროკავშირის უკანასკნელმა პრაქტიკამ WCA-ის რეგულირება შეწყვიტა.

- ამ ორი პროდუქტის ერთმანეთში აღრევა არა მხოლოდ ანალიტიკურად მცდარია (და მიუთითებს ბაზარზე, რომელიც განსაზღვრულია პრიორიტეტული ვალდებულებებით და არა პროდუქტის სპეციფიკური მახასიათებლებით), არამედ არაერთ პრობლემასაც იწვევს მათ ანალიზთან - და, შესაბამისად მასზე დაფუძნებულ დასკვნებთან. კერძოდ, კომისია ითვალისწინებს WLA-თან და WCA-თან დაკავშირებით ვალდებულებების დაკისრებას იმის გათვალისწინების გარეშე, დამატებითი (დამშვებასთან დაკავშირებული) WCA ვალდებულებების დაკისრებამდე, WLA-თან მიმართებაში არსებული ვალდებულებები საკმარისია თუ არა კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად. მაგალითად, მაშინაც კი, როცა ქსელზე დაფუძნებული კონკურენცია ეფექტური არ არის, ევროკავშირში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება ჩვეულებრივ ღირებულებათა ჯაჭვის WCA დონეზე არ დგინდება „აფსტრიმ“ (ფიზიკური ინფრასტრუქტურა ან/და WLA) დამშვების ხელმისაწვდომობის გამო. აქედან გამომდინარე, კომისიის მიდგომაში არის რისკი ღირებულებათა ჯაჭვის რამდენიმე დონის ზედმეტად (და არასათანადოდ) რეგულირების.

WLA-სთან ან WCA-სთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტურობის ცალკე შეფასების გარეშე, შეუძლებელია იმის დადგენა, ყველა გათვალისწინებული ვალდებულება არის თუ არა კონკურენციის პრობლემების მოგვარების ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული გზა. იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირში მარეგულირებლობა შეწყვიტეს WCA-სთან დაკავშირებული ვალდებულებების დაკისრება უფრო „აფსტრიმ“ ვალდებულებების სასარგებლოდ (და ამ უკანასკნელ ვალდებულებების ისინი საკმარისად მიიჩნევენ), აგრეთვე იქიდან გამომდინარე, რომ დაინტერესებული მხარეების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ არსებობს მოთხოვნა და საჭიროება მრავალი წვდომის წერტილისთვის ეფექტური კონკურენციის მიზნით, კომისიის პოზიცია, რომელიც ვალდებულებების სრულ პაკეტს ითვალისწინებს, საფუძველს მოკლებულია. ეს არა მხოლოდ თანაბარზომიერებასთან დაკავშირებით სერიოზულ კითხვებს ბადებს, არამედ ღირებულებათა ჯაჭვის მრავალი

დონის ასიმეტრიული რეგულირება ქმნისა ცრუ სტიმულებს და დამატებით ძირს უთხრის იმ კონკურენციას, რომლის ხელშეწყობასაც ის ცდილობს.

74

ვალდებულებების დეტალური მოდელი და დიზაინი

რეგულირებული ფასისა და არა-ფასის პირობებით „მაგთიკომის“ ქსელზე საბითუმო დაშვების მოთხოვნა, თუ ეს პირობები სათანადოდ/კომერციულ საფუძველზე არ დადგინდება, ძირს გამოუთხრის „მაგთიკომის“ მიერ ქსელში მომავალი ინვესტირების ბიზნეს-მოდელს და პოტენციურად შექმნის უბილეთო მგზავრის სიტუაციას, სადაც კონკურენტი ქსელები თავიანთ ინვესტიციებს ამცირებენ. ინტერვენცია, რომელიც აქვეითებს ოპერატორების სტიმულებს განახორციელონ ინვესტიციები თავიანთ ქსელებში და უზრუნველყონ ძალიან მაღალი ხარისხის მომსახურება სოფლისა და ქალაქის ტიპის არეალში, კონტრაპროდუქტიული იქნება. დაწესებული ვალდებულებების დიაპაზონთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, გვაწუხებს ისიც, რომ კონკრეტული პროექტის განსაზღვრული ასპექტებიც არათანაბარზომიერია და მათ შეიძლება ძირი გამოუთხაროს ინვესტირების სტიმულებს. მაგალითად:

- თეორიული ეფექტური ოპერატორის LRIC+ -ის გამოყენება ფასის კონტროლში – მაგთიკომის მიერ ინვესტიციების დაწყების მომენტიდან არსებული კომერციული გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილება, ხარჯებზე დააფუძნებული LRIC+ ფასების მართვის სისტემის დანერგვა რეგულირებას დაქვემდებარებული ყველა მომსახურებისთვის (მიწოდების ჯაჭვის მრავალ დონეზე) მნიშვნელოვანად შეზღუდავს გარემოს ცვლილებაზე რეაგირების მოქნილობას. ეს ასევე მაღალ რისკს უქმნის კომპანიის შესაძლებლობას დაფაროს ფიქსირებული და საერთო ხარჯები, რადგანაც მათი დაფარვა ძალიან არის დამოკიდებული კომისიის მიერ ფასების სწორად დადგენაზე. მაგალითად, თუ ფასები არ იქნება სწორად განსაზღვრული, ვერც ხარჯების დაფარვა მოხდება და ვერ გონივრული უკუგების მიღება და შეიძლება გამოიწვიოს „შერჩევითობის პრინციპის“ (cherrypicking) გამოყენება დაშვების მსურველებში.

ბუნდოვანება ვალდებულებებთან და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმუშავებენ ისინი პრაქტიკაში– ეს ასევე საფრთხეს უქმნის ინვესტიციას, სტაბილური და პროგნოზირებადი მარეგულირებელი რეჟიმის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე. მაგალითად, მარჯის შეკუმშვის ტესტთან მიმართებით, გაუგებარია, კომისიის მოლოდინის მიხედვით „მაგთიკომმა“ როგორ უნდა შეაფასოს, დაშვების მაძიებლის ხარჯები, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა, არც ის არის ცხადი, რა სახის ხარჯები უნდა იყოს შეყვანილი.

განსახილველი გადაწყვეტილების ფარგლებში დაშვების ტარიფების გაანგარიშება განხორციელდა საკონსულტაციო კომპანია გრანტ ტორნტონის მიერ ხარჯზე ორიენტირებული ტარიფის გაანგარიშების აპრობირებული მეთოდოლოგიის გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელზე(LRIC+) დაყრდნობით. გაანგარიშებული ტარიფი ასევე ითვალისწინებს გონივრულ უკუგებას კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულების (WACC)-ს სახით. აღნიშნული მიდგომით დათვლილი ტარიფები სრულად უზრუნველყოფს იმას, რომ ქსელის მფლობელმა ოპერატორმა აინახაზაუროს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები და მიიღოს გონივრული უკუგება.

იხილეთ მე-14 და 38-ე კომენტარებზე პასუხები

75

შედეგად, კომისიის მიერ გათვალისწინებული ვალდებულებები შექმნის გაურკვეველ საინვესტიციო გარემოს

ფიქსირებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელები მნიშვნელოვანი მასშტაბის კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს და ამიტომ ამ ინვესტიციის სტიმულირებისთვის საჭიროა კომერციული უკუგების გონივრული მოლოდინი. სტაბილური მარეგულირებელი გარემო ამ მოლოდინების განსაზღვრის საკვანძო კომპონენტია. კერძოდ, მარეგულირებელ რეჟიმთან დაკავშირებით გაურკვევლობის აღმოფხვრა და იმის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერი ინტერვენცია მიზანმიმართული, გამართლებული და თანაბარზომიერი იყოს, ინდუსტრიას უფრო მეტ ნდობას ანიჭებს მნიშვნელოვანი მიმდინარე ინვესტიციების განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ევროკომისია ახორციელებს წევრი-სახელმწიფოების წახალისებას, რათა მათ უკან გაიხიზონ არსებული ინტრუზიული რეგულირება იმისათვის, რომ ინვესტორებისთვის უკეთესი მარეგულირებელი გარემო შექმნან, და ოპერატორები წახალისონ უფრო ღრმა კონკურენციისკენ, რადგან ამით გრძელვადიან პერსპექტივაში მომხმარებლებისთვის უკეთესი შედეგები დაიდება.

თუმცა, კომისიის მიდგომა ამ გარემოს ძირს უთხრის, და ეწინააღმდეგება ევროპაში არსებულ ტენდენციას. „ფიქსირებული ბაზრის ანალიზი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას მარეგულირებელ მიდგომაში საქართველოში და საბითუმო დაშვების მხრივ „მაგთიკომისთვის“ დაწესებული უაღრესად ინტრუზიული ვალდებულებების მასშტაბი (მათ შორის, IPTV-სთან და „ვიდეო მოთხოვნით“ (VoD) პროდუქტთან დაკავშირებით) წარმოქმნის მნიშვნელოვან მოულოდნელ - და, ჩვენი აზრით, არასაკმარისად დასაბუთებულ - ხარჯებს. ეს განსაკუთრებით ასეა იქიდან გამომდინარე, რომ კომისიის მიერ პრობლემატურად მითითებული ერთ-ერთი მთავარი საცალო შედეგი, როგორც ჩანს, კონკრეტულად 100 მბ/წმ-ზე უფრო მაღალი სიჩქარის მქონე მომსახურებების ფასებს ეხება, თუმცა კომისიის მიერ გათვალისწინებული ვალდებულებები მნიშვნელოვნად უფრო ფართო და ინტრუზიულია.

მარეგულირებელი ჩარევის პირდაპირი ხარჯების ტვირთთან ერთად, მოულოდნელი, გაუმართლებელი და არათანაბარზომიერი მარეგულირებელი ჩარევა დარგს, ინვესტორებსა და მარეგულირებლებს შორის ნდობაზე უარყოფით გავლენას იქონიებს ბევრად უფრო ფართო მასშტაბით და ამ ანალიზის პერიოდის შემდეგაც, რითაც შეიქმნება უაღრესად გაურკვეველი და არამიმზიდველი საინვესტიციო გარემო. რეგულირებასთან დაკავშირებული ასეთი გაურკვევლობა მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტიციას საშუალოდან გრძელვადიან პერსპექტივაში, გაუქრობს ოპერატორებს სამომავლო ინვესტიციების განხორციელების მადას. ეს აისახება მომსახურების ხარისხის გაუარესებას და მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობის შემცირებას, და აფერხებს სატელეკომუნიკაციო კომპანიების შესაძლებლობებს ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას. ზიანის შესახებ მოხმარების მკაფიო თეორიის

შემოთავაზებული მარეგულირებელი გარემო მიზნად ისახავს განვითარდნენ როგორც ახალი, ასევე, უკვე არსებული მოთამაშეები და ამ გზით ხელი შეეწყოს ინვესტიციების განხორციელებას, რაც უნდა აისახოს კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებაზე, სექტორის ზრდასა და მომხმარებლის კეთილდღეობაზე. დამატებით იხილეთ პასუხი N14, N38, N39 კომენტარზე

|  |  |  |
|--|--|--|
|  | არარსებობის პირობებში და პირიქით, როცა არსებობს მტკიცებულებები, რომ ბაზარი ეფექტურია, ასეთი შედეგი კიდევ უფრო საგანგაშო უნდა იყოს. |  |
|--|--|--|

კახი ბექაური



თავმჯდომარე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია


ეკატერინე იმედაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე



წერი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია